К 8-900

მუღამან ლეზგინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«მ ე რ ა ნ ი»

1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუდამ ლაჯანური

1993-2000

ალბომი

84 гр 7—5
ლ 341

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი
ნინო ახალკაცი

მხატვარი
გიორგი წერეთელი

4702170202 — 71
ლ————————————90
მ 601(08)

© გამომცემლობა „მერანი“

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 8 900
1

წინასიტყვა

მურმან ლებანიძე ერთ-ერთი საინტერესო და საოცრად ხელხვავიანი შემოქმედია თანამედროვე ქართულ პოეზიაში, — ცხოვრების ფეხდაფეხ მიმყოლი და „მაჯისაცა შემტყობარი“ მამულიშვილთაგანი. ლექსების ახალ-ახალი კრებულებით იგი თითქოს...ბიულეტენს გვაწვდის ერის ჯანმრთელობის შესახებ და, თუ რამ საგანგაშოა, ქვეყნის მაღალ სამრეკლოდან ერთი პირველი მოგანგაშეთაგანიც გახლავთ.

საქართველო დღევანდელი, საქართველო გუშინდელი და საქართველო ხვალინდელი — აი, პოეტის უწმინდესი საკურთხეველი! ამ წიგნში ერთხელ კიდევ გაგამხნევებთ ქართველი ხალხის ხიცოცხლისუნარიანობა, იგრძნობთ ჩვენთა ძველთა ციხე-კოშკთა კვლავ შემართებას და...სისხლის ნთხევად მზადყოფნას: „მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი და კითხვა — „ვინ — ვის?!“ — ბებერ გულში ლახვრად მაჩნია.. არავითარი სხვა საშშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!“.

მრავალფეროვანია მურმან ლებანიძის პოეზია. ქართულ პოეზიაში მურმანმა ერთ-ერთი საუკეთესო ლექსით მიმართა ახალგაზრდობას, დაგვანახა რაღაც ახლის მომლოდინე ასაკის დიდებულება და მამობრივი მზრუნველობით დამოძღვრა შთამომავალი. საუკუნის სახადმა — სოფლიდან ქალაქს მიგრაციის პროცესმა შეაშფოთა მოაზროვნე საქართველო. საგანგაშო ზარებს ლებანიძის დედოზარიც აძლევდა ბანს. პოეტმა გაბედულად თქვა სათქმელი და მარჩენალის მხარეზე დადგა. რაოდენ ბუნებრივი იყო გულის გულიდან აღმომხდარი წუხილი! „ვერჩება შთაბეჭდილება, რომ მიტოვებული სოფლის თემა სწორედ მის კალამს მოელოდა, მის სიტყვას იმედოვნებდა.

ლექსი, პოეტის სიტყვით, „სამეფო ხილია," რომელსაც...ხშირად სიმწარეც თან დაჰყვება, რაც მშობელი ქვეყნის „მარადიულ სატკივრებს" შეახსენებს თანამემამულეთ. მათი წარმოჩენა და შემლებისდაგვარად მკურნალობა გახლავთ „პოეზიის მაღალი დანიშნულება." პოეტს ეს სატკივრები არასოდეს ავიწყებენ თავს, გულში ამ ტკივილებით ვხედავთ მას უცხოეთსა თუ სამშობლოში, ჰეტრიწონის კედლებთან თუ ეჩმიაძინის ეზოში, ზღვა ხალხში მდგარს, „იცნობ მეზობელს?!" გულდაწყვეტით რომ გვეკითხება, მეზობელი ხალხის შესაშური სიფხიზლითა და „ერისა და ბერის" ერთი პირით აღტკინებული...

ჰოეტის უპირველეს დანიშნულებას მურმან ლებანიძე მკაცრ სიმართლესა და პირუთვნელ სიტყვაში ხედავს:

„ჩანგო ჩემო, მოხრიხარ ოთხად წელში არავის,
ჰოეზიის მომხრე ხარ, ბრძოლის დაუფარავის.

ვერ ვნახე მოგებული ჩანგი ლიქნით, ფერებით,
მიკიბულ-მოკიბული და შემკრთალი ჟღერებით...

ჩანგო ჩემო, მოღლილხარ, გრიგალი გინანავებს,
იმავ ძველი ბოღმით ხარ უკანასკნელ სანავეს.“

მურმან ლებანიძე ჩემი თაობის ჰოეტია, იგი ომგამოვლილი დამხვდა ქართული მწერლობის ოჯახში, როგორც ახლგაზრდა მასპინძელთაგანი. „ჩემო მურმან! არ გღალატობს „შვიდფერი მუზა“, რამეთუ არც შენ ღალატობ მას. შენმა მიზეზიანმა მზეთუნახავმა კარგად იცის, რომ შენი ღალატიც...დამღუპველია მისთვის, ამიტომაც შენთან მარადმეოფობის ფიცი დაუდვია...“ — ვწერდი ჰოეტს ერთ-ერთ ჩემს საიუბილეო მილოცვაში. უადგილო არ იქნება, სიტყვა დავსძინო ადამიანობაზე — პიროვნებაზე რაინდულზე, ერთს მთლიანსა და განუყოფელზე.

ანა კალანდაძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

«Кому на Руси жить хорошо?!».

ნეკრასოვი

ნაზად გავკიკნე მტევანი ყურძნის
(რუსები მისხდნენ სალონში ალყად ...)
ყურში ჩამესმა შენიშვნა რუსის:
„აი, ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად!“

სტიუარდესას კეკლუცს ვუჭვრეტდი, —
მე შევბრუნდი და რუსს ვკითხე უცბად:
„მერედა, ვითომ საქართველო არის რუსეთი?!“
„აპა, რა ჩემი ფეხებია!“ — მიმიგო რუსმა.

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან გავიღვიძეთ...

გვიან გავიღვიძეთ —
ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული
ლაფში წევს ურემი ...
საკუთარ სამშობლოში
ობოლი ბავშვები ვართ,
სახლისპატრონობას
ჩემობენ მდგმურები.

გვიან გავიღვიძეთ —
ჭიშკრები დაღებული!
(ტყემალზე თუ არა,
ხომ ვსხედით ჭადარზე?!)
რის თავისუფლება! —
სამშობლო წაგებული,
მიწები დაყიდული
ლეკზე და თათარზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროდადრო ლამის ტვინი
ავასხა ცამდე, —
ეს ჩემი წყალ-ჭალა
რომ მიაქვს, ვისთან მიაქვს!
მწადს თავი გავუპო
პრიმიტივს ამდენს,
ზედ გადავუარო
ამდენ ხისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ —
ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული
ლაფში წევს ურემი ...
საკუთარ სამშობლოში
ობოლი ბავშვები ვართ,
სახლისპატრონობას
ჩემობენ მდგმურები!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

დაბნელებულა — მეზობლის ტვინი,
დაბნელებულა — მეზობლის გონი ...
სისხლს, ბიჭბუჭისგან დანთხეულს ვტირი,
შეურაცხყოფის
სიმძიმეს ვწონი ...

ამას როგორმე მოუვლის კაცი, —
(მოგვეცემიან უთუოდ დრონი ...)
საანგარიშო ეს არის აწი —
ვისი იმედის
ვინ იყო მქონი ...

ვეჭვ, სამტრო გზაზე დამყენებელი,
მეზობლის ტვინის დამბნელებელი
მეზობელია,
აგრეთვე, მგონი!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ადამონ ნიხასს“, ყრილობას ლიხნის!

მე მინდა ვუთხრა „ადამონ ნიხასს“,
რომ თვისი ხალხი მცდარი გზით მიჰყავს,
და შევახსენო ყრილობას ლიხნის
კანონი ბრძნული —
სისხლის წილ სისხლის!

ოსო, შენ ვოლგის ზვირთი დაგიყენფს,
აფხაზთან ერთად ანდერძს აგიგებს ...
ჩემი ლიახვი შენ არას გერჩის, —
დიდი მდინარე,
ოსო, წაგიღებს!...

ერთხელაც ვეტყვი „ადამონ ნიხასს“,
რომ დალუპვისკენ თვისტომი მიჰყავს,
და შევახსენებ ყრილობას ლიხნის —
ჩვენ კანონს ურყევს,
სისხლის წილ სისხლის!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ჩერქეზი...

ჩემო ბათალბეგ,
    რაფრად ავხსნათ ეს ძველი საქმე,
კავკასიური
    რომ სისხლს გვწოვდა ათასი ვირთხა,
ხოლო ჩერქეზი, —
    დაე, ითქვას მადლობით აქვე, —
შეჭირვებული
    ვიყავით და, სულ მხარში გვიდგა?!

დღემდე გრძელდება
    ძმობის, მტრობის ძველი ძაფები!
იყო მზადყოფნა
    ძველთა ჩვენთა ძახილის ხმაზე!
ერთს გასძახებდნენ
    კურთხეული ჩვენი პაპები
და ცხენკეთილი
    გაჩნდებოდა ჩერქეზი წამსვე ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაერთ ომში
    მკვდარი მკვდარზე ბორცვად დახთრდა,
ქართულის გვერდით
    ჩერქეზული დროშაც დაჰქროდა,
თუ გვქონდა ვერცხლი,
    ხომ კარგი და, როცა არ გვქონდა,
ალაფს ვიყოფდით,
    ნაალაფრით თავი გაგვქონდა ...

ძმაო, ჩერქეზო!
    მასევიან დღესაც მარლები, —
მხერხენ და მჩხვერენ,
    როგორც მჩხვერეს და როგორც მხერხეს ...
როგორც ეტყობა,
    ერთი ფესვის ჩვენ ვართ ხალხები,
როგორც ეტყობა,
    ვეკუთვნით ერთ ტყეს ...

ახალს არა გთხოვ,
    ძველზე გიხდი მადლობას ჩერქეზს!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანელის ქუჩა

დილა. გათენდა დღე საყვარელი
აქ, ჩვენს თბილისში, სიურპრიზს არ ელი
და, უცბად, — აბრა ძველისძველ ქუჩის,
ახალი აბრა —
ქუჩა გრანელის ...

. . .

საწყალი ტერენტი!
ის ცხოვრებამ დასტოვა სახტად,
აქ იყო მისი
თბილისური ცხოვრების ბოლო ...
უფულ-უპურო
ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ნაღდად,
აქ ექნებოდა
იმ უბედურს დამპალი სორო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრუნდებოდა
    კვირკველია ტერენტი გვიან,
ქუჩას, ამ დილით
    რომელს ქურთის ქალები ჰგვიან,
წელიწადია
    ათას ცხრაას ოთხმოცდაათი —
ქუჩას სახელად
    დღეს გრანელის სახელი ჰქვია ...

. . .

გრანელის ქუჩას გაჰყურებს თვალი,
ასცქერის თვალი გრანელის აბრას ...
ასე თუ ისე მოხდილია, ბატონო, ვალი —
დიდუბის მიწაც
ხომ ვალირსეთ
პოეტის საფლავს!

1990

K 3-900

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედუშკა პლაჩეტ“...

ავხსნათ (არაერთს!)
შეთქმულებას კრემლისას ტაბუ...
გამოაცალა
ხრუშჩოვს სკამი ბრეჟნევმა მარჯვედ...
შვილიშვილს ჰკითხეს
ხრუშჩოვისას: რას იქმსო ბაბუ?
ბალლმა მიუგო
მოწყენილად: „დედუშკა პლაჩეტ...“

ვაი, სირცხვილო,
ჩაგიბნელეს ნათელი დილის,
ვაი, სირცხვილო,
რა ტაშები ჩვენ შენთვის ვხარჯეთ!
ვაი, სირცხვილო,
იმპერიის მპყრობელი ტირის —
გაგთქვა, გაგყიდა
ბრიყვმა ბალლმა: „დედუშკა პლაჩეტ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ ნიკიტუშკა!
    კაცი იყავ, დღეს გროში ღირხარ!
ჩაამლაშე და
    ჩაგიმლაშეს ათასგზის მლაშედ ...
მოჩვარულხარ და
    საათობით ყრუმუნჯად ზიხარ —
შურით და ბოღმით,
    მძულვარებით: „დედუშკა პლაჩეტ ...“

ვლიან დღეები
    უცნაური ამ რუსი ხალხის ...
(ჩვენ ისტორიის
    მიუდგომელ მსაჯულად დავრჩეთ!)
ახსოვდეთ ტახტებს
    გულუბრყვილო სიტყვები ბალღის:
„დედუშკა პლაჩეტ...“

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწიფდა იმპერია . . .

დამწიფდა იმპერია, —
    გადამწიფდა და სულსა ლაფავს, —
რა დამწიფდება,
    ლელვი ხისძირ მოადენს ტკაბანს ...

არათუ ბრიყვმა,
    გულუბრყვილო საბრალო ბალღებმა,
სუსტმა, ბითურმა,
    აგდებულმა აბუჩად ხალხებმა,

დაშლით, დარღვევით
    იმის, რასაც სიბერე ამხობს,
ხომ შეიძლება,
    თვით რუსეთმაც ხეირი ნახოს?!..

დაშლას, დარღვევას,
    ამ სიხარულს, ამ ზეიმს დღეის,
„ვაშას“ და „ურას“
    ამ ჭრელ დროშებს, ამ თვალის სეირს —
საერთო ხეირს
    გაუმარჯოს,
        საერთო ხეირს!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსკდარან ... საპნის ბუშტები!

გაზაფხულია, კაცებო,
სულს გაზაფხული ახარებს,
სიხარულისგან ვწითლდებით,
ვყვითლდებით, მერმე ვლურჯდებით ...
კვირტები კი არ დამსკდარან,
ევროპს, აფრიკეთს, ავღანეთს
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები ..

ირგვლივ ტაშები ამტყდარან,
ხელები — ტაშით დამსკდარან,
ტრანსპარანტებით დავდივართ,
დავალთ, ქუჩებში ვქუჩდებით ...
ბრუნვას სოფლისას ჩამხვდარან,
გაშტერებული დამსხდარან,
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები ...

ვაშა! — ფარ-ხმალი დაჰყარეს,
ყველგან — სანგრები აჰყარეს,
ხალხებს თავსდგომა აკმარეს —
მეტის ლხენისგან ვმუნჯდებით ...
მსოფლიო შვებით ხარხარებს —
ევროპს, შტატებს თუ ავღანეთს
დამსკდარან, შენ ხარ ბატონი,
ამათი საპნის ბუშტები ...

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
    გაწითლებაზე
    მსოფლიოის
    იტყვის რა
    უარს, —

თავს დაანებებს დერჟიმორდულ ამპარტავნებას,
    სხვა ხალხებისთვის
    თითის ქნევას,
    ჭკუის სწავლებას,

მოეშვება რა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას,
    სხვის მიწაწყალზე
    განსახლებას,
    ფესვის გადადგმას,
    მოკლედ —
    დაპყრობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტევა რა თავის სახლში და თავის ტყავში,
ვინ გვეყოლება,
თუ კაცი ხარ,
ხვალ მაგის
ფასი ...

ძალას დააატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
გარუსებაზეც
დღეს ჩვენსაზე
თუ იტყვის
უარს!!!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსის გენერლებს

თქვენი ჯარები — ხსენებულა
სამშობლოში ათასგზის გმირად!
თქვენი გვარები — წერებულა
უმაღლესის ბრძანებებში
ხშირად და ხშირად!

ახლა რას ჰგავხართ?! —
არ უჯერის პოეტი თვალებს —
დამსგავსებიხართ
დღეს სახორცედ
დასაკლავ ხარებს ...

ოდესმე გმირნი, დღეს რას ჰგავხართ,
რას ბჟუტუტობთ და რაებს ჰბედავთ?!
დღეს ომს იქით და
რუსეთს იქით
ვერაფერს ხედავთ!!!

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ლერმონტოვზე წიგნებს წერდა,
    რუსის საქმეს უდგა მუშად,
ნამუსრევი ძველთა ჩვენთა
    ქართულ სისხლზე გახლდათ ყუჩად!
საქმე სანანური მოხდა,
    ჯიშმა ჩაუარა ფუჭად:
ცოტა უხერხულად მოკვდა —
    ქართველი იყო — მოკვდა რუსად.

1990



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლო

ჯიხვი — ქარაფზე ხტის,
ბუზს არ აიფრენთ, ქედებო!
კავკასით პონტის პირს
ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!
მე რომ სიკვდილი მჭირს,
ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
ამბავს წაუღებთ ვის,
თქვენ, ფრინველებო ღვთის — წითელ-
ფეხება მტრედებო?!

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა.
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სადაც ჩაღრმავდები, ყველგან ზოდებია,
ყველგან ხელთუქმნელი ბაჯაღლო ზოდები.
მაგრამ რაღა დროის! — სიბერის კორდებია,
სიკვდილის კორდებია,
მივალ და გშორდები.

მინდოდა ქართველი თორმეტი მილიონი,
სულ ათი-თორმეტი მინდოდა მვნახა —
არაგვის სიარაგვე, რიონის სირიონე
და მიწა გაშლილი
მსოფლიო ვენახად ...

სადაც ჩაღრმავდები, ყველგან საშველია,
რა ხსნა, რა გზებია, რამდენი საშველი!
მაგრამ რაღა დროის! ორი დღე დამრჩენია,
ტირილით მივიმღერი,
მივდივარ თვალსველი.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ფიქრიას

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.

ყოფილა დავით-მეფე — აღმაშენებელი,
ყოფილან ოპიზრები — გასაშტერებელი;

ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი ...

ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.

ყოფილა ნიკოპსით — დარუბანდამდე
გაჭენებული და გამოჭენებული;
რტოებგაშლილი და გამოჩინებული,
ყოფილა ორ-ზღვას-შუა აღმოცენებული.

ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტევრი გვიწალდია, ისე გვიზარდია,
რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად.

მაგრამ უცაბედად მატლი არეულა,
ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.

ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი,
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.

ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.

ჩაშლილა ჯაჭვი და თვალი ჩარღვეულა,
იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.

ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,

— რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! —
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი ...
ამას მოჰყოლია:
„ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“

ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

დროშებს დაჰბერენ ქარდაქარ,
ჯარები მივლენ ჯარებზე ...
შენ საით, ვისკენ, სადა ხარ?! —
დამარცხებულის მხარეზე!..
ცეცხლი კრთის, ცეცხლი გადარბის,
ცეცხლი ბრიალებს ჭალებზე...
შენ საით, ვისკენ, ბათალბეგ?! —
დამარცხებულის მხარეზე!..
ტყვედ მიასხამენ დიაცებს,
ბალღებს აგებენ სარებზე...
შენ საით, ვისკენ, იასევ?!
დამარცხებულის მხარეზე!
არათუ ხალხის მშობელის, —
შობილის შავ-ბნელ მთვარეზე, —
ხარ ათასწლებში ხმობილი
.დამარცხებულის მხარეზე!
ჩანგი გადადე ხანდახან,
პოეტო, ხმალი ალესე!
შენ საით, ვისკენ, სადა ხარ?! —
დამარცხებულის მხარეზე!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ხალხში ვტრიალებ ჯარად,
თუ სადმე ვზივარ ქვაზე,
ვწუხ, შენზე ვფიქრობ მარად,
და არაფერზე სხვაზე!
მინდა ვიფიქრო ბევრზე —
ქალზე, წვიმაზე, ქარზე ...
ვფიქრობ — შენზე და შენზე
და არაფერზე სხვაზე ...
უცხო ქვეყნების კარად, —
ცაში, ხმელეთზე, ზღვაზე, —
მე შენზე ვფიქრობ მარად
და არაფერზე სხვაზე!
სიცოცხლე მიჩანს ჩალად,
ცრემლები მადგას თვალზე,
ვრჩები გაკრული მარად
შენი მონობის ჯვარზე!..
შრება წვნიანი ძვლები —
ხომ გაგვიდებენ მხარზე?!
— ჩვენ ვართ! — იტყვიან ძმები, —
აფსუს! ვერ იყო ჭკვაზე!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხე და გეტყვი!

მკითხე და გეტყვი: რისი თამარი! —
ქართლის ცხოვრების რა ვიცი მეტი!
დავიი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო ... პირველი სვეტი!

მკითხე და გეტყვი, რის ვაჟა, მენდე,
ერის მეობით და თვისი „მეთი“,
არც თვითონ შოთა! — დავითის შემდეგ
ილია იყო ... მეორე სვეტი!

გაზნექილია
ქარში ალვისხე,
აწეწილია
სამშობლოს ხედი ...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე
მესამე სვეტი!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სასახლეებში, ბალში, სკვერებში
როცა ამდენი დროშა ფრიალებს,
ამ სიბერეში, ამ სიბერეში
შენ რა ჯანდაბა განაღვლიანებს?!

შენ რას გიშლიან ეს ესკორტები,
ეს ტაშფანდურა ესტაკადები,
ეს სინდისისგან, ეს ნამუსისგან
მთლად გარეცხილი დღეს პლაკატები?!

იმას, ბატონო,
რომ ზენიტზეა
მზე, — ვინ უწყს
როდის ჩაესვენება ...
სანამ ეს დღეა,
სანამ ეს მზეა,
შენს საქართველოს
არ ეშველება!!!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი სურათი

მოფენილია
ბრძოლის ველი ცხენ-კაცის მძორით,
ქართველის აბჯრით
და ქართველის ჯაჭვით და თორით,
ყვავით და ყორნით,
შაბარდუხით, სვავით და ქორით ...
მესამე დღეა,
მკვდარი მკვდარზე აწყვია ყორედ.

. . .

და, უცბად, ვიღაც წამოსწევს თავს,
ტირილისმაგვარს გამოსცემს ხმას,
(ეხვევა მწერი
სულთმობრძავის სისხლიან ტუჩებს),
მოიკრებს ძალს,
მოიქნევს ხმალს —
დაჭრილი ვინმე
მიცვალებულს ყვავ-ყორანს უქშევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

დიაცი ყრმითურთ თმაგაშლილი ჩამორბის გორით,
    იესოს ჯვარი
    გადმოჰყურებს
    ბრძოლის ველს შორით ...

. . .

ცოფს ჰყრის შაჰ-აბას,
    ნადირ-შაჰი გინებით გმარხავს,
სპარსი თუ თურქი
    შენს თათხვაში და აუგშია ...
ამ დუნიაზე,
    შე საბრალო, ძმაკაცი არ გყავს —
აუქმიე, ქართველო,
    ყვავ-ყორანს აუქმიე!

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ოთხი ათასი
წელიწადი მოტანტალებს პატარა ბიჭი,
ვაი, ფეხშიშველს წინ რიყე უდევს —
ცხელი რიყე, მოფენილი მორიელებით ...
ვეებერთელა ხალხებს შორის,
ქვეყნებს შორის შენ ველარ ივლი
აწ ველარცა ხმლით, ველარცა სიმხნით,
თუ არა ოდენ: ჭკუით! ხერხით! გონიერებით!..

1969

†

რატომ მიყვარხარ, თუ ვიცოდე —
დამექცეს სახლი!
რატომ ვწერ შენზე, თუ ვიცოდე —
გამიხმეს ხელი!
ორი სიპი ქვა მიჭირავს და
საფეთქლებს ვახლი,
შენ გახსენებ და ... გამოჭრილი
შენგნით მაქვს ყელი!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს არ დაგპირდები!

ლხინში — ავხირდები,
ჩრდილში გაგიდგები,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ
ფანდურს, სანატრელო;
ჭირში — დაგიტკბები,
ბევრს არ დაგპირდები:
ფეხზე დაგიდგები,
ჩემო საქართველო!

1973

ანდერძი

ფანჯარაში — ქედია, ვსტყუი! — ქედზე მეტია —
საქართველოს ხედია!..

რაც მე მიკეთებია მისთვის ზღვაში წვეთია.
მე მივდივარ, შენ რჩები —
შენი მოიმედეა!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამო

მდინარეში მტირალი სალამო იცქირება,
მზე ჩადის და მდინარის სარკეში იძირება.

მთები, ზღვები, ღრეები, წუთისოფლის თანახმად
გახარჯული დღეები — ყველაფერი თავდალმა.

გკოცნი მშობელს შობილი,
მზე წყალში გახლართულა,
აგე, კლდიდან სოფელი არაგვში ჩახატულა.

მქონდა სალაპარაკო, ვერ კი გითხარ რიდობით;
გამარჯობა, არაგვო, და კიდევაც მშვიდობით!

ჩემი ზვრები გადახმა, სხვისმა ძეძვმაც იხარა,
საქართველოვ, კოხტა ბიჭო, მე ვარ შენი წიქარა!

მზე ჩადის და მდინარის სარკეში იძირება.
მდინარეში მტირალი სალამო იცქირება.

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს —
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის ...
და მე ვყვირი: — ჩემს სისხლს დალევს უწინამც!
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

როსმე „არგო“, (სხვა ხომალდი გუშინაც!)
მოაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით ...
და მე ვყვირი: — მკვდარსა მნახვენ უწინამც!
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

ზღვაო პონტის! რიფებს მალავ უჩინარს —
არაერთის ზედ მიემსხვრა გემი ...
და მე ვყვირი: — ოხ, უწინამც! უწინამც!
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გოგოს, თვითონ პატარას,
  გზად პატარა მოჰყავს,
შესაციცინებს შავთვალას,
  ფრთხილად ახუბს ლოყას

კი, ფიქრიას ტოლია!
  რაკი შვილად შეგფერს
ეგ პატარა გგონიი
    ჩახჩუებულ ბებერს'

ერის წიგნში გაშლილო
  ახლო კაბადონო
გამარჯობა, თვალჭრელო
  პატარა ქალბატონო!

ოიდა, ოიალე!
ოიდა, ოიალე!
დახუნძლულო ხეო!
მდედრო მსხმოიარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ქართლოსის ჭიგოს
  შეეწებე ცოლად —
კურთხეული იყოს
  შენი ქმართან წოლა!

შენ ხარ მწვანე ბალახი,
  პირველ რილო-ჭრილოს
შემოგცქერის ქალაქი —
  დაგინახოს, ცდილობს.

ქალია თუ ვაჟია, —
  საქართველო ყვავილობს,
„რა დროს მაგის ბავშვია!“
  ვინც ეს გულში გაივლოს...

  ოიდა, ოიალე და
  ოიდა, ოიალე —
  ნერგო ნაყოფიერო,
  მდედრო მსხმოიარე!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ამ სახლში ბევრი
    გაფუყული მედროვე ცხოვრობს
და, ხალხს თუ ვკითხავთ,
    წამწარდება ცხოვრება ბოლოს.

მაგრამ არსებობს,
    წლებს მიათრევს ორიოდ კაცი,
რომლის სახელი
    იფრინველებს აწი და აწი ...

და თუ ის იქნა
    საქართველო, რომელსაც ვგოხებ.
რომ დისთვის ვობრძვი.
    ანუ რომელს ვეტრფი და ვმონებ,

აქ მოვა მსჯავრით,
    გადმოლახავს ხალხის ზღვა ნაპირს,
მემორიალურს
    მათ სახსოვრად
        გამოფენს დაფებს.

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწადა, ქართველს მევლო ქართველად,
ის, რაც მწამდა და მკლავდა — მეხატა ...
ვგონებდი, მშობლის ასე ადვილად
სესხი და ვალი გადამეხადა ...

მივალ! მივდივარ! ვლონდები შენით!
ხვალ-ზეგ მომსვლელი, ალბათ, მიხვდება:
მხოლოდ სიკვდილით! — ცხოვრებით გრძელით
სესხი და ვალი არ გადიხდება ...

შენ ჩემი წიგნი სახსოვრად გქონდეს, —
მე მზის ქართულის მითქვამს სიცხოვლე, —
ასიათასჯერ მე გიხდი ბოდიშს —
მაპატიე, რომ დიდხანს ვიცხოვრე!

მივალ! მივდივარ! ვლონდები შენით
და ყელგაღადრულს აქ მრჩება თვალი ...
გადაუხდელი ცხოვრებით გრძელით
მიმყვება შენი სესხი და ვალი!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

როდესაც გრიალებს „ბრავო!“
ხეც ლამის სირცხვილით გახმეს;
მურმანი ჰკითხულობს: „რაო,
რაშია, თუ ძმა ხარ, საქმე?“

ხოლო როდესაც „ბრავოს“
„ბისიც“ და „ვაშაც“ უერთდება,
მურმანი იკმარებს „აუჰ!“-ს
და ბოლმით თმები უთეთრდება...

როდემდის, ცოლო და შვილო?!
როდემდის, დაო და ძმაო?!
. როდემდის, სამშობლოვ ტკბილო და
შენც, ჩემო ბებერო თავო?!

1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

სისხლის გუბეში უდგია ფესვი
მუხას და მავანს ჰგონია — ულხინს.
აავსე შუშა ცრემლით და შესვი —
სადღეგრძელოა ეგ შუშა მუხის!

თქვი: ათასწლობით ცა იკაწრება!
თქვი: ფეხზე დგომა რაც ტანჯვად ულირს!
თქვი: გაუმარჯოს ამდენ გაძლებას
ამდენ მოთმენას და ამდენ წუხილს!

აფერუმ, ბიჭო, წარბშეკვრას შენსას!
აფერუმ შენსას დუმილით ქუხილს!
სისხლის გუბეში უდგია ფესვი
მუხას და მავანს ჰგონია, ულხინს!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

დროთ უფსკრულებს გადავყურებ
სამშვიდობოს მდგომარი —
ვხედავ: მოკლე გაზაფხულებს
სცვლიან — შემოდგომანი...
სიკვდილის გზა ცისფერია,
კვდები ხმალმოღერებით —
იმპერიებს იგიერიებ
სისხლის წამოხველებით ...
ფეხზე დგახარ, გცემს ზურგ-ქარი...
მაშ, წინ! წინ და ზემოთ!
დათვი მჭლე და შენ მსუქანი!
დათვი მჭლე და შენ მსუქანი,
საქართველოვ ჩემო!!!

1972

†

როგორ არ არის ეს შენი ძალა,
მე რომ წარბშეკვრით ჩამეცინება,
მე რომ შენ გამო ჭრილობას ვმალავ,
შენ რომ (მძინარიც!) იმედით მმსჭვალავ
და მე რომ შენგნით არ მეძინება!

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრობს ხალხი
ლურჯი პონტის პირას,
ქრისტეს აქეთ
სულს ღაფავს და გმინავს,
ცოცხლობს, სუნთქავს,
პირში სული უდგას,
„გადავრჩიო!“ —
ღმერთს მადლობას სწირავს ...

ღმერთო,
შენი სახელის ჭირიმე!

1976

ზამთარი

თეთრია ირგვლივ რცხილა და მუხა,
თეთრია ირგვლივ სამშობლო მხარე,
მხოლოდღა ცხელი ბუხრები ბურღავს
საქართველოს ცის
გაყინულ ჰაერს.

1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ალარავითარი პიროვნული!
ალარავითარი პირადული!
მურმანო, საკუთრივ შენთვის
თითის განძრევა დამზარდება!
ფიქრები, ფიქრები სახალხო,
ერთი წერტილისკენ მიმართული!
უჯრების მილაგ-მოლაგება
და მერე წასასვლელად გამზადება!

დრო იყო — აგვისტოც მარტობდა,
დრო იყო — ან ღვინო მათრობდა,
დრო იყო - ან ქალი მიყვარდა
კაცი და კაცობა — ესენია!
სურვილის ქვეყანაში სიგრილეა,
სურვილის ქვეყანაში გათოვდა,
ეს, ალბათ, სიბერით სიკვდილია —
კიდევაც, კიდევაც მეშინია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გეტყვი — ტანზე რა ჩვარია!
  არ მახსოვს — ფეხზე რა მაცვია!
    ჩემი სამშობლო ლამანჩაა,
      უთუოდ — მე ვარ ლამანჩელი!
მახსოვს: ლამანჩა — ლამანჩშია!
  მახსოვს: — ლამანჩა — ლამაზია!
    ლამანჩამ — ლამანჩელად ამარჩია
      და სხვა — არაფერი დანარჩენი!

ალარავითარი — პიროვნული!
  ალარავითარი — პირადული!
    მურმანო საკუთრივ შენთვის
      თითის განძრევა დამზარდება!
ოცნება, ოცნება მკივანი,
  ერთი წერტილისკენ მიმართული!
    უჯრების მილაგ-მოლაგება
      და მერე წასასვლელად გამზადება!

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სისხლისგან დაცლა,
    გლახ-სიბერე და უსახსრობა,
მერმეთ კრწანისი, —
    ის, რომელიც დასრულდა კრახით, —
აიძულებდა
    ტახტის-თვისის ეცნო დამხობა,
ჩაეგო ხმალი, —
    მაგრამ ამას ნუ ვიტყვით ძრახვით!

ამხელა რუსეთს
    რას მისცემსო ჩვენი დაპყრობა?! —
იმედოვნებდა
    ერთმორწმუნე რუსეთის ხალხით,
ჰგონებდა ესრეთ
    მომავლისკენ გზების გამხრობას,
გარშემორტყმული
    და დამხრჩვალი მაჰმადის ალყით ...

და დიან დღენი, —
    ცოლით, შვილით, კაცით თუ ბალღით, —
ორასი წელი
    ვართ რუსეთთან პატარა კახით!

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიტაფია

გერგები პაპად,
    პაპის პაპად გერგები, ალბათ,
ვარ ლამეში და
    ასი წელი გაირბენს სწრაფად;
არათუ ხორცი,
    ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს,
კავკასიონის
    მწვერვალები როცა ავერცხლდეს,
„თენდება, პაპავ!“ —
    ჩამომძახო, არ დაგავიწყდეს!

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალები

†

შენ ჩამოხვედი, ეტყობა, მზიდან,
რომ წამსვე ცეცხლის დამწვდნენ ღვარები;
გაქრნენ ქალები — პროსპექტზე დარჩი,
დაგინახე და ... გტაცე თვალები ...
. . .
რვაფეხა მზაკვრებია თვალები ჩემი:
წებოვან საცეცების მიცეცებ-მოცეცებით,
გელაციცებიან — ალერსით, კოცნით,
უტიფარ სურვილით და
მოგონილ მოწიწებით.

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს დედაკაცი

ტრიალებს დედაკაცი, ჯიშიანი ლომკაცის ღირსი,
ხელმძღვანელობს ქმარ-შვილის პურობას...
ტრიალებს დედაკაცი,
შენი იყოს, თუ გინდა სხვისი,
რა სჯობია
    მაგის ყურებას!

მოაქვს ხაჭაპური, შემოგცქერის ალერსით პირში,
ახალისებს სტუმრის გუნებას ...
ტრიალებს დედაკაცი,
შენი იყოს, თუ გინდა სხვისი,
რა სჯობია
    მაგის ყურებას!

ტრიალებს დედაკაცი,
დედაკაცო, შენით ვართ ლხინში!
მადლი მაღალ ღმერთს და შენს გამჩენ ბუნებას!
ტრიალებს დედაკაცი,
შენი იყოს, თუ გინდა სხვისი,
რა სჯობია
    (თუ კაცი ხარ!) მაგის ყურებას!

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები

მშვენებას თვისას ქალები ჰფენდნენ
(ათასი ხრიკი აქვს ყოველ მათგანს!)
ოთხი ათასი წლის წინათ წერდნენ:
„დგას მუტირდისი, სხეულს მისას
ძუძუ-მკერდი
განბზეკით ადგას“ ...

აღტაცებული თვალები მამრის,
ოხ, საქალეთო, ყმად გყავს და მტრად გყავს!
კაცი კვდება და მიჰყვება ჯავრი:
„დგას მუტირდისი, სხეულს მისას
ძუძუ-მკერდი
განბზეკით ადგას“ ...

გახსოვდეთ თავი ცხადში თუ ძილში, —
ქილიკს ნუ ჰკადრებთ პოეტის ნათქვამს, —
ეცადეთ, იყოთ ამ ქების ღირსი:
„დგას მუტირდისი, სხეულს მისას
ძუძუ-მკერდი
განბზეკით ადგას!

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ სარკმელში ხიდის კიდის
ძეწნა ჩანს და წყარო ჩანს;
ხიდზე თეთრი ქალი მიდის —
ტანს მიარხევს საროსას ...

ახლა — ქალაშავა ჰკიდებს
ტოტზე კაბას ჯვალოსას —
ვხედავ გახდას ჭრელი წინდის,
სხეულს ვხედავ საოცარს ...

ღმერთო, ღმერთო, სისხლის ჩქერას
გმადლობ ამ საღამოსას ...
ნუ მომიშლი ცისკრის ცქერას,
მზის ჩასვლას და ამოსვლას!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჩალაბულა უქმეების კვალზე
სხვა ორი დღეც უფერულად მოკვდა,
დღეს ამინდმა გამახარა ძალზე,
კაი ტანიც უცბად თვალში მომხვდა.

ბარე ორი, ბარე ხუთი-ექვსი
სიხარული ვნახე დილის გზაზე,
მომეწონა გეგეჭკორის ლექსი
დაწერილი პატიოსან ხმაზე ...

ვთქვი: მურმანო! ხვალ-ზეგ სამოცს რკალავ,
სხვა რა გინდა, სოფლის სცვითე სტავრა?
ცოცხალი ხარ, გიხარია სანამ
კაი ლექსი, კაი ქალის გავლა!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

იწვის წიგნები და ბარათები,
ღაწვზე — თხიერი ...
მიტოვებულიც, ნალალატევიც,
ხარ — მშვენიერი!
იყუჩე! გაცვლა კაცისგან სხვაზე —
(ადვილად ითქმის!)
ბევრს ვერას იტყვის მშვენიერ ქალზე,
ვერაფერს თითქმის!
იყავი შენში დარწმუნებული:
თვალზე თხიერით,
გამგუნებულიც, დაწუნებულიც,
ხარ — მშვენიერი!
ის არ წასულა თავისი ნებით,
არც ჰაიჰარად, —
თავს დაეღვარა ალერსით, ვნებით —
ზღვამ წაიყვანა.
მეც ... ზღვა მომესმის გამძვინვებული —
ზღვა შენმიერი ...
სხვაზე გაცვლილიც, დამცირებულიც,
ხარ — მშვენიერი!

1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

მწვავდა, მკლავდა, მყვედრიდა
ერთ დროს ხმა ონავარი —
ეგ ხმა ძუძუ-მკერდიდან
ამომავალი ...
ხმა გრძნობათა შენილბვით,
იდუმალით ბურვილი ...
ოჰ, მიყვარდა შენი ხმით
გატენილი ყურმილი.
ძვირფას ლამპარს ვამხობდით,
გრძნობას მსუსხავს ვიქრობდით,
სულ სხვას ვლაპარაკობდით,
სულ სხვას, სულ სხვას ვფიქრობდით.
ხვადს გაბედვა არ ეყო,
თუმც ყვავილი ესროლეს,
ასე ითქმის, — არ იყო
არაფერი ჩვენს შორის ...
სიყრმის მთებში გათოვდა,
აწ თოვს ყოველ ცისმარე ...
ყველაფერი გათავდა —
„ეს იყო სიზმარი“.

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

თვე ოქტომბერი დავყავ ბიჭვინთას,
წელს ისერიგად აღარ მიჭირდა

უცხოთ ასები და ათასები ...
ვწერე ხალისით და გატაცებით.

აქ იყვნენ: ნანა, ლონდა, რუსუდან,
ის, რაც სულს აკლდა, ის, რაც გულს სურდა,

რაც სიყრმით სითბო-სინათლედ გვრჩება —
ოჰ, ქართველ ქალთა ძვირფასი კრება!..

დღე თენდებოდა მოლურჯო ბროლის,
ვცხოვრობდით ჩვენთვის უცხოთა შორის;

ბზის ხეივნებში ელერდა ქართული,
მიძოვდიოდით წელგამართული;

ზედ არ ვუცქერდით დიდმპყრობელ დემოსს,
ბაირალტრობას რომელიც ჩემობს;

და პუნტის ქვეყნის ყელმაღალ ფრინველთ,
ჩვენს ძვირფას ქალებს, ქალებში პირველთ,

ვკითხავდი: „დებო, როგორ გეძინათ?!“
თან ვბოდიშობდი: „ხომ არ გეწყინათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წუხელ ვწერდი — სადილად გნახეთ —
არ მინახავხართ გუშინდელს აქეთ ...“

და მპასუხობდნენ ქალები წყენით,
ჩვენი, ოჰ, ჩვენი ქართული ენით:

„აჰ, რასა ბრძანებთ ... გაწევართ ბარგად,
ისედაც ჩვენთვის საათებს ჰკარგავთ;

ნუ სწუხთ, ცხოვრება გაიადვილეთ,
ეგ არაფერი — წაინადირეთ ...“

და იცინოდნენ მათი თვალები —
რა პატიებით, რა შეწყნარებით!...

დღე ოცდაოთხი დავყავ ბიჭვინთას,
წელს ისერიგად აღარ მიმძიმდა

უცხოთ ასები და ათასები ...
რა სიყვარულით, რა გატაცებით

მისმენდა ლექსთა ახალთა წყებას
იქ ქართველ ქალთა ძვირფასი კრება!

არიან დღენი, — სინათლედ კრთიან,
მაგრამ, რას იზამ, ადრე თუ გვიან,

ხომ განშორების საათი დაჰკრავს!
ტკბილია, რასაც ნაღველი ახლავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩუმი ნაღვლით და გულის წყვეტით
დადგნენ ბაქანზე ერთურთის გვერდით!

„მშვიდობით! ვხედავ თქვენს ძვირფას ხატებს,
სინათლე თქვენი მეც ნათელს მმატებს;

გმადლობთ! დიოდნენ ოქტომბრის დღენი —
მხნე და ამაყი ვიყავი თქვენით!“ —

და ხელს მიქნევდნენ ქალები სევდით:
„გმადლობთ, თუ ჩვენი ეშხითაც წერდით!“

ჰა, მაგნოლიის გვეფარვის ტოტი:
„მშვიდობით! მაგრამ შევხვდებით როდის?“

„კი! უსიკვდილოდ! იქაც და აქაც!“
ყელს მებჯინება ტკბილ-მწარე რაღაც.

„მშვენიერია ეს ცა და მიწა?!
ჩვენი არ არის ბიჭვინთა, რიწა?!

ეს ეგრისი და ეს აფხაზეთი?!
სიკვდილს არ ვფიქრობთ დღეს აქ არცერთი!

ასე ერთობით და ასე გროვად
ჩვენ აქ — ყოველთვის, ყოველთვის მოვალთ!“

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

აქ ქალს დაარქვეს შავი პანტერა —
მოხაზულს უცხოდ, მკვრივსა და ნატიფს
კაცის ჯოგები გადამამტერა:
უარი — ყველას!
პოეტთან — დადის!

ჩვენ კი ... ბეჯითად გავყურებთ ფილმებს,
ვულიმით შურს და ქალების პუტუნს;
ჩვენ — არაფერი! ან ვჭორავთ ვინმეს,
ან ვფურცლავთ ბლოკს და
ვაბოლებთ თუთუნს

თოვლს მოჰყვა გრიპი ლიკანის ბაღში —
ორი დღით ჩაწვა ჩემი პანტერა;
ხვალ ერთად გავალთ პირნათლად ხალხში —
ვრჩები რაინდად!
ვრჩები ქართველად!

რაც გინდა თქვი და, მაინც კარგია
ეს ბღვერა შურით ანთებულ თვალთა,
მუსიკა, ცეკვა, ხალხის მაგია
და შენ, პოეტო,
მშვენიერ ქალთან!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მარეკები შლიდნენ ბანაკს,
ქარი ჩამიჩუმით ჰქროდა,
ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბად —
ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ურო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა —
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს —
ქალის სუნი ჰქონდა.

სუნი ჰქონდა არა დალის,
ლალის, — ცისფრის ანუ თეთრის, —
სუნი — საზოგადოდ ქალის,
სუნი —
საზოგადოდ მდედრის ...

ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს — შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეგ სურნელი,
სანამ
ეგ სურნელი ვიგრძნო!

1973



ეროვნული ბიბლიოთეკა

†

კაბა-სამოსი ქალს არ აჩენდა, —
ხორციელებას მისას ჩქმალავდა;
კაცების ჯოგი მას არ ამჩნევდა,
სხვა ქალებისკენ
ბილიკს ჰკვალავდა.

წვიმდა და ზღვაზე დუღდა ბურუსი,
ზედ არ უცქერდნენ ბეჩავს კაცები
და მთელი კვირა ჰქუხდა ხურულში
თითბრის ჯაზი და
ძგერდა „ტანცები“.

მაგრამ ხვალისდღე სხვაგვარად სჯიდა:
მზემ დაიძახა ერთ დილას „ჭიტა“,
ზღვისპირ გაიძრო მან თვისი ჯვალო
და საკაცეთმა
თვალები სჭყიტა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, თითქოს თივას ავარდა ალი. —
ის იყო მკვრივი, ის იყო ნორჩი, —
ფანტასტიური ის იყო ქალი
და სალოცავი
ზედ ესხა ხორცი ...

ხოლო მან, ვინც „ტუს“ ამ დილით მოჰყვა,
ვინც მაგ სხეულის იცოდა ფასი,
მოხვიდა მკლავი, შეახო ლოყა
და ქალს გულდაგულ
შეუძღვა ზღვაში ...

და შეჰყვნენ წყვილად მიქცევას ზღვისას,
მზით გაჯერებულ ზღვას მიჰყვნენ ცურვით ...
და კაცთა ჯოგი გასცქერდა სხვისას
ბედნიერებას
ჭმუნვით და მდურვით.

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაყაჩოს

ყაყაჩოვ, შლილს და ტკბილს,
ჩემზე იმდენი გითქვამს
მგოსნის და კაი ყმის
ქებად სათქმელი სიტყვა,
რომ, თუმცა სუნთქვაც ჭირს
ამა მზაკვართა სოფლად,
მარტო შენ გამო ღირს
ჩემი ამქვეყნად ყოფნა,

1969

†

მე თუ გავგიჟდი, გავგიჟდები შენი ყურებით!
გითვალიერებ ხორციელ მკლავებს.
ეგ ბაგეები — ალუბლებით შენიღბულები,
ეგ ალუბლები —
სიმწიფით მკლავენ ...

გჭვრეტ ქვეყნიური მშვენებით ბურვილს,
მისმენ — ვედები ღობეს და ყორეს ...
ვცემ თაყვანს — ჩემსას შენდამი სურვილს
აღძრულს —
შენდამი ძალსა და ღონეს!

1959

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

†

ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი —
ბროლი, საპფირი, ვერცხლის ვაზები,
მოწყენილ წარსულს ახალა კარი
და მიიყუდა ცეცხლის თასები ...

ქალაქში დადის კივილი რისხვის
და მითქმა-მოთქმის ქრიან ქორები...
ოჰ, მარადია ყივილი სისხლის
და წყლის ნაყვაა ახლა ჭორები!

1972

†

დიაცი ჯინსით!
    გამოკრული არტახში ტანი!
თვალი გამექცა ...
    ახალგაზრდას ვარიგებ პოეტს:
— გახსოვდეს ქალი,
    ამ ცხოვრების „ანი“ და „ბანი“! —
ის იღიმება:
    — ჩვენ ბოდიში, ეტყობა „ჰოეც“!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ლილი ფოფხაძეს

ლილი, ასე რისგან ხდება,
თქვენ, მიწიერს ცა გიყვართ
და კაცს მაინც გული სწყდება,
რომ ასეთი კარგი ხართ?!

სადაც წიგნის წყდება ბედი,
სადაც ჩვენთვის მსახურობთ,
მობრძანდებით თეთრი ლედი,
ჩვენც მოვალთ და გნახულობთ.

მანდ დადიან პოეტები,
მათთან ერთად, ცხადია,
უცხო მიეთმოეთები,
მჯღაბნელებიც დადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ კითხულობთ წიგნებს უხვად,
ხელნაწერებს ჩაჰყურებთ.
მაგრამ აგრე მკაცრიც ნუ ხართ,
თქვენ ხომ სტამბებს აპურებთ!

თქვენ ჩვენს ცაზე მზით წერიხართ,
თქვენ კაი ყმის ცოლი ხართ,
თან ნამდვილად ცისფერი ხართ,
თან ნამდვილად შორი ხართ...

პოეზიის შვიდი ქნარით
იდუმალის ხმა გიყვართ ...
მოვა თქვენი დიდი ქმარი
და ხელკავით წაგიყვანთ.

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

რომ გითხრა: „მსურხარ დასავით!“
ჩვრად შეგზიზღ-შეგებრალები.
ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს,
აღსავლეთს მიყვარს ქალები!
უფსკრულზე გაგაქვს სავსავით
ეს ხორცი ცეცხლის ბრჭყალებით.
ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს,
აღსავლეთს მიყვარს ქალები!
ბრმა ჰომეროსიც გვასწავლის:
ოთხკუთხივ რაზმეთ ჯარები!
ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს
მუსრეთ სინსილა ქალების!

ქართული ლექსით
ჩანგს დავიმშვენებ.
მამათა გრძნობათ
ნუვინ დამთმო ხართ...
„არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ,
თუ ვით სატრფო ხარ!“

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ დიდი
    სანდრო ბოტიჩელის მადონა ნორჩი,
ამიმხედრდება
    შენი ერთი დანახვით სისხლი
და მერე, როცა
    გვერდზე წახრილს ბეჭებში გკოცნი,
ხოლო შენ მორცხვად
    შენს ათასგვარ ღილაკებს იხსნი,
განუზომელი ნეტარების
    მოლოდინით მევსება ხორცი ...

ო, უტკბილესო!
    ტიტანური შთამბერე ძალი!
მინდა, დაგწვდე და
    აგიტაცო უეცრად ცაში,
მინდა, ვიყვირო:
    „საოცრება! შეხედეთ! ქალი!“ —
მაგრამ ბნელდება
    და ხორხოცით, გრგვინვით და ტაშით
მიექანება უფსკრულებში
    დამსხვრეული ხორცი და ძვალი.

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცო

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო,
ჩაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო ...
შენზე თუ უთქვამთ,
პატარა ციცო!

მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და
არც იმ ჭკუაზე,
ცოლ-შვილს გავეყარო,
მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და
პატარა ციცო,
უნდა დამეხმარო!

ხოლო ციცუნია ტოლებში დაჰქრის
და შენი ეგ მახრა
ფეხებზე ჰკიდია,
თუმცაკი სავსე მკერდი მიუგავს სახნისს
და ეს შეახსენებს,
რომ უკვე დიდია ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ჩამოგივლის მიწაგასახეთქი,
ვითომც ქვეყანაზე
მარტო ის ერთია —
როგორც ხეჭეჭური, ქვაზე დასათხლეში,
ციცო ისეთია!..

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო,
დაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო —
შენზე თუ უთქვამთ,
პატარა ციცო!

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ანდაზად — ზარი! ჩახველება! იღება კარი
და, მსგავსი გედის, —
თეთრი ფაშფაშა ყვავილებით შენს წინ დგას ქალი,
დამცემი ელდის.

ის არც ცოლია, ის არც დაა, არც საყვარელი —
ხატია მეტის! —
უცხო სინათლე შენს სენაკში, გასახარელი! —
გლოცავს და გვედრის ...

დაიმახსოვრე: შენ კი არა, — ოცნებას შენსას,
მრწამსს შენსას ეტრფის!
არ დაგავიწყდეს: ხალხისათვის გავალებს კვნესას,
ეს ყვავილი მას მოაქვს შენთვის!

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაკაცი გვირჩევს

(იუმორესკა)

მიეძალეო კაი სადილს და კაი ვახშამს!
შეეშვი მაგ შხამს!
მიიღე ჩემგან ძმური რჩევა და დავალებაო!
მე პირადად:
თამბაქოს — თავი გავანებეო!
ღვინოს — თავი გავანებეო!
რაიო? ხი-ხი ...
ქალს — თავი ვერ გავანებეო!

1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ხტიან რუები,
შეჰფენია ყაყაჩო ფერდობს,
მზე ჰყვირის ცაში ...
ოჰ, ქალბატონო გაზაფხულო,
ვიყავი ერთ დროს
მე თქვენი პაჟი!..

თქვენს შესახვედრად
გამოვრბოდი უგონოდ მთვრალი —
მწვავდით და მკლავდით,
ჩემს ცხოვრებაში
თქვენ იყავით პირველი ქალი,
რომელიც მწამდით!

გადმოდგებოდით
წითელ-მწვანე ატლასის დროშით
ნაზამთრალ მთაზე —
ოქროს უზანგი
საკოცნელი პაწია ქოშით —
მახსოვხართ ასე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ თქვენგნით გული,
    თქვენგნით გული აღარ ცოცხლდება,
        აღარ ძგერს ლხენით,
მხოლოდღა ცრემლი
    სინანულის წამწამს მოსწყდება —
        თქვენით ...

სხვა სიყრმე გელით,
    ქალბატონო, ლონიერ ხელებს
        სხვა სიყრმე გიწვდისთ ...
და თქვენც, თქვენც მარად ახალგაზრდა,
    მოჰყვებით სერებს,
        მოდიხართ სხვისთვის!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

შიმშილობდა
    მშვენიერი პატარა ქალი,
მწყურვალობდა
    მშვენიერი პატარა ქალი;
მე რა ვიცოდი,
    თუ შიოდა პატარა ქალს?
მე რა ვიცოდი
    თუ სწყუროდა პატარა ქალს?
ნაწყენი დამრჩა
    მშვენიერი პატარა ფური,
ნატკენი დამრჩა
    მშვენიერის პატარა გული ...
მე რა ვიცოდი,
    თუ არ ჰყავდა დამპურებელი?!
მე რა ვიცოდი, მე, რეგვენმა,
    თუ არ ჰყავდა
        დამრწყულებელი?!

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანატორია ... იცოდი, გრძნობდი,
ვით მონადირეს ცდა უჯობს დრომდი,
ასევე ქალსაც! და, კიდეც, ერთ დღეს
დაგხვდა ლარნაკში ... ბიჭვინთის ტოტი.

გულისფრიალით იკითხე: „ვისგან?“
გუმანი გქონდა, ვიცოდით, სხვისკენ!
ის დაღლილიყო ამდენი ცდით და
სხვა ქალთან ერთად ვიდოდა ზღვისკენ ...

და ჩვენ შენს ნაცვლად
გულს ლახვრად მოგვხვდა
და თითქოს რაღაც ისეთი მოკვდა,
რომ იყო ქვეყნად სიცოცხლის ღირსი,
რომლის სიკვდილი შეცდომით მოხდა ...

თავი აიღე! გამაგრდი! სწორდი!
უკანასკნელი რომც იყოს ლოთი,
დანახულია შენი მშვენება —
მაინც კარგია ბიჭვინთის ტოტი!

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილი ქალის

ბედნიერება იყო ჩემთვის, იყო და არის
    სიცილი — ცოლის,
    სიცილი — დედის,
    და, საერთოდ,
    სიცილი
    ქალის!

არის, ქალთაგან პირველის და პირველზე მეტის,
    თოვლებრ სპეტაკი
    მშობლიური
    სიცილი —
    დედის.

არის მეორე, ხმას გამოსცემს რომელიც ბროლის,
    მოსიყვარულის,.
    შემწყნარებლის,
    სიცილი —
    ცოლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ, კიდევ, ფუი ეშმას, იყო და არის,
ატაცებულის, მშვენიერის, ოცნებით მთვრალის,
    გამომწვევი და
    ხორციელი
    სიცილი ქალის ...

იყო ცხოვრება, იყო სისხლის, ცრემლის ღვარები,
    ესეც ხომ იყო —
    იცინოდნენ
    ჩვენთვის
    ქალები!

ელერდა გიტარა, მთვარის შუქი მიადგა ქალწულს,
    (ვიგონებ სიყრმეს,
    ოქროსუბანს,
    ბავშვობას წარსულს),

ის იცინოდა, იცინოდა ნათელში მთვარის,
    თითქოს
    პირველად გავიგონე
    სიცილი
    ქალის.

თორმეტი წლისას გამეღვიძა უსიერ ტყეში,
    ვთქვი: ეს რა ხდება,
    რა გრძნობაა,
    რა ხდება ჩემში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვი: იცინიან რანაირი ეშხით ქალები!
ვთქვი: რას, რას ნიშნავს
ქალის ხმაში
ვერცხლის ზარები!

სიტყვა — აზრია, რით არ არის სიცილიც სიტყვა,
სიტყვა, რომლითაც
აზრი მეტის სიცხადით ითქვა!

იყო ცხოვრება, იყო სისხლის, ცრემლის ღვარები,
ესეც ხომ იყო —
იცინოდნენ
ჩვენთვის ქალები!

ესეც ხომ არის, — სასოებით, იმედით ხვალის,
ხეს ცხოვრებისას
აშრიალებს
სიცილი
ქალის ...

ოჰ, გზას სოფლისას რა გალევდა, ანუ რა გალევს
აწ გზას გასავლელს,
რომ არ იყოს
სიცილი
ქალის!

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ურჩი ჭავლები
გილოკავენ ხორბლისფერ ძუძუს,
ლურჯი ჭალები
მოფენილია გვირილით ...
სიწრფელე მამრის
შენდამი ითხოვს ჩურჩულს,
შეცდომა არის
გრძნობათა მხელა ყვირილით.

უმარტივესი,
უბრალო სიტყვით გეუფლები, —
არც ხრმალ-დამბაჩით,
არც მაჭახლით და ხირიმით, —
„წამოხვალ-მეთქი?!“
ყურში ჩურჩულით გეუბნები,
„თუნდაც სიკვდილში!“ —
შენ მეუბნები ტირილით.

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ნიკურაძე

†

ბატებიც არსად ყიყინებდნენ
  სოფელში დღესდღეობით,
ცაცხვები, მაინც ლილინებდნენ
  ფუტკრების მეშვეობით.
რა აბიბინებდა, ღმერთო ჩემო,
  ცაცხვსა და ურთხმელს?!
რა აღილინებდათ, ღმერთო ჩემო,
  უგუნურ ფუტკრებს?!
ზვარეთის თემში დარი იყო —
  უცხო რამ სანახავი ...
სოფელი მთებში მკვდარი იყო —
  არ ჩანდა დამმარხავი!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ქალაქში მომცეს მე პურის ფული,
რას დაგვიწერო, სახელდობრ, მკითხეს.
მოსძებნე ქვეყნის მართალი წყლული,
დაგვიწერეო სიმართლე, მითხრეს.
— თქვენი ოჯახი აშენდა! — ვამბობ,
სიმართლის წერა, იცოცხლე, მიყვარს.
ოცნების ფრთებით ლაჟვარდებს ვაპობ
და ჩემი თევზი ჩემს წყალში მიმყავს.
ყავრის ღრიჭოში ცა იხედება,
ვაი, დაშლილხარ, ძველო ქვითკირო!
მთა იკეტება! მთა იკეტება! —
დავწერ კი არა, მინდა ვიყვირო.
მინდა ვიყმუვლო: — ვაი, ჩვენი ბრალი!
ამ მთებს, ამ ქედებს, რომლის გულისთვის
მე ვკვდები, ზომავს დღეს მუშტრის თვალით,
ჯგრო ახვევია უცხო ტურისტის.
ყელში ხავილით ამოსდის სული
სვანურს, რაჭულ და ფშავურ ხეობას.
მკლავს ხალხმრავლობის ჯიბრი და შური,
ჩემი სიმცირე და უმწეობა ...
კი, ქალაქს მომცეს მე პურის ფული,
რას, რას დაწერო, სახელდობრ, მკითხეს,
მოსძებნე ქვეყნის ნამდვილი წყლული,
დაგვიწერეო სიმართლე, მითხრეს.

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ვიღვიძებ: სარკმლით ტყე მოჩანს,
ჰგავს წვიმა ათას ცხენოსანს,
ათიათასი ცხენოსნის
ჩორთით სოფელში შემოსვლას.
არ გაისვლება რიყეში,
გზებზეც წითელი წებოა,
დღესაც ვზი ამ ჩემს ციხეში,
მაგრამ ბალიშქვეშ რემბოა,
სკამზე ხილია ტყიური,
იქვე — ხელმრუდის, ნაძრახის,
წიგნი პოეტის, ღვთიურის,
ხელმოცარული ყაჩაღის:
„მე ვარ ფრანსუა, ჭირს ველი,
ჩემი მზე მალე ჩავა, —
ხვალე შეიტყობს კისერი,
რასაც იწონის გავა“...
ვფურცლავ ფრანსუა ვიიონს,
პოეტი — მილიონია,
ეს ერთი მიჯობს მილიონს —
ჩემი ძმა ვიიონია.
წვიმს, ვწევარ, ელავს, წამიც და,
შეჰყეფენ კატაპულტები ...
გავებუტები ამინდს და
კედლისკენ გადავბრუნდები.
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

—1—

იყვნენ სამნი ძმანი, ერთმანეთს გადახედეს,
სოფლიდან ქალაქის ჟრიამულს დააყურეს,
ძველ პალატს ფიცრული სართული გადახადეს —
შიფერი წაახურეს.

მუშტარი იშოვნეს, შრამელი გაყიდეს,
მოიხელკეთილეს, უჭირდათ, არ წახდნენ,
ქვითკირი დაკეტეს, ბოქლომი დაჰკიდეს,
ონში ჩაივაკეს, ქალაქში დასახლდნენ,
ქალაქად დასაქმდნენ ...

—2—

წვრილი წვიმების
    დაწყების წინ ვერცხლსა და ოქროს
ტყე რომ გაირევს,
    წესიერად ამოვლენ ტაქსით ...
გამრავლებულან,
    გააღებენ ქვითკირის ბოქლომს,
ცოლით და შვილით
    მოწიწებით შევლიან სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუა ხეობა.
    მოძებნიან შარშანდელ ჭიგოს,
ჩამობერტყავენ
    პაპისეულ თავწამხმარ ნიგოზს,
მოხიკ-მოხიკვენ,
    ჰაიჰარად, ლუყურტს და ჭიანს,
ვაშლსა და ბიას.
    ერთ ხანს ასე მოწყენით ჯიან
(აქ მე რაჭულ
    დიალექტს ვავლენ!)
და ... ერთი წლით წავლენ ...

—3—

ჩაის ხვრეპენ და ...
    ახსენდებათ სოფლური სახლი
(მაინც და მაინც
    არც ქალაქში არ ისმის დელა!)
ამოიოხრებს
    ბერ-დედა ნაღვლით:
„რას ვერჩოდითო,
    რა ისეთი დაგვიდგა დახლი!
რა მოვიგეთო,
    ჩალისფასად გავყიდეთ სახლი —
სისხლივით წითელი
    იყოვო თელა!..“

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ძველი ქართული ანდაზა
იტყვის: „სოფელი დიდია!“
რამ გაადიდა, ანდა სად?
სოფელს ბოქლომი ჰკიდია!
რაჭა-ლეჩხუმი მშობელი
გაცლილა, გათხელებულა,
ტყეს გადუვლია სოფელი,
სოფელი — გატყევებულა.
ვზივარ ჭვარტლიან ბუხართან,
სცრის ნოემბერი მტირალა.
გამახსენდება წვიმაში
ბაბუაჩემი ფირანა.
სიტყვა იცოდა ჯიბრით,
იტყოდა მხოლოდ მთავარზე:
„აქიდანა და ჭიბრევს'
თხა გევიდოდა ყავარზე!..“
სარკმელში მთათა გრეხილი,
ყავარზე წვიმა არ ცხრება,
შებერებულა ხეხილი,
მოლურჯო პური არ ცხვება,
მე უხდა გავხდე გოროზი,
არ წავიქცე და არ წავხდე —
ლებანიქედის ბოლოში
გიჟივით მარტო დავსახლდე!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ნაწნავები გაუშლიათ
ქარში კარიწყალას ძეწნებს.
ქარავნები დაუწყვიათ
ინდოეთისაკენ მერცხლებს.
„რა არ გადახდებათ გზაში
საწყლებს!“ — დედა მეუბნება.
რალაც გულდაწყვეტის მსგავსი
მიმღვრევს, სევდა მეუფლება.
ზუსტად ხრიხონისის თავზე —
ეგ ნიშანი გახლავს ზამთრის —
მზე ამოდის უკვე ცხრაზე,
სუსტია და ხუთზე ჩადის.
ღრუბლის გაჩეჩქვილა ტვინი,
სცრის თუ წვიმა გვასხამს კოკით,
მოჩანს გაწეწილი ზვინი
ფერმის ყბაწისქვილა ძროხით.
ზვრები — ძირზე აჭრილია,
, რთვლობა — უკაცრავად ნურას!
ნიავ-ქარი ფრთაჭრელია,
მინებს ღამეები მურავს ...
კაცი მომცა, — ღონდებოდეს,
ქვეყნის სატკივარი სჭირდეს,
ჭიქა მიეწოდებოდეს,
დალაპარაკება ღირდეს!!!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ცის ქვეშ ნეზვივით წამოწოლილა ბორცვი,
ძუძუებივით განუბზეკია თივის ზვინები;
აქ ფერმებია (მაშასადამე, ხორცი!!!)
ჩლიქის ნადგამში —
დურბელა და წვრილი წვიმები.

თერთმეტი ბავშვი — ზვარეთს მესამე კლასში!
თორმეტი კაცი — კვაშხიეთს ოთხმოც კომლში!
ტყიური ვაზი — ფარდელი ძროხა ზვარში!
ძირზე ამხმარი, — ხეჭეჭური და კომში!..
„ქალაქს თუ ვერა, მეც ქვე ჩავალ და,
მეც ჩავსახლდები ონში!“

დედალორივით წამოწოლილა ბორცვი,
ძუძუებივით· განუბზეკია თივის ზვინები;
აქ მოწყენაა (სამაგიეროდ — ხორცი!),
თიბვა, ტალახი,
სიჩუმე და წვრილი წვიმები!

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეშინია!

ეს სოფლები: ეს ლოქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,
ძალი არ ჰყეფს, ძალი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! — გაფიცებდი.
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! —
დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე, განჯლრევდი და გაღვიძებდი!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჰოიდა, ზამთარო, ზამთარო,
ღებს და ჭიორას აფთარო,
რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი,
წამხდარო!
ჰოიდა, ბუხარო, ბუხარო,
ხან ზამთრის ჯიბრზე მქუხარო,
ხან — წყნარად მოლაპარაკე,
ხანაც — ჩემსავით მწუხარო!

1976

რას, რას გვაგონებენ ჯუჯა წისქვილები!

მოხუცს, რომელიც საბოსტნეს ღობავს,
დიაცს, რაჭულად თუ ვიტყვით — დღობავს,
ურემს, რომელსაც უცვლიან ბორბალს,
სიმინდს, ქერისპურს, მჭადსა და ხორბალს,
ღუდღუდს ბუხრისას — მჭადისას ცხობას —
პატრიარქალურს, გარდასულ ყოფას ...

საძვალე გორმახზე წარსულის ძვლებია,
ქორთას ვარსკვლავები
გადმოდგნენ მსხვილ-მსხვილები;
ღამეულ ტირიფებში დგანან და ლპებიან
ჯუჯა წისქვილები.

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

რა გირჩევნია: მთაწმინდის პლატო,
ბანკეტის ზრინვა, ქირქილი, ჭორი,
იქ, იმ ზრიალში, შენ შენთვის მარტო
და შენს გარშემო ათასი მძორი,
თუ ყრუ სოფელში ნამცხვარი ქატო,
მჟავე ღვინუკა, რაჭული ლორი,
სამფეხი ტაბლა, კაცები სანდო, —
კუბოს ფიცრამდე შენსავით სწორი?!

1981

†

ეს ნანგრევები
    მეც მომბერენ ათასგვარ ქარებს. . .
შავით მოსილებს,
    მსასოოვრებს, ჩუმებს და წყნარებს,
მოაქვთ წყალი
    კუნეთიდან მოწყენილ ქალებს ...

მოაქვთ იმედიც —
    მოკავშირე ჩემი და მოძმე.
აქ ხალხმრავლობის
    და მძლავრობის ვყოფილვარ მოწმე
და ვიმედოვნებ,
    რომ ხელახლა ვიქნები როსმე!

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი

შენ ფეხებს გბანდნენ,
    შენ თავს გადგა ცოლ-შვილი ლამპით,
დაცული ჰქონდა,
    ჯერჯერობით, საჩქეფურს ნეშო:
გაძვალულ ფეხის
    დაგჭმუჭნოდა თითები ჯაფით
რა მოწიწებით,
    რა სინაზით, რა დიდის ამბით
რა ზარზეიმით
    გამზადებდნენ ხაპისთვის ბესო!!!

შენ ხაპში იდექ!
    ტკბილი სისხლი მოჩქეფდა ხაპით,
შენ მოწყენით თქვი:
    „ვერ ვარგიყო ვენახი წელსო!
რა მოწიწებით,
    რა სიამით, რა დიდის ამბით
ყურძენს სრესდი და
    ჩვენ მიგვქონდა ქვევრისკენ ჩაფით —
წითელი გქონდა
    ეგ ბებერი ფეხები, ბესო!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

ლეკი
ისე არ ემზადება ნამაზისათვის
ფრანგი —
ისე არ ემზადება ლამაზისათვის,
არც — სომეხი და
ებრაელი ვერცხლის თვლისათვის,
როგორც —
ქართველი გლეხი — რთვლისათვის!!!

1975

†

ჭიორის ჭალას ფაზისი ჩქეფს,
ჭიორის მთვარე მოარღვევს ტატნობს;
სძინავს ჭიორას და ᲩᲫინავს ღებს
და მხოლოდ ყურშას არ სძინავს ამ დროს —
მთელ ღამეს ჰყეფს, მთელ ღამეს ჰყეფს,
ყურშას წესია, აამოს პატრონს ...
პოეტი ულრენს სამშობლოს მთებს —
პოეტი ათას გარეწარს აფრთხობს.

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ძველი პალატი
ნესტით, შამბით, აბლაბუდებით ...
(— არ დავბრუნდებით!
— არ დავბრუნდებით!..).

ორმოცდაორი
ლებანიძე უჯდა აქ სუფრას;
ფხალს ჰკეპდნენ ვახშმად,
ღვინოს სვამდნენ, წყალსავით სუფთას.

პატრიარქალურს
მე ვიგონებ მშობლიურ ოჯახს. . .
(კავკასიონის
კრეისერი კვლავ სარკმლით მოჩანს).

ვაზს სხლავდნენ ძველშავს,
ჩამოჰქონდათ თივები შორით,
იკვებებოდნენ
ლომით, მჭადით, შაშხით და ლორით ...

ძველი პალატი
ნესტით, შამბით, აბლაბუდებით ...
(— არ დავბრუნდებით!
— არ დავბრუნდებით!..).

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩერდი, მოასწარ!

გვიმრები, ძეწნები, ძეძვები ჩახლართული,
გზა უხვევს, ანაზდად შეხედე — საოცრება:
პატარა ხეობაში პატარა ნაკადული
პატარა წისქვილის
ლაჯებში გამოძვრება.

შეჩერდი! აქ ჩვენი ბავშვობის ბუდეა!
დგას ჯუჯა წისქვილი, როგორც ჩაფიქრება!
არ ვიცი, არ ვიცი, კარგი თუ ცუდია,
დრო რომ დადგება და ეგ რომ არ იქნება!

შეხედე საბრალოს, სალპობად ჰყუდია!
არ ბრუნავს დოლაბი, სიმინდი არ იფქვება!
ვერ გეტყვი, ვერ გეტყვი, კარგი თუ ცუდია,—
ჩვენ რომ ვიქნებით და
ეგ რომ არ იქნება!

მაგის ძველ დიდებას ჭალას ჩაუვლია,
საცაა ჩაიჩოქებს, თავთხელში წამოწვება...
შეჩერდი, მოასწარ, — დანაშაულია
მაგისი ყურების
არმოსწრება!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ — არაფერი!

ეგ — არაფერი,
ჩემო ქრისტო, ჩემო ღალაკო,
ჩემო ფირანა,
წინაპარო და ამხანაგო,
ჩემო სილოვან,
უწინ გლეხო, მერმე დალაქო,
ეგ — არაფერი,
რომ გლეხკაცმა გაიქალაქოს,
ჭიბრევის გზაზე
რომ ტალახი ისევ ტალახობს,
რომ ძველ ვენახში,
ჩვენს ვენახში ხარი ბალახობს!

ეგ — არაფერი,
ჩემო სეფე და ჩემო რაჟდენ,
ჩემო ლინტორა,
რომ ფარახეთს მიწები გაცდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ოქრუა,
    რომ კვაშხიეთს ბუხრები დაშტენ,
რომ ყანგიანი
    ბოქლომები ჭიშკრებზე გაჩდენ,
ეგ — არაფერი,
    რომ ჩვენები, ძველები გაწყდენ,
ხოლო ახლები
    მახრჩობელა დახლებში დასხდენ!...

თქვენ ეს მითხარით,
    ეს მითხარით, რა ვართ, რა რჯული?!
გარდა იმისა,
    რომ დავკარგეთ თავად წარსული,
რომ ახმა ვაზი,
    ჩაქრა კერა მრავალტანჯული,
რომ მუცლის ქონით
    დღეს სამოსი გვაქვს აჩაჩული,
რომ უბე-ჯიბე
    ხელის ჭუჭყით გვაქვს დაჯარჯული,
პატიოსნებაც
    ხომ არ წახდა ჩვენი, რაჭული?!

მოწყენილ სოფლებს —
    აღარც სტვირი, აღარც ფანდური!
გაპარტახება,
    მყუდროება მზარავს საყდრული!
არც ვაზის მყნობა,
    არც შენება მაღალმხატვრული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ქალის წკვრელა,
    არც ყიჟინა ახალგაზრდული!
ალარც „ქვედრულა“
    და ფერხული მრავალსართული!
ალარც მომსვლელი
    და, პასუხად, ალარც დამხვდური!

ქალამნის ჭვინტში
    აბრეშუმის ბალახით — თომით,
საქართველოსთვის
    საიმედო (ფუძეზე დგომით!!!)
ძტერზე მიმსვლელი
    გულუბრყვილო დევკაცის წყრომით,
სხვა დროს გართული
    თავის ვაზით, ხორბლით და ღომით,
აქ ნაშენობდა,
    აქ მრავლობდა, განთქმული შრომით,
ჩვენი ბრძენი და
    თავმდაბალი ქართული ტომი!...

კი, კი, ბატონო,
    რომ არ ადგა მთის კაცს საშველი,
კი გადიოდა
    საშოვარზე ძველი რაჭველი,
მაგრამ ნაშოვრის
    კურთხეული მისი მარჯვენით
კვლავ რაჭაში და
    კვლავ რაჭისთვის იყო მხარჯველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სადაც იყო,
    თან დასდევდა ფიქრი მტანჯველი
და თვალწინ ედგა
    უტკბილესი მიწის ნაჭერი:

„პორტ-არტურში ვართაო,
ცხენის ხორცსა ვჭამთაო
ქვე, გზის ფული თუ ვიშოვნეთ,
მალე ჩამოვალთაო“.

ან:

„დამისხი, დამალევიე,
ჭკუას მოვალ, გონებასაო —
რაჭას წასვლა მირჩევნია
მილიონის ქონებასაო!...“

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სირცხვილი ჩვენი! — აღარც „რაშოვრა“,
  აღარც „ქვედრულა“ მწველი, მდაღველი!
მომარბენინეთ ყურძნის საშოვრად,
    მომამათხოვრეთ მთელი თაკვერი!

მე მოვიტანე ყურძენი ტონა,
    სახლიკაცები შევერთდით ძმურად,
გავყავით ტოლად, გავყავით სწორად
    და უსინდისოდ სხვის ყურძენს ვწურავთ.

გააქვს ჩხრიალი ძველი ხაპიდან
    ლეჩხუმურ ყურძენს, რაჭაში ნაწურს,
ძველი დიდება ჩვენი გაფრინდა,
    ჩრდილი მოადგა ხეობებს რაჭულს.

სირცხვილი — ჩვენგნით არგასამხელი!
    სირცხვილი — ჩვენი დამამხობელი!
აღარც ვენახი! აღარც ნამყენი!
    აღარც მყნობელი! აღარც სოფელი!

აქ სახელები მახსოვს კაცების —
    ოლონგრიალა და აზამბურა...
არ მაქვს მიზეზი მე აღტაცების,
  დღეს ისევ მოჩანს ხალხი ჭამპურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თავმჯდომარე მიყურებს ელმად,
არც ხნავს, და არც სხლავს,
არც რამე მოჰყავს,
შვიდი სოფელი გვიქცია ფერმად —
დააკინკილებს ასიოდ ძროხას...

ამ ჩემი ბრძოლით, ამ ჩხუბით, დავით,
ამ ჩემი სოფლით, ამ ჩემი მთებით
მე მოვაძულე ქვეყანას თავი
და დავიღალე ამდენი ყეფით.

მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა
ამ ყრუ ხეობის დადგება თავზე,
ჩემს წიგნს ჩახვდება ბავშვიც პატარა,
მოვა ქართველი და იტყვის ასე:

„ვისი ლეჩხუმი და რისი რაჭა,
რისი სვანურ-და-ჭანურ-მეგრული!
მას საქართველოს ოცნება დარჩა —
უხვის, ძლიერის, მუშტად შეკრულის...

ამას რომ წერდა, ზამთარი იყო,
ავდარი იყო სითბორეული,
მთაში ამინდი წამხდარი იყო —
მართალი იყო, მართალი იყო,
მართალი იყო ის ცხონებული'"

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მოვა სექტემბერი წვიმით და ტალახით
და უცბად მოიწყენს
პატარა ქალაქი.

ალარც „დაჩნიკები“, ალარც ბაზრობები,
ალარც ტურისტკები,
ალარც გაცნობები,

ალარც ქოლგები და ალარც „ფიატები“,
ალარც ბრკოლდები და
ალარც გვიანდები...

ცვივა ხეივანში ჭრელჭრული ფურცლები.
ქეგბაძის — ფანჯრები,
არჩვაძის — ყურძნები...

პაწია სკვერები — პროვინციულია...
ბულვარს რომ გადადის —
მგონი, ციურია,

პაწია, მოწყენილ ქალაქს რა სჯობია' —
აქ ყველა გიცნობს და
ყველა ნაცნობია,

და ყოველ საღამოს (რა უნდა აკეთო!)
არც გაგემტყუნება, —
რესტორანს დახედო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ძმაკაცს მიადგე, — ძმობა — სიკეთეა, —
ვბაასობთ, ჭიქაზე
ხელი გვიკიდია;

გავყურებთ შოდას და რიონის სანახებს,
ვთხრით ძნელადგასაძლის
სატახტო ქალაქებს;

და მყუდრო დღეები დღეებს მიჰყვებიან,
ტბაზე გაბაწრული
საწყალი იხვებია...

არის მოწყენაში რაღაც სიტკბოება,
რაც ქვეყნის ზრიალში
ალარც იპოვება...

სად ვიყავ, სად ვიყავ, სად ვიყავ აქამდის?!
„მშვიდობით“ თუ არა,
რად არ ვთქვი „ნახვამდის!“

რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთში,
გვიან-სიბერეში,
გვიან-სიბერეში —

ოქტომბრის წვიმებით, ნოემბრის ტალახით —
მიყვარს მოწყენილი
პატარა ქალაქი.

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

აი, სოფლები, —
    სად ჯერ კიდევ ამოდის კვამლი!
აი, სოფლები, —
    სად არამცთუ შვება-ხალისის,
არამცთუ ხმევა
    აღტაცების ყიჟინის მძლავრის,
არამცთუ „ლალე“
    ხეობაზე ჩავლილი მგზავრის, —

ვლიან დღეები
    და, — უბრალოდ, ყივილი მამლის,
უბრალოდ, —
    ძაღლის ყეფაც არ ისმის!

1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრიხონისსა და
ქრისტესს შუა, სხიერის მთებში,
ამოდის თითბრის
თუ სპილენძის ციერი თეფში...

მდინარესავით
ჩხრიალებს და თავზე გადაგდის
წვრილი ვარსკვლავით
მოჭედილი ღამე მკათათვის...

ალარც-ვის იწვევ,
ალარც ვინმე შენ გიწვევს ხმალში —
ზიხარ ჯორკოზე,
მოწყენილი ხეობის ყბაში...

გამოჰქცევიხარ
ქვეყნურ ხმაურს და ქვეყნის ყაყანს,
ხვალ იმედოვნებ
უხორცობით ცხოვრებას ახალს.

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი მელაპარაკება

— 1 —

ნოემბერი ახლოვდება,
  წვიმიანი ამინდია.
შაბათია, მაგონდება:
  დღეს ოქტომბრის ცხრამეტია.
ხვალ — წიფელა დაგორდება,
  ზეგ — ბუხარი აბოლდება,
ყველაფერი დაღონდება
  სიბერისა გამო...
„გრუზოვიკი“ ულრენს ტყისპირს,
  ლაფში დგას და ტალახს ისვრის,
გინდა, მაგრამ აღარ ისმის
  ორლობეში „ჰაა-მო!“

— 2 —

წარმოიდგენ ჩემს ხეობას?
  ჩემს კორდს? ჩემს აქ დასახლებას?
ჩემს სიყრუეს? ჩემს ტყვეობას?
  სიმარტოვით ამაღლებას?
ცალი ხელით გწერ მხნეობას,
  ვუცდი წვიმის გადაღებას,
არ გთხოვ რასმე შემწეობას,
  მეგობრობის განახლებას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი ძგერს და ცეცხლი ღუის,
ხელშეწყობით — არა ქრება...
ცეცხლთან მეგობარიც ტყუის —
მართალს მელაპარაკება!

— 3 —

— ოქტომბერი გადის, ვფხიზლობ, —
მსაყვედურობს ცეცხლი ზრუნვით, —
მიცვნიხარ და გიცნობ, ვიცნობ
შენთა ზრახვათ, შენთა სურვილთ:
საწუთროა შენთვის ვიწრო,
ხარ დაღრეჯით ჟამთა ბრუნვით,
არ წაგო თავი ვინძლო
ეგოდენის ურვა-ჭმუნვით!
მძაგს მიკიბულ-მოკიბული:
ხამს ცხოვრება სოფლის ბრუნვით!
არ მინახავს მოგებული
ძე კაცისა მშობლის მდურვით!

— 4 —

გადმოკიდებს ზამთარი დროშას,
ჩამოდგება სპა-ბანაკით;
წვრილ სარკმელში ჩამდგარი მოჩანს
შოდა თეთრი ფაფანაკით.
ცეცხლის ლაპარაკი მათრობს, —
არც მეგობრით, არც ჯალაბით, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოდმარტო ვცხოვრობ ამ დროს
ამ დოზანით, ამ ჯანაბით,
შავი — ბუხრით, წითელი — ცეცხლით,
ცეცხლით — ჩემი ამხანაგით...
ვცხოვრობ — საფეთქლებში ვერცხლით,
ვცოცხლობ — ცეცხლის ლაპარაკით!

— 5 —

ზოგჯერ კაცი ვინმე მოდის,
სიმარტოვის ფრინველს მიფრთხობს,
მოდის სოფლის ლოთი-შფოთი,
ვითომც რაღაც უნდა მკითხოს,
მოვა პედაგოგის გროვა —
კლასში ბავშვი ჰყავდეს თითქოს!
მერმე დირექტორიც მოვა —
სკოლის გადარჩენას ითხოვს...
მე — ვინ? ერთის მეტი ვინ მყავს —
ცეცხლის მეტი ამხანაგი?!.
ცეცხლი! ცეცხლი! ცეცხლი მიყვარს!
მიყვარს ცეცხლის ლაპარაკი!..

— 6 —

შაბათს მაწვევარი მომდის,
წვევას მთხოვენ არცთუ ცალყბად;
კვირას სასაფლაო კორდის
ქარში ვდგავარ — ხალხი არ ჰყავთ;

ხორხოშელა თოვლი მკორტნის,
  საწყალს ზლაპრულ თოვლში ვმარხავთ;
თავს ვუქცევთ და, როდის-როდის,
  შინ ვბრუნდები — ვერ ვარ კარგად;
ფოთლიანი ქარი ზუის
  წლების მიმოტალახებას...
ცეცხლი ძგერს და ცეცხლი ღუის,
  ცეცხლი მელაპარაკება.

— 7 —

დეკემბერი ახლოვდება,
  ჭრაქში ნავთი არ მისხია;
შაბათია — მაგონდება,
  ვერ ვიგონებ — რა რიცხვია.
რომ არ მახსოვს, კარგიც კია —
  შებერება დამიწყია,
ყველაფერი დამვიწყნია
  სიბერისა გამო...
„გრუზოვიკი“ ულრენს ტყისპირს,
  ლაფში დგას და ტალახს ისვრის,
გინდა, მაგრამ ალარ ისმის
  „რაშოვ-რერა-რამო“...
ალარც ყურძნის თქრიალი და
ალარც ურმის ჭრიალი და
  ორლობეში „ჰაა-მო!“

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოდიან დათვები...

წითლდებიან თრიმლები,
  ყვითლდებიან ნეშონი,
დგება წვრილი წვიმების
  და მოწყენის სეზონი.
ფითრდებიან დღეები,
  მწიფდებიან პანტები,
ბოყვას, ბოყო-ტყეებით
  ჩამოდიან დათვები.
სოფლისკენ გზაწვრილია
  არარსებულ ურმისთვის,
სოფელი დაცლილია
  გაბრაზებულ სტუმრისთვის:
„სტუმრად! სტუმრად! დავძღებით
  კაცითავა გულაბით!
სტუმრად! სტუმრად! დავსხდებით
  ბოყვას ჯალაბ-ჯულაბით!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე სოფელზე წაბმულა
ქვერით, შქერით, პარტახით —
ბელს მოუძღვის ჭამპურა
ხვადი ბარკლის თახთახით,
მწიფე ზღმარტლებს არხევენ,
მწიფე პანტებს ბერტყავენ,
ნიგოზს ღრჯოლით ამტვრევენ,
სკდებიან და ხეთქავენ,
ერთი ამბობს: „მომწყინდა
ზღმარტლი — ხორცი მწადიან“.
ჯაფარიძის ბოსტნიდან
მესხებისას ჩადიან.
რის მცველი და რა მცველი,
წვიმს, არც თოფის დამცლელი,
არც ყასიდად დამშლელი
არ ჩანს რაჭას რაჭველი.
სევდა-ნაღველს აბოდებს
ტყე გალუმპულ მწუხრიდან,
თხელი კვამლი ამოდის
ორიოდე ბუხრიდან.
დედაბრები ურდულით
ქოხებს გამოჰკეტავენ,
სარკმლებიდან ქურდულად
გამოხედვას ბედავენ.
სოფლიდან გზაწვრილია
არარსებულ ურმისთვის,
ურემი დაშლილია
წუთისოფლის მდურვისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერზე ზვინი ნათიბი
ლპება, გკითხავ რისაგან?!
ბრუნდებიან დათვები
კვლავ თამარის კლდისაკენ,
შორს ნისლები თქორავენ,
ღლაბუცობენ, გორავენ,
ლბილ ფუჩეჩში სკორავენ,
თან მთელ რაჭას ჭორავენ.
მაგრამ მარტო რაჭაა?
ფშავ-ხევსურეთს სხვა ცაა?
არაფერი შეგეშალოს,
რაჭის დღეში სხვაცაა!..
ფოცხვრევს დაუთოვია,
ზვარეთს მოთოვს საცაა.

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე,
შქერზე, პარტახზე, ობლის ვარსკვლავზე,
მთებზე,
ღრუბლები
სადაც ოდენ
დაბალახობენ,
რომ დავიღალე ამდენი წერით,
მე გავჩუმდი და იმ სათქმელს ჯერით
უკვე თავისად
ახლა სხვები ლაპარაკობენ ...

. . .

— მერედა რას წუხ?!
ხომ შეიგრძნო ერმა და ბერმა
პარტახის გესლი?!
განვლო რაღაც ათიოდ წელმა, —
აღმოცენდა კეთილი თესლი!

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მიხვალ მაჩაბლის ქუჩით
    და მოგონებით კრთები:
ათასნაირი ლურჯით
    წელს მთებს საზღვრავდნენ მთები.

ცას შესდგომოდნენ კიბედ,
    ღვარებს ჰგზავნიდნენ სტვენით,
ჭრელი თივები ვთიბეთ,
    თივით ფერმები ვტენეთ.

დარჩა აგვისტო უკან —
    თივებს ვიგონებ ალპურს,
წვრილი წვიმები სწუხან
    აწ განსვენებულ ზაფხულს...

რაჭას, ზემოს და ქვემოს,
    თქვენ გაგიმარჯოთ, მთებო —
მასწავლებლებო ჩემო,
    ჩემო უფროსო ძმებო!!!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

უძვირფასესი იყო ზაფხული, —
ვარ კორდზე თქვენით დასახლებული!
რა მოსავალი იყო ზღაპრული —
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

რა არის ლექსი, თუ არა გრძნობა,
გრძნობა ასწილად გამძაფრებული!
იყო მარტივი სოფლური ყოფა —
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

ჩამომითოვა სამშობლო მთები,
დავკეტე ქოხი — დამრჩა კრებული.
რა ნიშნავს ფრთები! რას ნიშნავს ფრთები!
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

1977

Ψ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოჯახში

†

სახლი — ავაშენე! კორდი — გავათენე!
    რატი ლებანიძეც მეყოლა ...
ვინც ვერ ააშენა, ან არ ააშენა,
    ათასი მოჩმახა და შეყორა ...
სახლის დედაბოძი მიწიდან ამოსული,
    თავისით ამოსული ეგონა!

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ძვირფასო ჩემო,
ის ალარ ვარ, დავმარხე მამა, —
უკანასკნელად
იგი ზღვაზე ბარათებს გვწერდა ...
ის ბარათებიც,
ის ზღვაც, ის მზეც გადამექცა შხამად —
ბევრი ოცნება
მე დავმარხე მამასთან ერთად.

ვიგონებ მამას,
ჩუმს და უთქმელს, მართალს და ამაყს,
ასე ერთნი და
განუყრელნი მან ველარ გვნახა.
დედის ცრემლები
შენგან დარგულ ყვავილებს ნამავს,
წმინდა საფლავთან
შენი ორი ბავშვითა დგახარ.

კუკიის ტაძარს
გაუშლია ცისაკენ ფრთენი
და დღეს ბრიყვთათვის
ცოტას ამბობს დუმილი ჩვენი.

1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს ...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გსრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი, უბოროკილო დღე ...
მოგანატრე სათიბი და ტყე!

აწი ალარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს —
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი ალარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს ...
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე ლ ა ვ!

ელენე — ლენა იყო,
მაგრამ უბღვერდი ყველას
და დიდი პაპა-ნიკოც
ჯიუტად გეძახდა ლელას.

— ლელავ, ცხვარ-ძროხა მოვიდა!
— ლელავ, ხბოს უნდა შველა!
— ლელავ, ეგ დოქი მომიტა!
ლელავ, ლელავ და ლელავ!

ლელათი გაგახარებდა,
ლელას პოემით გწვავდა,
ბიჭსავით დაგატარებდა,
ბიჭსავით ცხენზე გსვამდა.

შევბერებულვართ, ერიჰა!
სიყმაწვილისა გვერდით,
იგონებ ლომებრ ბერიკაცს
ჩუმი წყენით და სევდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგონებ, რამაც შეგვყარა,
რაც დროსთან ერთად გარბის,
ქალაბიჭობის ქვეყანას —
იმ შენს ატოცს და აბისს ...

ხელთ ერბო-კვერცხი მოგვიწვი,
სათვალით ჰკერავ გობანს,
მე შენი სიმხნე რომ ვიცი,
იქმოდი ლელაობას.

მაგრამ ვერა ჰქმენ, ცხადია,
ქმარ-შვილსლა შეგვრჩი, ლელავ,
შენ, ჩემო ცოლო, გადიავ,
დაო, ძმაო და ყველავ!

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

შენი ოქროს წიწილით
და მგლის ლეკვით
სად ხარ ახლა, ელენ!
მელანდება ოხვრით
ფიჭვის ტევრში ქოხი
და ყავარზე კოხი,
ელენ!

მეკუმშება გული:
კარგად ვართო, მწერენ,
ეგ ხელები მწერენ, ელენ!
ჩემს მხნეობას ნატრობ,
ოლ სიტყვას „გმადლობ“
ერთხელ კიდევ გეტყვი,
ელენ!

შენი ოქროს წიწილით
და მგლის ლეკვით
შორს ხარ ახლა, ელენ!
მელანდება ოხვრით
ფიჭვის ტევრში ქოხი
და ყავარზე კოხი,
ელენ!

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მოვიმღერდი როსმე ველად,
მოვდიოდი შენსკენ ძველად
პირის შენის სანახავად,
ხორცთა შენთა საკოცნელად.

და შენც და შენც წამებს თვლიდი,
სადაც ვიყავ, ფრინდი ფრინდი,
ჩემსკენ გამოიჩქაროდი,
ვარდისფერ გზით ჩემსკენ ვლიდი.

აწ ცხვირს საკერავში ჩარგავ,
აწ სათვალეს ხშირად ჰკარგავ,
აწ მესამე თაობისთვის
ათას ჭინჭაბუნჭას ჰქარგავ.

აწ გზა მოფენილა ჭკებით,
წლებით მოცელილი ვჭკნებით,
ცის სავსეა დარბაზები,
ელენ, მოწყენილი ხმებით!

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

დილის ბოლოს ჭალებში ვარ, —
მოვდივარ და ვიცქირეტი.
ყვავილები დამესია —
შროშნები და ზიზილები.
გავიქეცი, დამიჭირეს,
არ მიჯერეს ფიცილები:
ვაიმე, დედა, გავიწირე,
ყვავილებში ვიძირები ...
ყაყაჩო რომ ავირჩიე,
დამაყარეს სიცილები.

1948

†

ატოცისკენ დიდ ჭადრებზე ჯდება მთვარე,
ციცნათელა აგიდევნებს ფრთანათელი ...
მაინც რაა, რომ სულ მთისკენ მრჩება თვალი,
სულ სოფლისკენ დამებედა სანატრელი!

უნდა აგრე აგიქროლოს, ჩაგიქროლოს —
ციცნათელა მთვარის შუქზე ეფეთება ...
არ გეგონოს, ციცნათელა არ გეგონოს,
მანდ, შენს ახლოს ჩემი სული ეხეტება.

1948

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში

— ჩუმად! ბავშვი არ გააღვიძო!
დაღლილია, გვიან დაწვა დასაძინებლად!
— მაინც, რამდენი წლისა არის,
„ქალბატონო“, ეგ თქვენი „ბავშვი“?
— ცხრამეტის გახლავს!
— არც მე ვიყავი ოცის, როცა სანგარში ვეგდე!..
— ფუჰ! მეზიზღები!
მამა ვარო, შენც იტყვი კიდევ!

1969

†

ანაზდეული და უეცარი
არის ეს ლექსი — არცერთი როკი!
თოკსა ჰკიდია წინდა, ზეწარი
და უხერხული სათქმელად ზოგი ...
ცოლმა ჭადარს და აივანს შორის
ახლა მეორე გააბა თოკი ...
დგას ოქტომბერი ეზოში ბროლის,
კვირადღით ხარობს კაცების ჯოგი ...
ეზოში ზიხარ, ჩხრიალებს ნარდი,
მზეა, დილაა, ხარ კმაყოფილი ...
სარკმელში მოჩანს დაღლილი ლანდი
ოჯახის ჭუჭყში მკლავჩაყოფილი.

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მე ხელთ მიპყრია ნაზად
ულალატო და წრფელი
შენი დაღლილი მაჯა,
შენი დაღლილი ხელი,

და გეკითხები, ზვირთი
როს ჩავლილია ბრძოლის:
„მძიმდა თუ არა ტვირთი
შენთვის პოეტის ცოლის?!“

და კიდევ გკითხავ: „ფასად
განათებათა მცირთა
ღირდა თუ არა განცდა
ეგეოდენთა ჭირთა?!“

შენ ხელთ გიპყრია ნაზად
შენი დღეების მკვლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი დაღლილი მაჯა,
ჩემი დაღლილი ხელი,

და მიპასუხებ წყენით:
„რაიღა გინდა მეტი!
ხომ ვვლიდით ჭირთა თმენით,
ხომ არ გავხარეთ ქედი?!

ჩვრად არ გავეგეთ არვის,
დიდთა დიდს მივყეთ მცნებას.
ხომ გიხერხებდი კალმის
სისხლის გუბეში წებას?!

ვით ბროწეულის ნაპობს
ძვირფასი შუქი სწვეთავს,
ესრეთ ცხოვრების ნაყოფს
ჩვენსას მხედველი ხედავს.

და არ არცხვენენ სახელს
მშვენიერნი და ზრდილნი
ჩვენი ღარიბი სახლის
უუმდიდრესნი შვილნი ...

მე ხელთ მიპყრია ნაზად
ულალატო და წრფელი
შენი დაღლილი მაჯა,
შენი დაღლილი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობ — მრწამსით და რწმენით
რაც ვიტანჯე და გტანჯე!
გმადლობ — დღეები ჩვენი,
როგორც მეწადა, ვხარჯე!

ეს დღეც თენდება თეთრად —
განმქარვებელი ჭირთა —
და ვიმეორებთ ერთად:
— ლირდა, ლირდა და ლირდა!

1974

†

მამამ — ლამე დამიტოვა,
დედამ — კაბა შავი მთხოვა!
ერთი — სასაფლაო მქონდა,
ისიც — თოვლმა დამითოვა;
შენ რომ წიგნი დამიტოვე,
სხვამ რომელმა დამიტოვა?!
ბევრი დღე და ბევრი ლამე
კიდევ ბევრი შხამით მოვა ...
ის რომ არ ჩანს, ვისაც ველი,
მოწყენილი ამიტომ ვარ.

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაო ფუსფუსს,
ფუჭ ლაყბობას, ყალბ ხმაურობას,
მართალ და მტყუან
ათასნაირ ქართა ხეთქებას —
უნდა მოვცილდე
მანდაურობას —
არაფერი
ჩემი ხელით მანდ არ კეთდება!

როგორც მოხუცთა
თავშესაფარ შენობას რასმე,
ხალხი „პრიუტად“
რომელს ანუ სამადლოდ იტყვის,
(პურის ფულს მოგვცემს
საქართველო, ასს შენ და ასს მე),
ყრუ ხეობაშიც
მე ვაშენებ პაწია ქვითკირს ...

ოჰ, მართალი ვარ,
მართალი ვარ კაცთან და ღმერთთან!
შენ ხომ წამოხვალ,
ხომ წამოხვალ, ძვირფასო, ჩემთან?

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები

გარშემორტყმული მე ვარ სულ მგლებით,
მგელი ვარ, შენ ხარ ჩემი ძუ მგელი;
აყმუვლებული მე ვარ ჯუნგლებით,
ჩემი ყმუილით ჯუნგლებს ვუმღერი.

მგლური ცხოვრების გაგემე გემო —
ხომ, ხომ გაგემე სამშობლოს ტყეში?! —
ლეკვებს მიზრდი და, ძვირფასო ჩემო,
მომირთმევია ბუნაგში ლეში ...

მინდა, ალერსით ჩაგყმუვლო ყურში, —
გასაოცარი მე ვიცი ხმები, —
აჰა, შენ ლაში, აჰა, შენ დრუნჩი,
შევახოთ ერთურთს გამხმარი ყბები!

სამშობლოს ტყეში მიცდიან მგლები, —
ოცი წელია, მე ვარ სულ მგლებში, —
შევახოთ ერთურთს ალერსით ყბები და
ქეჩოაყრილი წავალ ჯუნგლებში ...

წავალ და ვნახავ, წამხდარ ვენებით,
დამწყდარ ნერვებით მოიგებს რასაც
კაცობრიობა — ამ გახელების,
ამ გამგელების
ფასად!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

(პოემის წერისას)

კვიპაროსები როგორც ბოთლები,
გრძელი ბოთლები ბულგარულ ღვინის;
ძირს, სველ ასფალტზე, ყურძნის ფოთლები,
დეკემბერი და წვეთები წვიმის.
მე მახსენდება, რომ ვეძებ ბოთლებს,
(თეთრებს იშოვნი ახლა ნაკლებად!),
ჰგვის მეეზოვე საყვარელ ფოთლებს,
მშვენიერ ფოთლებს — რა ენაღვლება.
გაუღვიძნიათ ოჯახში ბავშვებს —
ოჯახი, ძმაო, რკინის ხუფია
და სათაგურიც, ჩვენ შორის დარჩეს —
ოი, დასწყევლოს, უკვე ჩხუბია!
ბიჭი გააცდენს, ალბათ, ლექციას,
მაგრამ სკოლაში წავლენ ბავშვები.
ეს რა ფეხების, ბიჭო, ლექსია —
ყველას გავყრი და მარტო დავრჩები!
ჩავიცმევ რკინის ქვიშისფერ პერანგს, —
ერთის ხნით ბანლონს გადავეჩვევი, —
განვაგრძობ ჩემი „დავითის“ წერას
და სისხლის ტბაში გადავეშვები ...

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ელენეობა — მაისის ღამეს
მარტო ვხვდებით თუ
სტუმრებს ვაცილებთ,
დავსხდებით ბოლოს, მაჩუქებ თვალებს
და გავიხსენებთ ჩვენს სიყმაწვილეს ...

ჩემი დღეების შავი მდინარე
ისევ და ისევ შენს დღეებს ერთვის,
არვინ ყოფილა ისე ნაზი, ისე მძვინვარე,
როგორც შენ იყავ
ამ ოცი წლის მანძილზე ჩემთვის ...

დღეები გადის, თვეები გადის,
წლეები გადის —
იყვნენ დღენი დამათრობელნიც.
მადლობელია ძუც, ალბათ, ხვადის —
ბარი-ბარსა ვართ,
ყველაფრისთვის ვარ მადლობელი!

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნუში დაგიხატია, ზაზული,
იქვე დაგისვამს მარტო,
იმ ნუშქვეშ, ფიქრში წასული
დიდედაშენი კატო ...

მიხარის შენი ტრფიალი, რად არა!
ფერში მოთხვრილი თითი!
მაგრამ გაფრთხილებ, არ მემეტები, პატარავ,
ძნელია მხატვრის ტვირთი!

შვილო, გახსოვდეს, ცხოვრების ნიჭი ერთია,
სხვაა — ძებნის და ნატვრის,
ხოლო რჩეულთა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია
ხვედრი ნამდვილი მხატვრის ...

გიჟის ხალათი გერჩიოს, თოლიგე,
მხატვრის და მგოსნის ხალათს!
საყვარელ ქალის ღალატი, თოლიგე,
შვიდფერი მუზის ღალატს!

1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

ჩემო პაწია, საბრალო დედავ,
ბედკრულს, გატანჯულს, გაძარცვულს გხედავ,
    რა ენამ გითხრას:
    — ხვედრს ნუ ემდური! —
განშორებისთვის კაცთათვის დათქმულს
ვუახლოვდებით დაწყევლილ სადგურს,
    სადაც დავრჩები
    მე, უკეთური ...

შენ აიძრები გაფოთლილ ქარში,
ქვეყნის ნაპირზე ბებერი ბავშვი
    დაგრჩება — შენი
    გამმწარებელი ...
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მე თვალებს ვხუჭავ! —
იელვებს შენი ჭალარის ბღუჯა,
    იწივლებს შენი
    მატარებელი.

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა დედაჩემი...

ოთხმოცდამეცხრე წელშია
    პატარა დედაჩემი,
შვიდი წელია, — ბნელშია,
    თვალთაგან სწვეთავს ცრემლი ...

ხშირხშირად იტყვის: „წესია,
    მე წავალ, შენ დარჩები ...“
გონი გრძნობს, წასვლა ერჩია,
    თვალებიც ხედავს ჩემი ...

„ღმერთო, მოგვხედე კეთილად! —
    მაინც ღმერთს ვეაჯები, —
მიცოცხლე ჩემი დედილა,
    პატარა დედაჩემი!“

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვები

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა —
იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
ეს გაზაფხული უეცრად გაჩნდა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი.
მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
და ჰა,
ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი ...

და ჰა, ბუნაგში დარჩა სადღაც ზამთარი დიდი —
მე ეს აპრილი იქ ვნახე სიზმრად:
მილიონ შტოზე მილიონი ფაჩუნობს კვირტი,
და ყველაფერი ჩახჩახებს მზისფრად.
წითელი დისკო შავ მუხნარებს დასცქერის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს ...
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით
მე ვიმოსები
და ველი ზაფხულს ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მიყვარდა ჩემი ტყე და ჩემი დათვები!
მაგრამ, როდესაც გაჩეხილ ბეჭით
მე დავენარცხე და ძირს ვეგდე დღენი და თვენი,
გარდა ამისა, მე დაჭრილი შევიქმენ ეჭვით,
მე მაშინ თოფზე უფრო მეტად ეჭვმა დამთოფა,
მას შემდეგ ვწყევლი დათვის ძუძუებს —
შებრუნდა ყველა, შეირცხვინეს ერთხმად დათვობა
და მწვერვალები გადიძუნძულეს ..

მხოლო იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
მოვიდა, ფრთხილად დამადო ლოყა;
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი
სისხლიან ბილიკს ჩემამდე მოჰყვა;
აიღო თავი, დათვმა დათვებს გაჰბღავლა რისხვით
და მერე დიდხანს ტირილით მლოკა ...
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი
მოვიდა, ფრთხილად დამადო ლოყა ...

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა —
იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა,
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
ეს გაზაფხული რა უცებ გაჩნდა!
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი.
მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
და ჰა, ბუნაგიდან
გამოვდივარ დაჭრილი დათვი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაავებული მე მოვამტვრევ ოცი წლის ჭადრებს!
ვჯეგავ, თუ ჯაგი გადამეღობა!
ვიცი, შევხვდები თავის დროზე უგუნურ დათვებს!
ვიცი, შევხვდები დათვს და მეგობარს!
წითელი დისკო შავ. მუხნარებს დაჰლუის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს ...
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით —
მე ვიმოსები
და ველი ზაფხულს!

1960

†

ზაზა

ბედნიერ იყავ ბოლომდის:
თუ ზღვებში დაგაგვიანდეს,
ისეთი ბედი გქონოდეს,
ხმელეთი დანაღვლიანდეს.
გისურვებ ლახვრას ბოროტის,
დიაცისაგან — მოლოდინს ...
ბედნიერ იყავ ბოლომდის!
ბედნიერ იყავ ბოლომდის!

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სად არის ჩემი ზაზული,
ზაზა წარბგადარაზული!
სად არის ჩემი ფიქრია,
სულ მუდამ ფიქრში წასული!

ალუჩის ტოტზე დაფრინდნენ
ფერადფერადი ჩიტები,
შაშვის ბარტყივით აღებენ
მწვანე ნისკარტებს კვირტები,
ჰეი, სადა ხართ, კარგებო,
სულ გახარებას გპირდებით!

ატმის ყვავილის თოვაში
ტყემლის რძისფერი ფანტელი.
თავს გადგათ ატმის ხესავით
დედის მანდილის კანდელი.

ცად გაჰყვა ჩიტსა შროშანას
თქვენი ფუნჩულა თითები.
ბებერ შტოებზე დაფრინდნენ
ფერადფერადი ჩიტები ...
სულ გახარებას გპირდებით,
სულ ასე აპრილს გპირდებით!

1948

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მიყვარდა!

იქ, მთაში იყო
    მოცვი, ბორცვი, ბჟოლა და ჟოლო ...
როგორ მიყვარდა
    ბავშვობაში აგვისტოს ბოლო!
ვტოვებდით სოფელს,
    მინდვრებს, კორდებს, რიყეს და ჭალას —
ვუბრუნდებოდით
    კვლავ ვეება, ნაცრისფერ ქალაქს.
მოაყვირებდა
    დიდუბიდან საყვირი თბილისს
და უცბად გულიც,
    ბავშვის გულიც იწყებდა ყვირილს:
ხალხის ზრიალში
    მშობელ მამას ეძებდა თვალი —
ხვატთან ნაბრძოლი,
    ნაჯაფარი, კუნთი და ძვალი,
სატინის ბლუზით,
    წარბშეკრული, ჩუმი და მკაცრი —
პერონზე იდგა
    და გველოდა ერთგული კაცი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლის ქუჩით
ქურთი მუშით მოგვქონდა ბარგი,
ჰაერში იდგა
უცნაური სიმწიფის ბანგი.

და უცბად,
როგორც უაზრობა, აბსურდი სრული, —
ნაწვიმარ ასფალტს
ჰქონდა გაჭრილ საზამთროს სუნი ...
ეს ყველაფერი
ახლა გროში არა ღირს სხვისთვის —
ნეტავი რისთვის დაიწერა,
ნეტავი რისთვის!

1969.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

— 1 —

მე ვიყავ ბათომს,
ვიყავ ხულოს და ვიყავ ქედას,
მებრალებოდი
ამ სიცხეში აქ დარჩენილი.
შენ აფხაზეთში
გაქცევიხარ საყვარელ დედას,
„მამა, ძალიან მომენატრე“ ...
მაგიდაზე დამხვდა წერილი.

—2—

შენ ხარ სათნოება! ირგვლივ სხვა დროება
ბრუნავს და ვსასოებ ღმერთს:
„მიმყოფე ბედნიერი! მიმყოფე ბედნიერი!“
შენთვის ვიმეორებ ერთს.

ათასი — ულირსი, ათასი — უხეში,
და კიდევ გეტყოდი მეტს,
ათასი — უტიფარი, ათასი — უმწიფარი
ბედს გააფთრებული სჭედს.

იყავ ბედნიერი! გფარვიდეს ზეციერი!
ეძიე, ეწიე ბედს! —
ენა — იმეორებს, ტვინი — იმეორებს,
გული იმეორებს ერთს.

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გარეთ წვიმაა, ტყეები დალბა,
ოთახში სუფევს ინტიმი წვიმის,
შენ თარგმნი ჯონ რიდს, გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი თხევადი სიმის.

გიყვარდა ვინმე, უყვარდი ვინმეს?
— „აუ“! — ელოდი პასუხად „აუს“?
შეჰფარებიხარ სოფლისას მღვიმეს
გამოჰქცევიხარ ქალაქის ხმაურს.

გჭირს კაეშანი ფერმკრთალს და ამაყს,
შეგტირის გული მოწყენილ ყვავილს;
უთხარი რამე შენს მოხუც მამას, —
განუცამტვერე გუმანი ავის!

ხარ ოცდაორის აგვისტოს თორმეტს —
ვერ გააგონე ძახილი გულის,
თუ გულისძგერით ის შენსკენ მორბის
და თვითონ შენ ხარ მიზეზი წყლულის?!

წვიმს, სულო ჩემო, ტყეები დალპა,
ოთახში ბუდობს ინტიმი წვიმის,
კითხულობ, თარგმნი, გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი
თხევადი სიმის.

1877

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

თეა-თეონა-თეო,
    დღეს შეგისრულდა კვირა,
ჩემო პატარა მზეო,
    თეა-თეონა-ცხვირა!
შობილი ერთი კვირის
    თეა-თეონა ჭყვირის ...
დედ ცხვირს გწამებენ, ბაბუ,
    ჭირიმე შენი ცხვირის!
გარეშე ზრუნვის, ყალბის,
    ზაზა ეტლისთვის გარბის ...
ჭირიმე შენი ცხვირის,
    წარბზე წაბმული წარბის!
კი, ვაჟი მწადდა ბაბუს, —
    ვარ ანგელოზზე ყაბულს,
ფაციფუცშია ბებო,
    საბნებს გიკერავს ფაფუკს ...
რაც შეეხება ჩემს გულს, —
    დღეს შენი შუქით ბრწყინავს,
შენთვის დავუვლი ლეკურს, -
    გინდა, გადავალ ყირას!
თეა-თეონა-თეო,
    რაც გაჩნდი, ხდება კვირა,
ჩემო პატარა მზეო,
    თეა-თეონა-ცხვირა!

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

წვედი — თორმეტს
(იანვარი მოაფრენს თოვლებს ...).
იყო — დეკემბერი,
ჩამოვედი — იანვრის თორმეტს.

არის ბიჭვინთა!
კოკტებელი — თავის ყირიმში!
სად, თქვი, თუ ძმა ხარ!
სად, სად სხვაგან არის თბილისი!

ათბობენ — ცუდად!
ლენა ჰქარგავს! ფიქრია ჰკერავს!
ვარ გასუსული —
ჯოგს მდედრისას ვიგონებ ქერას ...

არაფერი სჯობს,
თუ კაცი ხარ, საკუთარ კერას!
საკუთარ — ბუნაგს!
საკუთარ — ცოლს!
საკუთარ — ენას!

1982



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეხო!

†

თქვენ იალეთ, თქვენ დროშების ფრიალით
ხომ იარეთ, — ბრძანდებოდით პარადში, —
წუთისოფლის ორლობეში ყიალით
მე გზა ვიცი მიმავალი მარადში ...
თქვენ ბრჭყვიალებთ, თქვენი ბამბაც ჩხრიალებს,
თქვენ წრიალებთ — ფეხი გიდგათ ღალატში ...
არ გასწავლით! — ორლობეში ყიალით
მე გზა ვიცი
მიმავალი მარადში.

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

რერო

(იუმორესკა)

ო, არა, იმას
    მე არ გკადრებთ, რაც უნდა ჰყეფოთ,
ძალლების ხროვას
    შეგადაროთ, მოსეულს ალყად, —
მოგესალმებით
    სიყვარულით თქვენ, ჩემო მტრებო,
და ვთხოვ განგებას,
    თქვენი თავი მიმყოფოს კარგად!

    რერო!
    სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო!
    თქვენ რომ არ მეგულებოდეთ, რერო!

მე რომ ვმარცხდები,
    ვიცი, არის თქვენთვის ცხონება,
მე რომ ვიმარჯვებ,
    ვიცი, ძილში არ გესვენებათ ...
თქვენ რომ არ იყოთ,
    რა იქნება ჩემი ცხოვრება!
თქვენ რომ არ მყავდეთ —
    რა მეშველება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა მინდა ამ ქვეყანას მე, რომ
თქვენ რომ არ მეგულებოდეთ, რერო!

შვიდი სასმური
წინ მიდგას და გავცლი ამაღამ,
ჩემი თქვენდამი
უაღრესი მადლობის ნიშნად
თქვენ რომ არ იყოთ,
რა მამღერებს ასე ხმამაღლა,
თქვენ რომ არ მყავდეთ,
ვისთვის ვიყო ნეტავი ფხიზლად!

სულ არ ვიმღერ ამ ქვეყანას მე რომ
თქვენ რომ არ გეყურებოდეთ, რერო!

„მოეშვი მაგათ!“
ოცხეს პირად მირჩია ბრძენმა,
მე — კი, ბატონო! .
მაგრამ გული რომ არა ცხრება?!
და მესმის, მესმის ...
ქვაბის ნარეცხით
დასუქებულ ძაღლების ყეფა ...

რერო!
ხმალს რას ვიქნევ ამ ქვეყანას მე, რომ
თქვენ რომ არ მეგულებოდეთ, რერო!

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

კაცი — გაფუყული დადის,
კაცი — ღრუბელივით დადის,
სპასალარის — მიხრა-მოხრით,
მკაცრი გამოხედვით ყადის.

ანუ — არის ბრძენი ვინმე,
ანუ — ქატოდ არ ღირს მჭადის,
ამას ვწუხ და ამას ვტირ მე —
ჩვენი მოტყუება სწადის.

მაგრამ ოცი წელი გადის!
ვთქვი: თუ არ ჰყავს მთქმელი მართლის,
თვითონ — კეისარმა უთხრას,
რაკი წელიწადებს არ თვლის!

მაინც — იანვრები ბარდნის,
სდევს თებერვლებს ჭყაპი მარტის —
არცა — ქვეყნის ბოსტანს ბარავს,
არცა — ქვეყნის ვენახს ხარდნის,

დღესა ყოველს ესრეთ სჩადის:
ზუსტად ნახევარზე ათის
„ვოლგის“ სავარძელში ჯდება
მილმა — აბრეშუმის ფარდის.

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რას ერჩიო?!“ — კაცზე მკითხეს,
„რას და — ეს ქვეყანა წველა!“
„მოეშვიო!“ — ასეც მითხრეს,
ვუპასუხე: „ვერა!
მე რომ — ჭლექის მჭირდა ხველა,
შენ რომ — ჭლექის გჭირდა ხველა
და დროება შავფრთიანი
ყელს გვეხვია გველად,
მაგან — ეს ქვეყანა წველა,
მაგან — საქართველო წველა,
მაგას — მე ვერ მოვეშვები, —
დედაჩვენი წველა ...“

„რას ერჩიო?!“ — ნაზად მკითხეს,
„ხომ ვთქვი — საქართველო წველა!“
„შეეშვიო!“ — მკაცრად მითხრეს,
ვუპასუხე: „ვერა!
გენიოსს რომ ქოხი ედგა,
ტახტზედ ეგო ნაბდის ძველა,
ეგ ხელმწიფის კაცად შედგა
და იქიდან გვზვერა ...
მაგან — საქართველო წველა,
მაგან — დედაჩვენი წველა,
მაგას — მე ვერ მოვეშვები,
დედა — ძროხასავით წველა!“

1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ათასი რამე მოლპა და მოხმა,
სხვა, სხვა ათასი მოლპება გაისს!
ეს არ იქნება არ იგრძნოს ზოგმა,
ათასში ერთმა
არ იგრძნოს მაინც ...
მაგრამ სიბნელე! უმწეო ბოლმა!
ლაგამ-აღვირად ყოველგვარ წინსვლის
ათას-ტონობით ტვინშია დოგმა, —
უმარტივესის
გაგებას გიშლის!

1966

†

ყველაზე უფრო, რაც დრო ყოფილა,
მე დღევანდელი ჩემი დრო მაწყობს:
დგას მამალმერთი, პურისმცხობელი,
და ვარსკვლავებზე ხვალის დღეს აცხობს.
— ჯანდაბას! — ვამბობ მონა მშიერი, —
დღეის დღეები შუბლში მანარცხე!
ოღონდ განმიძღე მე ნაშიერი,
შთამომავლობა ოღონდ განაძღე!

1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სად მიმიყვანეს, სად სიკვდილს დამსვეს,
რა ქადაგება ამ ყურებს ესმის!..
რა, რა გაჭამეს, ანუ რა გასვეს —
ვაი, სირცხვილო,
ეს კაცი შემშლის!..
ვერგაჩეჩქვილი კეფა ჯერხნობით!
ვერგაჭეჭყილი კეფა ჯერხანად!..
ესრეთ შავს დღეში ვართ უქვეყნობით ...
ვინძლო ოდესმე
ვიქცეთ ქვეყანად!

1967

†

სიცრუის მთქმელი კარგს სვამს და კარგს ჭამს,
(არც ყანას თოხნის, არც ვენახს ხარდნის!)
დაიდგამს ყურმილს, დაისვამს ხარჭას,
დაიცხებს ქვირითს და თართსაც დათლის ...
ეგ — არაფერი! შეერგოს აჯამს!
შენ ის მითხარი, რომ კაცად არ გთვლის, —
დგას ტრიბუნაზე და თვალებს ქაჩავს,
თან თითს მიაშვერს ქადაგზე მართლის!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ვერაფერი გამიგია,
ცხოვრებაში რა ხდება:
ყველაფერი წამიგია —
მეგობრები მაკლდება.
ბრაუნინგით არ მომკვდარან,
ვინც დღეს ჩემთვის მკვდარია,
არც ფანჯრიდან გადმომხტარან
მშვენიერად არიან.
უფრო ხშირად ახლა შინ ვარ,
წვიმას ვნატრობ შხაპუნას:
შევსვათ! ყველა თავის წვრილმან
საზრუნავში ჩაფლულა!
ყველა თავის ნავში ჯდება,
ყველამ სადღაც გაცურა,
ყველა კვდება, გული მწყდება —
წასულან და წასულან!
და დღეები გადის ზანტად,
ღამეები გროვდება,
ვიღაც უსაშველო ლანდად
მწუხრში მიახლოვდება ...
მინდა მთაზე ავირბინო,
ზღვის მიქცევა ვიხილო,
თავში ხელი წავიშინო —
რაც მომხვდება ვიყვირო.

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეშმარიტება

ათასჯერ მიგასაკლავებენ,
ათასჯერ სამართებლით დაგკლავენ,
საჯაროდ მიგასაფლავებენ,
საჩქაროდ ფაციფუცით დაგფლავენ.
მწუხარედ გოროხებს დასწვდებიან,
წესი არისო და, მოგაყრიან,
ალაპშიც სუფრისთავს დასხდებიან
და ცრემლებს ყალბ ცრემლებს, მოგაღვრიან.
მაგრამ რის მკვდარი და რა ცხედარი, —
სამარხი ყლორტებით გაგიჭრია, —
გაიხედავენ და, რას ხედავენ:
ამაყად ფრთები გაგიშლია!
საკუთარ საფლავზე ამოსულხარ
და, რაკი საფლავში წოლილხარ,
უკორძო, უხინჯო გამოსულხარ,
კორდის ჭადარივით სწორი ხარ!
ზეცისკენ შუბივით წამახული,
მწარე ხარ, მაგრამ მოწყალეც ხარ,
ათასჯერ ღალატით დამარხული,
ათას მეერთედ ცოცხალი ხარ!
შენი ნაფოტისგან გამოთლილი
ეს ჩანგიც ჯიუტად ენამწარობს ...
მურმან ლებანიძე მოგიკვდეს!
მურმან ლებანიძე გენაცვალოს!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდება
კაცი იგი როდესაც ოთხმოცს...

(მაინტერესებს!)

დამძიმებული —
    საუკუნის, მუხთალის, ცოდნით,
ერთგვარი ნიჭით
    და მედროვის მურდალი ცოდვით,

ნაპარპაშევი —
    ლიქნით, ზაკვით, კაცის გაცემით,
ინტრიგის ხლართვით,
    და ზურგსუკან დაშნის დაცემით,

აღზევებული —
    რით! — სახელის სყიდვით, ვაჭრობით,
სიბრიყვით ჩვენით,
    უფრო ზუსტად — ჩვენი ლაჩრობით, —

უახლოვდება
    კაცი იგი როდესაც ოთხმოცს,
როცა სინდისი
    შეაწუხებს და პასუხს მოსთხოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინტერესებს,
ერისკაცად შერაცხვა თვისი
რა ფიქრებს აღძრავს
გველაძუა მოხუცის ტვინში?! —

გაკვირვებულმა
ეს მე გკითხე მეგობარს სანდოს,
შენ გაგეცინა,
მთაწმინდისას დავცქერდით პლატოს,

(მანქანა ჩვენი
მიგვაფრენდა შინდისისაკენ ...)
და შენ მითხარი:
— შეწუხება სინდისისაგან

შორსაა მისგან!
დიდი-დიდი — ნაგლეჯი იჭვის:
„ღმერთს მადლობაო,
ის, რაც იყო, არავინ იცის!“ ...

და კიდევ:

„მშვიდობით!
გალმა სადგური მოჩანს!
აწ სააქაო
ფეხებს ვერ მომჭამს!“

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ამ ცხოვრებამ — ბრძნულმან, რთულმან,
ამ ბრძოლებმა — კრულმან, მტრულმან,
ამ შეკითხვამ — გველაძუამ,
იმ პასუხმა — იქედნურმან,
ძმობამ, ყმობამ, მტრობამ, შურმან,
აქეთურმან, იქეთურმან —
ხომ არ — გამოგჭამა გული,
ხომ არ — დაიღალე, მურმან?!

— ორად ორი ნაბიჯია
სიკვდილამდე დაღალვიდან ...
ღმერთო, დაძინება მინდა,
გაღვიძება აღარ მინდა!

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

დაცხრი გულო! — ხმალჩაგებით
    გასწი, იარ, უკელ ძგერას!
დაცხრი, გულო! — წასაღები
    წაულია
        უკვე ძერას!

ყოველ ხისძირს ყაჩაღები!
    ყოველ შტოდან გველი გვზვერავს!
დაცხრი, გულო! — წასაღები
    წაულია
        უკვე ძერას!

არც მეტი და არც ნაკლები —
    მზე ჩასვლის წინ ღრუბლებს ფერავს ...
დაცხრი, გულო! — წასაღები
    წაულია
        უკვე ძერას!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გაგედე?!

როგორ გაბედე! —
    დაუნდობლად მკაცრმა და ბასრმა
და უნამუსომ
    გაგიელვა შენ ჩემზე აზრმა!
შეურაცხყოფას
    შენგან ჩემსას საზღვარი არ აქვს:
შენ შენი ადლით
    გამზომე და სხვაც მიეც ტალახს ...
ვარ გაკვირვებას!
    როგორ?! კითხვით ტყე-ველს შევცქერი:
ნუთუ ცხოვრებით
    საკუთარით მე ვერ შევძელი,
ალმეძრა შენში —
    ლექსით, ბრძოლით, საქმით და წიგნით —
ჩემზე და კაცზე,
    უმაღლესი აზრი და ფიქრი!
მაგრამ ...
    ეგ აზრი ლოკოკინას პაწია ტვინში
იშვა რაკიღა, —
    ჩემგან წყენის არც კია ღირსი —
მე ვერ შამცირებს!
    სილარიბეს, სირეგვნეს ბეჩავს
და უნუგეშო
    სიმარტივეს მეტყველებს შენსას!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

რომ მოვმკვდარიყავ თბილისში ადრე,
მე დამმარხავდნენ, ალბათ, ჩანგებით
და წამიღებდნენ როგორმე, სადმე,
როიალს რომ ჰგავს, კატაფალკებით.

თეთრი ცხენებით, როგორც გედებით,
ორკესტრებით და შავი ეტლებით,
ოჰ, თეატრს ჰგავდა გოგოლის ქუჩა
თავის ცხედრებით და იმედებით.

და ვიქნებოდი, ალბათ, ლამაზი,
უფლისწულივით წყნარი და დინჯი,
თეთრი ყვავილის თეთრ აკლდამაში
გრიმიორის და დალაქის ბიჭი.

ვიცი, დამარხვა უფრო სანდოა,
ვიდრე — ცეცხლში რომ ჩაგიძახებენ ...
მაგრამ თბილისში ახლა სხვა დროა
და კრემაციას ხალხში აქებენ.

ოღონდ მე სიკვდილს ვაპირებ სხვაგვარს
და ინდუსივით მე ვერ დამწვავენ ...
ან დაალპება ეს ლეში სანგარს,
ან ხალხის მტრები
ძელზე გამსვამენ.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჩონგურული, ჩანგურული და დროშები ცაში!
წაღუნული, ჩაყურული — ყურძენსა და ჩაში ...
ჩვენში მარად გაზაფხული! ტაში, ბიჭო, ტაში!
ცხვირჩარგული, თავჩარგული,
თუ მიხვდები, რაში?!
ჩიქვანი ხომ ჯანაბაში,
ლებანიძე — ჭაში!
ხარაბაძე, ბარაბაძე,
ყლენტი, ღლონტი, ჯაში —

ყველა — თავის სალაფავში!
ყველა თავის ჯამში!!!

1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

შურა ბანძელაძე — პეიზაჟს ხატავდა,
მურმან ლებანიძე — რითმავდა შაირს ...
ერთი დღეც გათავდა, ერთი დღეც გათავდა,
მერედა, თუ ძმა ხარ, თუ ძმა ხარ, რაი?!

თამარა ყუფუნიამ ცხრა ტონა ჩაის ნაცვლად
თორმეტი, თოთხმეტი მოკრიფა ჩაი ...
ერთი დღეც გათავდა, ერთი დღეც ჩაინაცრა,
მერედა, თუ ძმა ხარ, თუ ძმა ხარ, რაი?!

რაი ამ ფაფხურს და რაი ამ თამაშსა?!
ამ სტვირს და ქამანჩსა,თუ ძმა ხარ, რაი?!
„ვაი, სოფელსა ამასა
და მისთა მდგმურთა ვაი!“

1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

იყო დრო თავმოყვარების,
    იყო დრო კაცურ ღირსების,
დრო რისხვით ამქუხარების,
    დრო ლორდების და პრინცების!

ცა ჭილყვავების ძახილით,
    არყის ტყე მკაცრი ლანდებით:
თოვლში მიჰქროდა მარხილი
    წარბშეკრულ სეკუნდანტებით.

არა მზაკვრობით მორიგით,
    არა ხრიკით და ტყუილით —
რომ ყოფილიყო დრო იგი,
    გავსწორდებოდით დუელით ...

არავითარი დათმობა!
    არავითარი — ზავი!
არავითარი — დანდობა!
    თოვლი: სისხლისგან შავი!

ჩემი ხელიდან მკვდარი ხარ,
    ჩემგნით ცოცხალი არ ხარ ...
ვაი, რომ ფეხზე მდგარი ხარ,
    თან ორთავ ფეხზე დგახარ!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

„არ იყავით
ვაჟას დღეზე ამ ზაფხულს ჩარგალს?!“ —
ვინ, ვინ მიბედავს?! —
ხელფასს იღებს ეს კაცი მაღალს

მხოლოდ იმაში,
რომ ესწრება თავშეყრებს ჩვენსას,
გვადევნებს თვალყურს,
მწერლუკანა მწერლობას მწყემსავს ...

მე წამოვწითლდი
და ხელახლა გავთეთრდი რისხვით:
„რაო, რა ბრძანეთ?! —
ჩავეკითხე არაკაცს ზიზღით, —

ჩემთვის ყოველდღე
ვაჟას დღეა! — ვუთხარი მკაცრად, —
და ილიასიც, სხვათაშორის!“ —
შებრუნდა, გაშრა ...

რად პირს არ გახსნი,
დედამიწავ, თან არ ჩამიტან,
ათას თახსირთან
რომ პურს მაჭმევ ერთი ჯამიდან!

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

პინგვინები

გამოიშლებიან
დარბაზიდან მკაცრად ჩაცმული
სოლიდური, ხნიერი პინგვინები ...
შავი კოსტუმები! ქათქათა პერანგები!
სხდომასა და სხდომას შუა
ფოიეში წრედ შეიკვრიან ...
ცალ ღილზე შეკრულ პიჯაკებიდან
გამოუჩანთ თეთრი მუცლები, —
მიუშვერენ ერთმანეთს მუცლებს,
ეს კი არის, საპატიო მანძილზე დგანან,
დგანან ღირსებით,
შეჰღიმიან ერთიმეორეს,
შესციცინებენ,
რა თქმა უნდა, ზოგ-ზოგს, შერჩევით ...
დასუნსულებენ ყმაწვილი პინგვინები,
ხნიერ პინგვინებს
მოწიწებით ასწრებენ სალამს ...
არის ამ ხალხში
ისეთიც, რომ ათასს გასრისავს!
დიდი სიფრთხილით
ეწევიან გაცვლას აზრისას,
აფასებენ
კოლეგების სიტყვით გამოსვლას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს — იწუნებენ, აქებენ — მეორეს
სიტყვა — მეზომილი!
სიცილი — ლიმიტით!
სავსეა მათი აღნაგობა
სიმხნით, იმედით!
შეექცევიან
ბუტერბროდებს ქვირითით, ძეხვით,
აყოლებენ შუშხუნა „ბორჯომს“ ...
დაირეკება გრძელი ზარი,
განაგრძობენ ხელახლა თათბირს,
კანცელარულის
დგას სიტყვების კორიანტელი,
ნერგავენ ახალს,
ძველს ტვირთავენ ახალი აზრით,
ახსენებენ მაგიურ სიტყვებს:
„სენაჟს“, „ფურაჟს“,
„რეზერვს“ და „მარაგს“ ...
ხოლო, როცა დღე ჩაძაღლდება,
ჩამოივლიან ბაკიბუკით გრანიტის კიბეებს,
წაპინგვინდებიან
სახელმწიფო ეტლებისაკენ ...

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეგონეგანი

ლამაზი არ არის:
ასი წლის მოხუცი კუნტრუშით გარბოდეს!
ოცი წლის ლიფსიტა ბრძნულად დადიოდეს!
ტყეების პატრონი ნაფოტებს ხარბობდეს!
უნიფხვოს სუნამოს
სურნელი ასდიოდეს!

ლამაზი არ არის:
მეკობრე — მინისტრის ლოჟაში ჯდებოდეს,
გაძარცულ კლიენტებს ღიმილით უკვდებოდეს!
ყასაბი — დნებოდეს, დღითიდღე ხმებოდეს!
ღმერთო, დაგვიფარე და,
პოეტი სუქდებოდეს!

ლამაზი არ არის:
დონ ჟუანი საყდრისთვის სცდებოდეს!
ეპისკოპოსი ბარდელში დადიოდეს!
ბარემ ესეც ითქვას, ესეთიც ხდებოდეს, —
სამშობლო ხელთ ეპყრას
ბერიკაცს ათიოდეს!

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი! — მოცდა მცირეოდენი!
არაფერი!
ქვადქცევა და ლოდინი!

სიბრიყვეა ახლა დაფნის პოტინი!
არაფერი! —
მოცდა ... მცირეოდენი!

ქარი ღრუბელს მიდენის და მოდენის ...
ხედქცევა და
ქვადქცევა და ლოდინი!

სულთმობრძავის მესმის აფთრის ხროტინი ...
ოჰ, ლოდინი!
ლოდინი და ლოდინი;

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ენა რომ ფეტვი!

†

ტელეტექნიკა! ლაზერის სხივი ელდად!
კოსმონავტიკა ანაზდად გამოჭენდება ...
მე ის მახარებს, მე ის მაკვირვებს მეტად,
ფეტვის მარცვლიდან
ფეტვი რომ აღმოცენდება.

სასწაულია და სასწაულზე მეტი,
თებერვლის მერე მარტი რომ გამოჭრელდება,
ფეტვის ყვავილი რომ გამყარდება ფეტვად,
ფეტვის მარცვლიდან
ფეტვი რომ აღმოცენდება.

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მივყავი ხელი
    წიგნის წერას, — გული მძიმდება, —
ცოლ-შვილი მყავს და,
    შენც ქე იცი, ფული მჭირდება ...
რა ვთქვა, რა ვწერო,
    რა ვქნა, თავში რა ქვა ვიხალო —
ვთათხო დროება,
    თუ, პირიქით, ცად ავიყვანო?!
სამაგალითოდ
    გარდაქმნილი მე ვარ ამჯერად,
ის უნდა ვწერო,
    რაც მჯერა და კიდეც არ მჯერა ...
მე ერთხელ ვწერდი:
    კი, სიკეთეს ესვრიან იებს,
მაგრამ სულძაღლი
    ბოროტებაც მარადჟამს ჰგიებს!
ეს გორბაჩოვი
    კი, ბატონო, ნამეტანს ცდილობს,
მაგრამ, მე მგონი,
    გაცხავებულს აკერებს ჭილოფს ...
ღმერთმაც ქნას,
    კურდღელს დაეჭიროს, ჩვენსას მწევარი!
ჰა, ჩემი ლექსი!
    ჩემი ხმა და შესაწევარი!

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა ეს ებრაელმა: „ცხონება ისააკს,
მაგ ხალხს რომ მიწა აქვს, იმდენი ვისა აქვს!“

თქვა ეს გერმანელმა: ნაწყენმა წარსულით:
„სამი ოკეანე მაგ მიწებს გარს უვლის!“

„ხო-ხო, რა სიმდიდრე! ხო-ხო, რა ბუნება!
მაგათ — მსოფლიოსი შეეძლოთ დაპურება ...
(ჩვენ ზოგი მიწების გვინდა დაბრუნება!)
თქვა იაპონელმა.

თქვა შვედმა: „რა, მერე?! ასე დამშეული
ხალხი არ მინახავს ხამსას წასეული!“

თქვა ფრანგმა: „მაგათ ქალებს სჩვევიათ კალოში,
რა ვნახე, — ნიფხვები სცმევიათ ჯვალოსი!“

თქვა რუსმა: „ჩვენ ცაში — ხომალდებს ვაჭენებთ!
თქვენ ჩვენი — რაკეტები გაშინებთ!
თქვენ ილაპარაკეთ, —
ჩვენ ჩვენთვის კომუნიზმს ვაშენებთ!

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ცის დარბაზებში ჟღერს საკრავები,
ცა იფუტკრება სკად ...
სად მიფრინავენ ეს ვარსკვლავები,
სად?! სად?! სად?!

ვკითხავ კოპერნიკს და ვკითხავ ბრუნოს,
თვალგაშტერებულთ ცად, —
ეს ყველაფერი რომ ჰქრის და ბრუნავს,
რა მიზეზით და რად?!

ოდესმე იყვნენ ვარსკვლავთ ჯგუფები, —
ახლა ქცეულნი მტვრად, —
და თუ ჩვენც როსმე დავიღუპებით,
ვინ თამაშობს და რად?!

უფალო ჩვენო! ჟღერს საკრავები, —
ცა გაგიფუტკრავს სკად, —
სად მიგვაფრენენ ეს ვარსკვლავები,
სად?! სად?! სად?!

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

საზიზღარი ნისლი ასდის ქალაქს,
ბოლავს შხამი, სულში მოდის მტვერი:
მე ეს ზიზღი ამხდის თავის ქალას —
ატომურის მე ვარ დროის მტერი!

მე მიყვარდა ბალახებიᲬ მწვანე,
ჭრელი ჰყავდა სოსოს პოინტერი,
ასფალტები ბალახებზე ვცვალე —
ატომურის მე ვარ დროის მტერი!

ვერ წაუველ ამ ბზრიალა ჯარას,
მთელი Არ ვარ, მე ვარ ნოლი მთელი:
ალბათ, ცალ ფილტვს მეტასტაზი მსჭვალავს,
ატომურის მე ვარ დროის მტერი!

ვერჰარნ, სად შენ — შენ წუხილი გზარავს
ორლობის და ურმის დროინდელი,
სატახტოებს ვესვრი გუნდა ტალახს —
ატომურის მე ვარ დროის მტერი!

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მზერა ტვირთმძიმე სახედრისა
ნაღველს ამხელდა,
იდგა დეკემბრის
ჭყაპი, მწუხარი, ქარი და თოვა,
გლეხკაცი
სახრით ამხნევებდა თავის სახედარს:
„აცეო, ვირო!
გაზაფხულზე ოინჯა მოვა!“
მე გამეცინა —
ძეხორციელს ჰყოფნის მცირედი, —
ცხოვრების აზრი
ძემ კაცისამ იმედში ჰპოვა, —
კაცობრიობა
ათასწლობით ცხოვრობს იმედით:
„აცეო, ვირო,
გაზაფხულზე ოინჯა მოვა!“
დიან თვეები,
დის დღეების დასი და დასი, —
იანვრის ბუქი
და თებერვლის ქარების ხროვა ...
გადის ცხოვრება
უკეთესი მერმისის ცდაში:
„აცეო, ვირო!
გაზაფხულზე ოინჯა მოვა!“

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

დიან დღეები
    უგემური, ბილწი და მჟავე,
ეკლიან ულლის
    და სირცხვილის მე ვარ მზიდველი,
კისრიდან სისხლი
    გამთქრიალებს, ის არის შავი —
არ შეიძლება
    ჩემი სისხლი იყოს წითელი!
ამდენი ბოლმა!
    დამცირების ამდენი შხამი!
ამდენი ტანჯვა!
    გაცრუება და გამყიდველი!..
კისრიდან სისხლი
    გამთქრიალებს, ის არის შავი —
არ შეიძლება
    ჩემი სისხლი იყოს წითელი!
მივათრევ დღეებს,
    სადღაც სუსტი ყვავილი ჰყვავის,
არამც და არამც
    არ დაცხრება ბედთან ჭიდილი!
კისრიდან სისხლი
    გამოთქრიალებს, ის არის შავი —
არ შეიძლება
    ჩემი სისხლი იყოს წითელი!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთამაშობ ნადირობას

მზემ ჯუნგლებს გახადა თოვლის ზეწარი, —
დღეს, ვიცი, უთუოდ წავაქცევ ანტილოპას.
ჩემი საყვარელი თამაში ეს არი —
ვთამაშობ ნადირობას ...

ირმებმა ჩამიქროლეს რქაგადაწყობილებმა —
დღეს მინდა მარტორქის ხორცით სადილობა.
ვთვალთმაქცობ პირველყოფილ თემურ წყობილებას
ვთამაშობ ნადირობას ...

— ო-ჰო-ჰოო! — ტბისპირად ვქვავდები იჭვით —
ჩუ, ვილაც მოამტვრევს ბილიკს ნარ-ეკლიანს.
ეს — ქართუს ტომის პატარა ბიჭი, —
სახელად ზაზუ, — ჩემი მარეკია.

ის წამომირეკავს ჭყვიტინა კოლტებს,
ან ჩამომიდენის ზლაზნია ბიზონებს
და ტბასთან, მან იცის, ან უნდა მოკვდეს,
ან მოჰკლას! და ერთად, მხარდამხარ ვიბრძოლებთ.

და შემდეგ, როდესაც ღმერთების ლოცვით,
მოკლული ბიზონის ირგვლივ განვლაგდებით,
დავანთებთ ცეცხლს და უმ-თბილი ხორცით,
ცოცხალი ხორცით კარგად დავნაყრდებით ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხეობაში სხვა ათასწლეულია!
და, არა ქვისა და ბრინჯაოს ცულებით,
ტყიდან გამოდიან უცებ ტურისტკები
სილონის შარვლებით და პლასტმასის წნულებით.

ბაზრიდან იმ წნულებს რამე გამოჰყვება
და ფრთხილად გარეცხავს მას თეთრი თითები —
უჭირს დედამიწას ჩვენი გამოკვება,
ამ ათასწლეულში,
რადგან ხორცით ვერ ვართ მდიდრები ...

და მცირე დავლით და მცირე შაშხანებით
ვბრუნდებით და ვყვებით, როგორ დავუშინეთ,
და შინ გულმოსული ქალები ჯაჯღანებენ,
რომ საქმე აკლდათ და — გავუჩინეთ.

ფიქრიას სახეზე ხათრი ახატია
და მხოლოდ ის პუტავს წვრილ ჩიტებს ლხენით,
ჩვენ კი ვიმედოვნებთ: მატრიარქატია
და მალე დადგება ვაჟკაცის ჯერი!

ირმები მესიზმრება რქაგადაწყობილები,
ხვალ ვფიქრობ მარტორქის ჩლიქით სადილობას —
ვთვალთმაქცობ პირველყოფილ თემურ წყობილებას
ვთამაშობ ნადირობას!

1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

კაცობრიობა შემკრთალი და დაბნეულია!
უკანასკნელი მეოთხედი მე-20 საუკუნის!
რას მივაღწიეთ! რა მოვიგეთ?
დაწამლულია მდინარეები,
ზღვაში — თევზი!
ცაში — ფრინველი!
ქალაქად — მუშა!
სოფლად — გლეხი!
მოწამლულია
თვითონ პურიც,თვითონ ჰაერიც!
გაავებული ბზუის მსოფლიო,
ჰგავს მიწის ბურთი
ვეებერთელა კრაზანის ბუდეს.
არ ვასახელებ ხალხებს და ტახტებს,
შემკრთალ ატომურ სატახტოებს,
საგონებელში ჩავარდნილებს
არა სისუსტით, —
დამანგრეველი,
საშინელი თვისი ძლიერებით!
რას მივაღწიეთ? რა მოვიგეთ!
მოწამლულია მდინარეები,
მოწამლულია დედამიწის მწვანე საფარი,
გაბერწდა მიწა მარჩენალი,
უჭირს დედამიწას ჩვენი გამოკვება!

ბალებში გაჩნდა
მილიონი სახეობა საზიზღარ მღილის,
გაშავდა ფოთოლი, წვიმები თვეობით!
გაჩნდა საეჭვო მიწისძვრები,
გახშირდა ნგრევა,
ხომ არ გვიბიძგეს
მეზობლებმა მიწისქვეშიდან?!
უკანასკნელი მეოთხედი მე-20 საუკუნის!
შუშისგან — ქსოვილი!
ნავთისგან — ხიზილალა!
მოწყენილი მიმოდის ხალხი!
ბუზღუნებს დემოსი —
კუპრისფერი მუშა!
ბიისფერი ინტელიგენტი!
ფრთოსანი რაკეტები!
ბომბი ნეიტრონის!
მეტასტაზები
მიწისქვეშა სამხედრო ქალაქების!
ხოლო ლაჟვარდებს
კოსმოსური სერავენ ხომალდები,
ცას მიაპობენ საჰაერო ლაინერები —
მიაფრენენ
ფიქრში ჩავარდნილ პრეზიდენტებს
(წამდაუწუმ!)
ერთმანეთისკენ.

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

რკინის ქალაქები დავთმე,
სოფლად ტალახები ვზილე.
ოჰ, ბუხარი მომცა სადმე,
ანუ ტყეში ფაცხა მცირე!
სამშობლოში სტუმრად დავალ,
ირგვლივ შემოდგომის ტყეა,
მრავალ, მრავალ, კიდევ მრავალ
ოქროს ფირფიტები ჰყრია.
ვარ მიბმული მანც ქალაქს,
პლენუმს, პოეტების კრებას,
მეც ვეკუთვნი ერთ-ერთ ბანაკს,
სამშობლოში რალაც ხდება.
თეთრი ნისლი თქორავს ჭალას,
ცივა, ხეებს ჩქამი სცვივა,
ვარ დაღლილი, ვიკრებ ძალას,
ბეჭის გარდა გულიც მტკივა.
ურჩი ქარიშხლები დავთმე,
სულში ხომალდები ვძირე ...
ოჰ, ბუხარი მომცა სადმე,
ანუ ტყეში ფაცხა მცირე!

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოშების ტომი, —
    გზას და ბორბალს რომელიც ჰფიცავს,
რომანტიკულად
    მომთაბარობს უძველეს ხნიდან, —
ბულგარელებმა
    აიღეს და, მოჭიდეს მიწას.
მე ვბრუნდებოდი
    სამშობლოში როდოპის მხრიდან ...

ბულგარელს ვკითხე, —
    მატარებლის გაფრენილ სარკმლით
ჩვენ ბოშურ სოფლებს
    გავყურებდით ატეხილთ ჭალად, —
„რაც დაასახლეთ,
    მაინც, როგორ მიუდისთ საქმე?“
„ნამეტანს ჩქარა მრავლდებიან!“ —
    მომიგო მშრალად ...

ოჰ, შიში! შიში!
    საცხოვრისის დაკარგვის შიში!
გენს ებრძვის გენი!
        ათასწლობით ჯიშს ებრძვის ჯიში!
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწა

თევზით სავსე მდინარეებს,
ნადირ-ფრინვლით სავსე ტყეებს,
სატახტოებს ბრწყინვალეებს
და უდაბურ ღრეებს,
სემის, ქამის, იაფეტის —
ევა-ადამისგან ძეებს —
მიაფრენს და მიახეტებს
ღამეებს და დღეებს ...
ჰქრის ხელობა ერთის, ღმერთის,
ცას ჰკიდია ოდნავ მრუდად
ეს — აყალოს სველი ბელტი,
ეს — ტალახის გუნდა.
ღმერთო, საით, ღმერთო, საით?!
ვარსკვლავთ ჯოგებს შენსას ვთვლი და
მეათასედ გკითხავ: — რაით?
საით?!
ანუ სიდან?!

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ამობრიალდება ძველი
დისკო, დიადემა მწველი,
გამოკრიალდება ზეცა,
გამოჭიატდება ველი.
მაგრამ, უცაბედად გრძელი,
სამართებელივით მჭრელი,
გამოსრიალდება მკვლელი,
გამოჩხრიალდება გველი.
წუთში წამხდარია ველი,
გული ჩამკვდარია წრფელი,
შეურაცხყოფილი გახლავს
მზე და ყვავილები ჭრელი.
მაგრამ არახალი, ძველი,
უფლის ურევია ხელი:
ბნელს ნათელი ლახვრავს მარად,
ნათელს მარად ახლავს ბნელი.

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

თამუნია ქავთარაძეს

პირმოლუშული სახითა
  აქ მრავალს ჩაუვლია ...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
  პატარა თამუნია?!

ქალაქი — დიდი იმედის!
  ქალაქი — ტყუპი მექის!
დადიან ბრძნული ხველებით
  ვეტერანები ჭლექის ...

მთაში ირემი აყვირდა —
  ტირილი გაურია ...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
  პატარა თამუნია?!

სად უცხო ჭალაკი არი
  და სად ვიწროში ბლავის
არაგვი — არაგვიანი,
  იქ უნდა კრეფდე ყვავილს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირმოლუშული სახითა
  აქ მრავალს ჩაუვლია ...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
  პატარა თამუნია?!

ანანურზეით სოფელი ...
  წელში გაჩრილი წალდით .
ტყეს წავა მამა მშობელი —
  მუშტისტოლაა დარდით ...

მთაში ირემი აყვირდა —
  ტირილი გაურია ...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
  პატარა თამუნია?!

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ვარსკვლავები ბზუიან
    იდუმალს, იდუმალს,
გვპირდებიან — (სტყუიან!)...
    მშვიდობას, მშვიდობას.

დგანან? — ციურ სხეულებს
    ვილაც როზგით ეხება,.
დასჭყივის და გრძნეულებს
    სადღაც მიერეკება.

დგანან? — მატერიული
    ყოველივე მდინარებს —
ესრეთ — გადარეული
    კაცთა მოდგმაც მძვინვარებს.

ვარსკვლავები ბზუიან
    იდუმალს, იდუმალს,
გვპირდებიან — (სტყუიან!) —
    მშვიდობას, მშვიდობას.

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჩვენ რომ არ ვიქნებით ქვეყნად,
ჩვენი მზე რომ გადიხრება, —
ნუ ჩამითვლი ამას კვეხნად, —
ის მე მკითხე, რა იქნება ...

დაინთხევა ბევრი ტვინი,
ბევრი სისხლი დაიღვრება,
დაირღვევა კოშკი რკინის —
ბროლის კოშკი აიგება ...

მითქვამს, ვიტყვი, დავიჩემებ,
გზა — უჩვენოდ გაიგნება ...
ბრალი ჩვენი, ბრალი ჩვენი —
ჩვენს მაგივრად სხვა იქნება!

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1000 ყვავილიანი ოცვლილი...

†

•

იოდი, ბინტი, ჭრილობა, ჩირქი
ირგვლივ ომი და ჰოსპიტლის ჭვარტლი ...
ხარ ხეიბარი, რიყისქვა, ჯირკი,
კაცი არა ხარ, —
აგდიხარ ჯართი!

ცა — ლამპის შუშა ტრამალის ბოლოს,
მზე — ჩაწეული, როგორც პატრუქი ...
აგდიხარ ხორცი და ხორცში ცხოვრობს
სული დაღლილი
და უბადრუკი!

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

(დეკემბერი — 1942)

გადაიარა არმიამ ულელტეხილი ბერხინიდან,
ყუბანის შავეთს
მივალთ მარუხის შავეთით ...
გადავიარეთ თოვლ-ჭყაპში ულელტეხილი და
ლამის ოთხია —
გარიაჩი-კლიუჩში
ჩავედით ...

გადავათრიეთ: თუჯი, რკინა და რვალი,
გადავათრიეთ,
გადავათრიეთ საჭურველი,
გადავათრიეთ: სული, ხორცი და ძვალი
და ჰა, ფიცრული,
ლამის სათევი
სასურველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირს მილიარდი — ახლა მიგდება ძილად,
დაღლილი თავის
რაზეც მოგხვდება, დადება!
მაგრამ ეს კაცი სიკვდილს მოგყიდის ძვირად,
ბრძანებს ზემდეგი
საჩქაროდ ცეცხლის დანთებას.

თოვლში კოცონი გადაანათებს არეს ...
ახალს რას გვეტყვის
შენი წყეული ენა-პირი?!
„დაიხადეთო! — ახლა ხელახლა ბრძანებს, —
დაიხადეთო,
დაიხადეთო ყველაფერი!“

გამოვრეკოთო თავშესაფრიდან ვერაგები,
ვაიძულოთო
მკბენარი პაპანაქებით ...
შეაბრუნეთო შიგნინაკერზე პერანგები!
ალს მიაფიცხეთ
პერანგის ამხანაგები!..“

დაბერილია ცეცხლით მხურვალი საცვლები,
გახარებული
ჯარისკაცები ყლივიან, —
ტკაც! —
ფეთქდებიან სალდათის სისხლით მაძღრები
და დგაფადგუფით
მოლურჯო ალში ცვივიან ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია გასული,
კიდევ კარგი, რომ
სიზმარია და ძილია, —
გამახსენდება, თამაშად მიჩანს წარსული —
რაც ჩავლილია,
მწარეც რომ იყოს, ტკბილია:

ტრიალ ტრამალში დედიშობილა ვდგავართ,
ყინვა ჭრიალებს,
ცეცხლი გვინთია, ვიყინებით,
ვართ სალდათები — სხვა არაფერი არ ვართ —
ლამის ოთხია,
ბრძანებისამებრ ვიხილებით.

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

46-ე ა რ მ ი ა

მყინვარებში ბრძოდა ერთ ხანს,
  მერე იქვე ბანაკობდა,
ახლა ზღვისპირ კუდზე შედგა,
  ყუბანისკენ, ყუბანისკენ
გასრიალდა ანაკონდა —
იქით, სადაც ცეცხლი ენთო,
  იქით, სადაც ცეცხლი კრთოდა ...
თავი ტუაპსეთან ედო,
  კუდი — ფსხუს და ქლუხორს ჰქონდა.
შენ სად იყავ, მურმან იმ დროს?!
  სული ხორცთან გაყრას გთხოვდა!
არ თქვა ახლა, არ თქვა, თითქოს
  ბრძოლის ველისაკენ ქროდა!
ოთხი ფუთი ბეჭში გჭრიდა,
  ტერფისგული ლურსმანს გრძნობდა!
ღმერთო, რანაირად წვიმდა!
  ღმერთო, რანაირად თოვდა!
მისტოპავდა ჯარი ტლაპოს,
  ზღვარი იშლებოდა დროთა ...
მიგარწევდა წყალი ნაფოტს —
    როტას მიჰყვებოდა როტა.

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანგარში

(იუმორესკა)

„ცეცხლში რომ ჩავყაროთ მარილის კრისტალები,—
სალდათი
ჰყვებოდა
სიცილით, —
გირჩები, ფიჩხები და კიდევ მისთანები,
ცეცხლი
გვიპასუხებს
ტკიცინით ...
თქვენ წარმოიდგინეთ რომ ისიც ასევეა —
სათესლე
ხორბალივით
მსხვილ-მსხვილი —
ტიფს რომ ავრცელებს და ჩვენს ძმას ასევია —
სახელს
ვერ ვამბობ
სირცხვილით!“

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი — 1943

უწვრთნელი თვალი
კვალს ომისას აქ ვერ შენიშნავს,
გასუდრულ ტრამალს
არ დაჰბრუნავს ყორანი ყეფით!
დაბურცულ მუცლებს
საზარბაზნე რუსულ ცხენისას
დამძიმებულან
და გულგრილად ასხედან ჭკები.

სიჩუმე ირგვლივ ...
არც პასუხი სროლაზე სროლით,
არც ტყვია წივის,
არც ქვემეხი ჰქუხს გახელებით ...
მოფენილია
ეს მინდვრები ცხენ-კაცის მძორით,
არავითარი —
მფრინავი და ლურჯა ცხენებით!

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარში

თოვს,
მიაბიჯებს პოლკი, ხვრინავს და
ესრეთ მძინარი ქალაქში შედის ...
«Встать!» —
ცივი ლულა მძინარს ყვრიმალთან,
«Встать!»
და ანაზდად გინებას დედის ...

დასაპალნებულს
საჭურვლით, რკინით,
ჩამძინებია, ჩავმჯდარვარ ქვაზე,
და მე ვინ მითხრას, ახალწლის დილით
ამ ტუაპსესთან მოვსულვარ რაზე!

გაავებული თავზე დამყურებ,
ლულას მიქნევ და გინებით მმარხავ;
ოჰ, მეთაურო, მე არ გამტყუნებ —
შენ, რა თქმა უნდა, სამშობლოს ჰკარგავ,

მაგრამ მეც აქ ვარ, ყმადგაფიცული,
მეც ხომ შენთან ვარ ამ სისხლის ტბორში,
მომიტანია აქ ღაფვით სული,
მომითრევია აქ ტანჯვით ხორცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც, მეც შენსავით მეჭრება ყელი —
ჩემი ცხრამეტი ზამთარ-ზაფხული,
ჩემი საწყალი ცხრამეტი წელი
„ამ უდაბნოში მყავს დამარხული!“

ზის
ნახევარი პოლკი, ხვრინავს და
სხვა ნახევარი ქალაქში შედის ...
«Встать!» —
ცივი ლულა მძინარს ყვრიმალთან,
«Встать!» —
და ხელახლა გინება დედის ...

შორს
ქვემეხებით პორტი ნათდება,
აჩენს ხომალდებს და წამსვე ჩქმალავს,
ვდგები, დგებიან რუხი ლანდები,
— წინ! —
და ფრატუნით მივარღვევთ წკვარამს.

გული მკიდია წყვდიადით დამხრჩვალს,
როგორც სინდიყი ჩითის ტომსიკით
და არაფერი არა და არ ჩანს
ამ თვალშეუდგამ
ბნელს და ომს იქით!

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილი

ქვა ვესროლე, — გავაყოლე
თვალი ფრინველს, ხორცის მჭამელს;
წყევლა-კრულვა გავაგონე —
მოვუღერე მუშტი ღამეს ...

მაღლა ცაში ყირაობდნენ, —
დაბლა ეწყვნენ კაი ყმები, —
ყლიოდნენ და ირეოდნენ —
ლეშს აქებდნენ მყრალი ხმებით.

კვლავ სხდებოდნენ, თათბირობდნენ,
გაჰყვიროდნენ ტატნობს გესლით,
თან ჰკვირობდნენ: „ამდენ მკვდარში
რომელიაო, ქვას რომ გვესვრის?!“

ნაყუმბარევ სანგრის ფსკერზე
გვამს მოერთხა ცოცხლის მორთხმით;
მკვდარი პოლკი იწვა ველზე,
წინ ვიდოდი თოვლში ფორთხვით.

ბექზე მუხა იდგა ქარში —
კენწერო ჰქონდა გადამტყდარი ...
ცხრამეტი წლის ვიყავ მაშინ —
მეოცეში გადამდგარი.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ტრიალ ტრამალში
ლაზარეთი იდგა საწყალი, —
ათოვდა ყუბანს
და ათოვდა ირგვლივ სამყაროს, —
და თქვა დაჭრილმა
(ქარბორბალა ყეფდა გამწყრალი):
„პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს ზამთრის სალამოს!“
მე ყურს ვუგდებდი
ქარაშოტის ყმუილს და წკავწკავს,
თქვა მან: „წყეულმა
დედამიწა ლამის აღგაოს!“
„ამხელა რუსეთს, —
მე მივუგე, — პოეტი სხვაც ჰყავს,
პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს ზამთრის სალამოს!“
მოწყალების და
მოწიწებით ღუმელთან დაჯდა,
(გრიალებს პურგა,
თოვლის ბუქი დაჰქრის, ხარხარობს),
მელნისფერ ბინდში
მოწყენილად ხელსაქმეს წასწვდა ...
„პუშკინზე უკეთ
კაცი არ გრძნობს ზამთრის სალამოს!“

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გარიაჩი კლიუჩიდან კრასნოდარამდე
ცრემლით და სისხლით განაბანები
და ნალმსატყორცნთა გუთნით მოხნული
ამწვანებულან შარაგანები

გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
ცას რომ ბზარავდა გრგვინვა-გუგუნი,
გზას გინათებდა ციცინათელა,
გზას გინათებდა ერთი შუქური ...

გარიაჩი-კლიუჩში ლაზარეთია,
იქ ცხოვრობს ერთი ქალი ნათელი,
შენ ბერლინამდე გზას გაგინათებს
ოქროს ნაწნავთა მისი კანდელი.

გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
შენ გახსოვს სისხლთან სხვა სიტკბოებაც,
გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე
შენი სიცოცხლე არის პოემა ...
დაჯექ, გალექსე,
როცა დრო გექნეს,
ფარაჯიანი კაცის ცხოვრება.

1943

ეუბანი, მოქმედი არმია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლანდება

დაელარა შუბლი მამას
    და შუშანაც ჩემზე დარდობს,
დედის თვალებს ცრემლი ნამავს,
    ნიკო-ბიჭსაც ვერვინ ართობს.
დგას მოწყენა დედის გულში,
    ოთახშიაც სევდა დადის
და ჰკიდია დის გიტარა
    კედელს უხმოდ, როგორც დარდი.
მტვერი აძევს ჩემს დიდ წიგნებს
    და საყვარელ ჩემს ნაწერებს,
მათზე არვინ გაშლის ფიქრებს,
    თვალს ზრუნვით არ შეაჩერებს.
მხოლოდ ჭრაქი მკრთალი შუქით
    იწვის მათზე, როგორც სევდა,
და სარკმლიდან მოხუც დედას
    ზამთრის ბინდი ჩამოხედავს.
ირგვლივ ყოველს ბინდი ფარავს,
    ოთახშიაც სევდა დადის ...
და ჰკიდია დის გიტარა
    კედელს უხმოდ, როგორც დარდი.

1943

გარიაჩი კლიუჩი, ჰოსპიტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

არც რაინდობა,
    არც უბრალოდ ეთიკა ომის —
გახრწნა, დაცემა,
    დამცირება ადამის ტომის!..

დამესიზმრება:
    სისხლის წვეთი ჩექმაში ჩამდის
და, როგორც კურდღელს,
    მესერშმიტი მინდორში დამდევს.

ვდგები, ვეცემი —
    ვერ წაუველ მოტორის ხროტინს,
სისინებს ტყვია,
    ჩემს გარშემო ბალახებს კორტნის.

მინის ლუკიდან
    შემამოწმებს პილოტის თვალი,
ძირს, ცხენის ლეშთან,
    ხომ ნამდვილად ვაგდივარ მკვდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დარწმუნდება,
შებრუნდება, ყიჟინას დასცემს
და სხვა მინდვრებში
სანადიროდ ხარხარით გასწევს.

გამელვიძება,
შუქს არ ვანთებ ... დე, ღამე იყოს —
ღამის უკუნი
მზამზარეულს მკარნახობს სტრიქონს:

არც რაინდობა,
არც უბრალოდ ეთიკა ომის —
გახრწნა, დაცემა,
დამცირება ადამის ტომის!

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერი

†

შენ ხარ — მიწა! შენ ხარ — ახლა მარილი!
ხარ — ბალახი! ხარ — ბალახზე მტვერი!..
მოგონებით სდუმან შემოგარენი —
ყურში მესმის
ლაპარაკი შენი ...

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სიყმაწვილისა ჯოგი
მთას სჭეჭდა ვარხალალეს ...
შებერებულა — ზოგი,
ზოგი — სულ აღარ არის!

იყო ხა-ხა და ხი-ხი,
გრიალი დაფ-ნალარის ...
შორს! შორს! შორს არის რიგი,
რიგი — სულ აღარ არის!

რალაცნაირი გრძნობით:
სიბერით, უკბილობით,
უძვირფასესის თმობით,
ვაითუ — გულგრილობით,

მახსოვს მეგობართ დასი,
ვჭვრეტ და ვწუხ ნაყანარებს ...
ზოგი — შორს დარჩა გზაში,
ზოგი — სულ აღარ არის!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

საფიქრებელი ბევრია ახლა, —
ისევ მოდიან შენთან ფიქრები.
დაჯექ და წერე, შორს შენგან დაღლა,
ისიც გეყოფა რომ არ იქნები!

რომ არ იფიქრო, შენი ნებაა?
მოავლე თვალი აწმყოს და წარსულს ...
სოფელში ახლა გასვენებაა —
ხუთზე მარხავენ ოცი წლის ქალწულს.

ახლა ცოტაა გასახარელი,
წაუკითხავენ დეპეშას ყველას.
მაინც რა ტურფა, რა საყვარელი
სახელი ერქვა იმ საწყალს — ლელა!

კურთხეულ იყოს ყოველი მგზავრი,
რომელმაც უნდა განვლოს ულრანები!
მე ექვს შაურად სამძიმარს ვგზავნი:
„მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების!“

1968

ათასი ჭურჭლის ზარ-ზეიმით იყო რონინი

არის გარჩევა —
ეძიებენ თავისას კაცნი —
ერთი იბრძვის და
ის მეორე, უბრალოდ, ჩხუბობს ...
უბრუნდებიან
მიწის სტომაქს დასნი და დასნი.—
მე მოკრძალებით
მივყვებოდი სულ თოთხმეტ კუბოს.
ის იბადება,
რათა ქმნიდეს მშვენიერებას,
ეს დაიბადა, —
მშვენიერი. პირაქეთ ჰლუპოს ...
გასაკვირველად
ჭრელი ვნახე ქვეყნიერება —
მე მოკრძალებით
მივყვებოდი სულ თოთხმეტ კუბოს.
უძვირფასესთა,
ჩემთვის, ჩანგთა მეპატრონენიც
მათ შორის იყვნენ,
ვინც იმ უცხო თოთხმეტად ჯგუფობს.
ათასი ჭურჭლის
ზარ-ზეიმით იყო რონინი —
მე მოკრძალებით
მივყვებოდი ჩემს თოთხმეტ კუბოს.

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ოთხი ფიცარი ოთხი ფიცარი! ოთხი ფიცარი!
ყველა მკვდარია, ყველა მკვდარია,
კარგი ვინც არი!..
იქ, საიქიოს
(ეგ ფარდა გასწი!) ლურჯდება ჰაერი ...
აქ, სააქაოს,
ფუჭდება კაცი! ფუჭდება ღვინო!
ფუჭდება შაირი!
ზაკვის, ღალატის,
ტირანიის, წყვდიადის მტრები, —
ლურჯ ხეივნებში მიდ-მოდიან
ძვირფასი მკვდრები ...
ოთხი ფიცარი! ოთხი ფიცარი! მკაცრი ფიცარი!
ყველა მკვდარია, ყველა მკვდარია,
კარგი ვინც არი!
კიდევ კაი, რომ
სალმრთო, საერო ქარი ბუხუნებს!
კიდევ კაი, რომ კიდევ კაი, რომ
ორიოდ კაცს თვალი უყურებს!
ოთხი ფიცარი! ოთხი ფიცარი! მკაცრი ფიცარი!..
ყველა მკვდარია!ყველა მკვდარია,
კაცი ვინც არი!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ეტიუდები
    სამშვენისად თენგიზ მირზაშვილს,
სიმონ ჩიქოვანის —
    მოწყენილი „დღიური განჯის“ ...
ისევ პორტრეტები —
    შორეული შენთვის ბიძაშენის,
ჰემინგუეისი — კაცური კაცის!

ზარმაცი დენდი
    მახლობელი, აქ გყავს გერონტი,
ორ-ლომ-შუა დგას
    გამოხედვით ალერსიანით,
ეს პარიზელი
    საქართველოთი —
თავის გოგლათი ... და ტიციანით ...

რად შეგიყვარდა
    სიბერეში ეს პორტრეტები?
ალბათ კი არა,
    ნაღდად ბერდები!
მკვდართა მზის აქეთ
    ცოცხლად აქ ხარ, აქ დაეთრევი
და სიკვდილიდან
        მოგძახიან ალავერდები!

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

გურამ!
ახალციხესთან ტბა ყოფილა — მე რა ვიცოდი!
გურამ!
ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა, მე რა ვიცოდი!
იქ სლავურ სოფელს რა უნდოდა, მე რა ვიცოდი!
და სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა სახედნად
რომ მპატიჟობდი,
ველარასდროს თუ ვერ გნახავდი,
მე რა ვიცოდი!

„ნელი ტანგოა“ ეს ქვეყანა, გურამ!
ხომ არ იცეკვებო, — ათასჯერ მკითხეს!...
აბასთუმანში, ჭიქა არაყზე,
„გურამი დამხრჩვალაო“, —
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს ...

აწ გვაგონდები
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით,
ვინც კაცურ მჯილით გრანიტებს ფშვნიდი,
გურამ! შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი —
შენს კისერს უგავს
კისერი — მშვილდი!

1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ქარბუქი, სარკმლის ჯაჯგური,
მწუხრი, სენაკი ცალთვალი,
შინ — შენი ბუნაგ-სადგური,
ოთხ კედელს იქით — ზამთარი.

კედლებზე — მცენარეული:
რტო კოწახურის გამხმარი,
ზაფრანა — მზეგარეული —
თვალის სალბუნად სახმარი.

და, უცბად, თაბაშირისგან,
სახე — გრანიტის ნამტვრევი —
ხელმარჯვნივ მამაშენისგან
ვაჟას ნილაბი ნამკვდრევი.

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლჩებით და ყავარჯნებით
გრძელი სოფლის კართან ვდგავართ;
მოკლე სოფელს არ დავრჩებით,
ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

კეისარიც, სპასალარიც,
თვითონ რომის პაპიც თავად
(სხვა სოფელი არსად არი!)
ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

ამ ტალახებს გავშორდებით,
ამ ორლობეს ლაფში ვყავართ ...
მადლობა ღმერთს, გავსწორდებით,
ყველა — გრძელ სოფელში წავალთ!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს!

ხოსო იორამაშვილის ხსოვნას

ეს ერთი სიტყვა უნდა ავიხირო —
მახსოვს!
შენი დათვისისხლა შავი ღვინო —
მახსოვს!
შენგან მოძღვნილი არყის ბოკო
მახსოვს!
შენგან მოწვდილი ტახის ხორცი —
მახსოვს!
იორ-მუღანლოში სადილობა —
მახსოვს!
შენ რომ შემაყვარე ნადირობა —
მახსოვს!
შენ რომ ლელიანის კატა მაპოვნინე —
მახსოვს!
შენ არ ესროლე და მე რომ მასროლინე —
მახსოვს!
მე რომ პირველი ხოხბით გავიხარე —
მახსოვს!
შენ რომ დაიხარე და აიყვანე —
მახსოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივრის ჭალები აქოჩრილი —
მახსოვს!
ეგ მხრები ბრეზენტით გაკოჭილი —
მახსოვს!
მზისგან დამწვარი გორმახები —
მახსოვს!
შენი თათარი ყონალები
მახსოვს!
ბოლო ხანებში გვეღლებოდი —
მახსოვს!
მახსოვს, ხელიდან გვეცლებოდი —
მახსოვს!
„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო“,
მახსოვს!
„ჰაუ, რანაირად თენდებაო!“ —
მახსოვს!
ლექსებს მიკითხავდი კოცონთან —
მახსოვს!
ეს ოთხი სტრიქონი მოგწონდა —
მახსოვს!

„გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი,
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი,
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი“ ...

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი

სიკვდილი იქნება — მეუვსეული!
სიკვდილი იქნება — უეცარი!
სიკვდილი იქნება ჩაბნელება — მოულოდნელი!..
ფოსფორიული აინთება თვალები წუთით,
შავი ავაზის გაიგონებ კბილების კაპუნს
ზევით და ქვევით,
წინ და უკან, მარცხნივ და მარჯვნივ
გაჩნდება ლამის შავი დაფა ექვსივე მხრიდან ...
ხომ ემზადები სიკვდილისთვის?!
ბევრიც ემზადო, სულ ერთია, სულ ერთია,
ის იქნება მოულოდნელი!
სიკვდილი იქნება — სახტად დარჩენა!
მოსწყდები პალოს და, უფსკრულში დაქანებული,
სულ იფრენ ლბილად, არასოდეს დაენარცხები.
უმტკივნეულო,
სულ ადვილი იქნება სიკვდილი ...
ოღონდ ეს არის, —
გაიელვებს ნაგლეჯი გრძნობის,
რომ რაღაც დაგრჩა გაღმა ნაპირზე —
წამოღება ვერ მოასწარი ...
სიკვდილი იქნება — ლბილი ჩაბნელება!!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

არაფერია, ხომ ვნახე, აქაც!
სამუდამო სტყუა ნაპირიც!
რა გირჩევნია: იყოს იქ რაღაც,
თუ — არაფერი?!

დამხობილია კოშკები ბროლის —
უსულგულოდ, ჯიუტად, მკაცრად!
უკანასკნელის იმედის შორის
რას მაძლევ
ნაცვლად?!

გულზე მომეკარ, გულზე მომეკარ —
ღრმა არის წყლული —
ვიკითხოთ ერთად: „რისთვის მომიკალ
რისთვის
მომიკალ გული?!“

ჩამკიდე ხელი: სიყრუე აქაც!
სამუდამო ყრუა ნაპირიც!
არის იქ რაღაც?! არის იქ რაღაც?!
თუ — არაფერი?!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოი!

— ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ —
ყინულის ლოგინში!..

ვოი, კალა-უშგული შეკრებილა —
ყანას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა ...
ვოი, შხარა სისხლით შეღებილა —
კოხტა თიკანაძე მომკვდარა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში.

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა ...

ცოცხლისგან საყვედური აუგია —
თოკი ერთადერთი ჩაუბია —
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
ალმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე, მითხარით ზარი!..“

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:
„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა —
რამ დაგაპტარავა, შვილო?!“

ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს
შენი საკაცე ...
შენ დაგეუფლა
ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი
უკვე დახარჯე ...
შენ გაიელვე
ლრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს
ლამე გახაზე ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და მიტივტივებს
შენი საკაცე ...

ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ —
ყინულის ლოგინში ...

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა ...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია —
ვარსკვლავი
ვარსკვლავებს მომწყდარა.

1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამისთევა

(19 მარტი — 1959)

ათასი ჯურის
უნიჭობა იბრძვის, ფაფხურობს,
ასფალტებს ცვეთავს,
შენ კი მანდ წევხარ,
მაგ ჭურჭელში, ხუფი გახურავს,
ყინული გწვეთავს.

შუალამეა,
გაიკრიბნენ მაღალნი გვამნი
მელნის ხელობის:
ღამეს გითევენ,
უმრწემესნი ძმათაგან სამნი
ჩვენი მწერლობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამომდგარია
კრეისერი ლურჯი მთაწმინდის
მიდიხარ, მიხვალ!
ჩვენ აქეთ ვრჩებით,
შენი გზა კი ციდან ცას მიდის —
ცოტაც და, შინ ხარ ...

ათასი ვინმე
მელნისაგან ადედებს დურბელს,
სამსალას ლესავს ...
შენ კი მანდ წევხარ,
ხვალ გაჰყვები იისფერ ღრუბელს,
გზაშარას შენსას.

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

ალამართ-ალმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი — მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა — მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი —
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა - და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა — მისი ჟინი მართავდა ...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა,
„რა ჰქნა?“ — უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?“ — ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა.
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭალარა ...

სდუმდნენ დიდოსტატები,
იდგნენ მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.

წინ გვიძღოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.

რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გერმანე გობეჯიშვილის ხსოვნას

ერთი მრწამსით, ერთი რწმენით,
შენ, ვინც ჩვენი საძმო შეჰკარ,
გულზე დაკრეფილი ხელით
სამუდამო ნავში წევხარ.

ელერს ჰიმნები უძველესი —
დაქცეულხარ, საძმო სახლო!
თვალზე ცრემლით უწრფელესით
მწადს, შენს მარჯვენს ტუჩი ვახლო.

წვიმა სამარხ ბექობს ლესავს,
წვიმს და წევხარ საყვარელი.
მეგობარი მეგობრისას
აწ შეძენას ალარ ველი.

აწ სამთაგან ორნი დავრჩით
და შენს ტაბლას ვხევისბერობთ,
რათა მოგონების ფარჩით
ახალუხი შეგიკეროთ.

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსი

ამ ჭრელმა ყუთმა —
(იქმს სასწაულს კვლავ როსლა აწი!)
ერთი საათით
გამიცოცხლა
ძვირფასი კაცი ...

მთელი საათი
მე აუგში ვიყავი ღმერთის, —
ენთო ეს კაცი,
იწვოდა და
ცხოვრობდა ჩვენთვის ...

საზარელია —
გარდაცვლილი მღერდა ჰარალეს,
ჩაქრა ეკრანი,
მე ხომ ვიცი,
იყო და — არ არის!...

ამ ჭრელმა ყუთმა
(იქმს სასწაულს კვლავ როსლა აწი!)
ერთი საათით
მიცოცხლა და
მომიკლა კაცი!

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდრები

არდავიწყების
    მწვანე კონცხთან ამოდის გემი
ზღვის უფსკრულიდან;
    მისცემიან გემბანზე ფიქრებს.
მიცვალებულებს —
    ალმაზებს ოცნება ჩემი —
ბევრი მათგანი ქუდს მიხდის და
    ცხვირსახოცს მიქნევს.

აკაკი მოკვდა,
    მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს,
გალაკტიონმა,
    ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები.
ფასშეუვალი
    და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
    დახუნძლული ძვირფასი მკვდრებით.

ხოლო ცოცხლები
    ჩემს ნაპირზე, ჩემს გვერდით დგანან,
მგონია, ვდგავარ
    ერთდროულად ძმებთან და მტრებთან;
ხელს ვართმევ ცოცხლებს,
    მაგრამ მკვდრები სხვა ნისლში ჩანან
და კარგად ვიცი,
    რომ საერთო მეტი მაქვს მკვდრებთან.

„წინ! ასწი თასი!
მოაშურე ჩვენს მსუბუქ ხომალდს!“ —
ვილაც, დიდი და
იდუმალი, გაფრენას მირჩევს ...
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად უძნელეს სივრცეს.

ხომ არ დაბერდა,
ხომ არ გაცვდა ჭურჭელი ხორცის,
რომ, რაც დრო გადის,
უხორცობის წყურვილით ვთვრები,
რომ მპირდებიან
სამუდამო ტაძარში ქორწილს
და მეძახიან
მეძახიან მე ჩემი მკვდრები?!

რა არის წლები,
ეპოქები რა არის ხშირად, —
მოწამებრივი,
ხორციელი ცხოვრების შემდეგ
უსაზღვროების
თუ იქცევი წილად და შვილად
და წარიშლება
შენთვის ზღვარი
და სიტყვა „შესდექ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუ, ეს ვინ გალობს?
  მწვანე კონცხთან ფრიალებს აფრა —
კრთის და ფრთხიალებს
    უთეთრესი ყვავილი ხსოვნის.
იქ არა ერთის
    შარავანდი ბრიალებს ლამპრად,
იქ რუსთველია
    წინმდგომად და მეუფედ ყოვლის.

იქ, წინაპრებთან,
    ჩემი დროის შვილებიც ჩანან, —
მკერდბუმბერაზი
    ეს ვინ დადგა მამების გვერდით?
ოჰ, რა ლირსებით,
    რა ლომური ჭალარით დგანან
და რა ურყევნი
    ერთი მრწამსით და ერთი ხვედრით!

„— მაშ, ასწი თასი!
    მოაშურე ჩემს მსუბუქ ხომალდს!“ —
ვილაც, დიდი და
    იდუმალი, გაფრენას მირჩევს ...
და გალურსული
    ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
    და საფრენად უძნელეს სივრცეს.

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულად — წვიმს, დიდებულად — თოვს,
დიდებულად ქრის ქარი — ქარაშოტი ...
არ დაგცდეს საყვედური წვიმაზე, ქარზე —
არ თქვა წუთისოფლის
აუგი არასოდეს!

საზიზღრად იწვიმებს, საზიზღრად ითოვებს,
საზიზღრად იქროლებს ქარი — ქარაშოტი,
ჩვენ რომ დავიღლებით, ჩვენ რომ არ ვიქნებით
და სხვა რომ იქნება —
მკერდზე ყაყაჩოთი!

1981



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოხვრიალის ქარ...

†

ხმელი ყვავილები ლბილ მინდვრებს მაგონებენ —
კიდევაც მახარებენ და
კიდევაც მაღონებენ ...

ისინი მახსენებენ, რომ იყვნენ მინდვრები
ოდესღაც ცოცხალი
ფერებით მდიდრები ...

რომ ლიბილი მინდვრები უკვე გამხმარია
და სიჭაბუკეც
ჩავლილია, უკვე რა ხანია.

1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ორმოცდაათის მერე
ვატყობ, ადვილად ვთვრები.
ვწუხვარ, გულს ვეღარ მტკენენ
ჩემი პატარა მტრები.

ხომ ისევ იმას წერენ,
ვლიან იმავე გზებით —
ორმოცდაათის მერე
შემწყნარებელი ვხდები.

დრო ჰქრის როგორღაც სწრაფად,
ვატყობ, დამოკლდნენ წლები ...
ეს სიბერეა, ალბათ!
ვხვდები, ძამიკო, ვხვდები!

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ორი გორაკი ჩანს ფანჯრიდან,
თავი მესამეს
ამოუყვია იმ ორს შორის —
სამშობლო ეს არის!

შავ ფუჩეჩს წვავენ, ხეხილს სხლავენ,
ვენახი შესარეს,
ფანჯრიდან ვხედავ: ახოს ხნავენ —
სამშობლო ეს არის!

გულს რაღაც ულხინს, მაგრამ სული
მაინც მკვნესარებს ...
ჩუ, ტყის სიღრმეში გუგული კვნესის —
სამშობლო ეს არის!

1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

შენ მეკითხები: რას ვაპირებ აწი და აწი!
რას შეიძლება
აპირებდეს
ჩემი ხნის კაცი?!

ვაპირებ იმას, რაშიც შაურს არავინ გიხდის!
კოხტად, ლამაზად
დაბერებას,
ლამაზად სიკვდილს!

შენ რა, საერთოდ მეკითხები, გავიგო ასე,
თუ ყოველდღიურს?!
რას ვაპირებ,
დავუშვათ, ხვალ-ზეგ?!

თუ აგრეა და, ჩაკარებას ველი დეკემბრის,
თოვლი მიყვარს და
ჩამოთოვოს მთები ეგების ...

ველი ფანჯრების
ამოგმანვას ... თოვლით და ჭირხლით, —
განვაგრძო
ჩემი მოწყენილი
„ოთახის ციკლი!“

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამცდება ზოგჯერ შეძახილი ომახიანი:
დასტოვებს საფარს
და ბუხუნით,
მუქარით, წყრომით
მოეზაყება, დედამიწა მოაქვს ღრიალით —
მიძინებული
უცბად ჩემში
ილვიძებს ლომი ...

მაგრამ უმალვე გული ეჭვით გაიკაწრება,
მხნეობა ჩემი
არსებულით
მალევე ცხრება
და გადამფრენი ფრინველივით გაებაწრება
ცხოვრების სარკმელს
მოწყენილი
დღეების წყება ...

. . .

ყურს ნუ ათხოვებ
მოწყენილი დღეების. კვნესას ...
მკითხველო ჩემო,
შენ ლომს მიჰყევ,
ლომს მიჰყევ ჩემსას!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

არიან კაცნი — მცხოვრებნი წარსულით,
არიან კაცნი — მცხოვრებნი აწმყოთი;
მომავლის ოცნებით მე ვიყავ ჯვარცმული,
კოშკებს მომავლისას ვშლიდი და ვაწყობდი ...
აქედან ბუნდად ჩანს მომავლის სურათი —
ეჰა, მომავალო, წავწყდი თუ მთლად ვცხონდი?!
თუ ლალის ღვინო ხარ — ღვინოდ მე გწურავდი!
თუ შავი პური და —
ვაგლახ, მე გაცხობდი!

1980

†

კაცს, პიროვნებას, ერისგან განცდილს,
ხალხს, ხალხთა ბრძოლას, წყვდიადს, სინათლეს,
სწადს პოეზიას, ბოლომდე ჩასწვდეს,
იდუმალს ჩასწვდეს ძირის-ძირამდის ...
ვიყავ! ვიცოცხლე! ვიქროლე, ვბრძოდი!
დააპე გული თუ გინდა ხანჯალს,
ჩანს ჭეშმარიტის ტოტს იქით ტოტი,
ხე ჭეშმარიტის — არა და· არ· ჩანს!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ღრუბლები ჩაივლიან და ტყეებს გაბურავენ,
ამობოლდებიან ნისლები ულრანებით ...
შენ ნუ გეწყინება პოეტის სამდურავი —
ის ცხოვრობს გალუმპულ
ტყეების მწუხარებით.

დაღლილის, დაშლილის, დაჭრილის, ხეიბრის,
ხელჩაქნეულის და ყასიდად უკარებლის
შენ ნუ გეწყინება — ის ცხოვრობს ღრეების,
ის ცხოვრობს გალუმპულ
ტყეების მწუხარებით.

1981

†

არახალია ვარდთა ფშვენანი,
ძმობით თანხმობით ჩანგთა ჟღერანი,
კაცთაშორისი მიმოფენანი
სათნოებათა —
არახალია ...
მაგრამ სუფევენ ნიჭნიც ქვენანი,
შურით, სიავით თითზე კბენანი,
ოცდაათ ვერცხლად ძმათ დასმენანი —
ეგეც არ მიკვირს,
კარგა ხანია!

1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მიყვარდა მარტივი, სულ უბრალო რაღაცეები, —
გოგოლის ქუჩა,
ანთებული აკაციებით ...

ეს ბავშვობაში! ხოლო შემდეგ, მოგვიანებით,
მე არ მიყვარდა
ტბები, ზღვები, ოკეანეები, —

მიყვარდა ისევ: კახამბლებზე შაშვი და ჩხართვი,
ატმის კურკაზე
ამოსული
ატმისვე ბღარტი ...

მიყვარდა ლიხით გადაშლილი თვალწინ ბუნება,
ჩემი პატარა
და საბრალო
ქვეყნის ყურება ...

ჩემო პეტრია, ჩემო პავლე, ჩემო ბესიკო,
ეს იყო, ძმებო,
სიყვარული
ჩემი ეს იყო!

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

თოფო, წრიაპო,
    თოფის კვამლში — არჩვო და ჯიხვო!
ის გულისძგერა
    სადღა არის, რომელიც იყო?!

ალაზნის ნისლო!
    ზღვაო პონტის! შენც, მთაო ლიხო! —
ის ფრთოვანება
    სადღა არის, რომელიც იყო?!

დამცხრალა გული,
    არ გპასუხობს მტრობაზე, ბრიყვო! —
ის გულისმოსვლა
    აღარ არის, რომელიც იყო!

ეგ — არაფერი!
    ბრიყვი ბრიყვად! წლებს წლები მიჰყვნენ,
თქვენ ეს მითხარით,
    ჩემო ლექსო და ჩემო მიხო,
ის ძმაკაცები
    სად არიან, რომლებიც იყვნენ,
ის მეგობრობა
        სადღა არის, რომელიც იყო?!

1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

დაგრძელდა შემოდგომა, ზამთარი იგვიანებს,
საჩუქრად
ოქროსფერმა
დღეებმა
იკრიალეს ...

არის ილუზია: ისეთი სალამოა, —
ზამთარი
საერთოდ,
საერთოდ
აღარ მოვა ...

ღმერთო, მაპატიე, — ჭმუნვა განმიქარდა:
რაღაც —
მიხარია,
რაღაც —
გამიხარდა.

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მიყვარდა, მეყვარება შემოდგომის დღეები, —
მოწყენით
ნეტარება
და ოცნების
ფრთეები ...

კლდეში მოდგა ზამთარი, ჩამოთეთრა ღრეები,
წვიმს, სარკმელში
ჩამდგარან
აბუზული
ხეები ...

რის დღეები! — გადიან თვეები და წლეები, —
ამოდიან,
ჩადიან
გამურული
მზეები.

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ფეხი ირმის! ყელი გედის!
ძლივს-ძლივს მინიშნება მკერდის ...
ანგელოზობიდან გადის,
ბავშვი — ქალობაში შედის.
ვნატრობ ჩემი ხალხის კეთილს,
ვარ მლოცველი ბალღის ხვედრის:
ღმერთო, ამ ბალღს თავს დაარქვი
შენ გვირგვინი ქართვლის დედის!
დიდი-დიდი, იყოს ათის!
ვეჭვ, რომ ათზე იყოს მეტის ...
ანგელოზობიდან გადის,
ბავშვი — ქალობაში შედის.

1989

†

ტყეს შემოდგომისას ტყიური არხევდა,
ტყე წითელ-ყვითელი სხაპუნით მორბოდა,
ჩაწვა მონადირე, სამიზნეს გახედა,
გათავდა ტევრი და გამოჩნდა ქორბუდა ...

„ყოფილიყოო ის საბრალო, ქე მაინც ლორი!“ —
ოცი წლის შემდეგ სინანულით ჰყვება მონადირე.
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ქვეყნის — ამდენი წყლულით,
ვნებით — სახლის თუ ქუჩის,
უცბად — გვერდს იცვლის გული,
კვლავ შებრუნება უჭირს ...
დაცვდნენ — წისქვილის ქვები,
დაჩდნენ — ფესვები ბურჯის,
მაგრამ — ხომ იყვნენ წლები
გზნებით — ოცნების ლურჯის?!
ხომ — იბაგუნე ურიდ
საქმისთვის — არცთუ ფუჭის?!
გმადლობ — დაღლილო გულო
და თქვენც — ნერვებო თუჯის!

1980

†

ცოტა სიყვარული კმარა,
ცოტა სიყვარული, თვარა
რომ შეგშლის და გადაგრევს,
იმისთანა სად არის?!
ცოტა სიყვარული კმარა,
ცოტა სიხარული, მარა
ან ის ცოტა, ან ის ცოტა,
ან ის ცოტა სად არის?!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

დილის ბინდში ვერის ხიდზე მოვხვდით ...
თოვდა, თოვდა ... რა კარგია თოვა ...
გადამიდგა და ბოდიშის მოხდით
გამაჩერა, სიგარეტი მთხოვა ...

მივაწოდე, — გაიხარა კაცმა,
მოვუკიდეთ, — მთვრალი ვარო, მითხრა,
გავაბოლეთ, — გულის ფსკერზე დათბა,
სთქვა მადლობა, რა დროაო, მკითხა ...

მე ვუთხარი, — ხუთი იყო დილის,
ხიდზე დავრჩი, ის გავიდა გალმა,
„ეჰეჰეი!“ — შეუძახა თბილისს
და ღიღინით ვერის შელმართს აჰყვა ...

თოვდა, თოვდა, სიგარეტი გვქონდა,
თოვდა, თოვდა ... რა კარგია თოვა ...
რა კარგია — რა ბევრი და ცოტა:
თოვლში კაცმა სიგარეტი მთხოვა!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ვიშვი, ვიყავ, ვიცხოვრე,
იყვნენ, მახსოვს წამები:
როგორც — თაფლის წვეთები,
არა — როგორც შხამები.

მაგრამ იმ ტკბილ წამებთან
ერთად იყვნენ ცუდებიც —
ბრაუნინგის ვაზნებად
საშიშარი წუთები.

ცხელ ნატყვიარს ვიფევდი,
პერანგს სისხლით ვალბობდი,
მაგრამ ტკივილს ვითმენდი
და ღიმილით ვამბობდი:

„დიდხანს, დიდხანს ეწამე,
მურმან, ჩემო ძამიე!
ეგ ტკბილი და ეგ მწარე,
იყოს მრავალჟამიერ!“

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა წიგნზე

ჩემს რევაზს, ჩემს იზოს — ჩემს ძვირფას დაიას:
ეს ჩვენი წილხვედრი დღეები ჩაიარს...
გაგრძელდეს! გაჭრელდეს! ვარ ამის მთხოველი,
კი! მაგრამ ჩაირბენს, ჩაიფრენს ყოველი! —
ჩაქრება — სანთელი, მელანი — დაშრება
და, რაკი სიკეთის გრძელია არსება,
დარჩება ეს წიგნი და წიგნთან მარადჟამს
ჩვენი მეგობრობის ყვავილი დარჩება!

1882

†

ხან — ჯაჭვისხალათიანო,
ვაჟკაცის რკინად მომჭრელო!
ხან — ჩალა-ბულავ ტიალო,
ლაჩარო, მიწის მფხოჭნელო —
იმედო, ღალატიანო,
ხშირ-ხშირად
წამსვლელ-მომსვლელო!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ქლიავი — ცალკე,
    კომში — ცალკე, გულაბი — ცალკე,
ყოლო, ვთქვათ, წამლად!
    კი, ბატონო, უნაბიც დარგე!
ეზო-მიდამო
    გიქცევია მშვენიერ ბალად —
ეგ ჯახველი
    გინდოდა რალად?!

— სილამაზისთვის,
        უფროსო ჩვენო, სილამაზისთვის!
1977

†

აშენებენ — სახლს, აახლებენ — ბალს,
ვილაც ორლობეში ძრავას მიაჭენებს ...
ვაკვირდები — ხალხს, ამ გრგვინვას და ჯახს:
ადამიანები ჰგვანან ჭიანჭველებს ...

ეტყობა არის რალაც აზრი ამ ჭენებაში;
ამ ფაციფუცში, ამ ნგრევაში და შენებაში,
დალამებაში
        და ხელახლა გათენებაში ...
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სახე — დაჭმუჭვნილ-დაღეჭილი,
აზრები — მჭახე ...
გეამაყება სახე შენი —
ნატანჯი სახე!

არის ცთუნება:
განიძარცვო ჩვარი სხეულზე,
ფხიან შუშაზე
(საქმისათვის!)
დაწვე მსხვრეულზე —

წარბი შეჰკრა და ბოროტებას
შესძახო: — „მზად ვარ!“
გადაგიაროს
ბორბლიანმა
ტონობით ჯართმა ...

სახე — დაჭმუჭვნილ-დაღეჭილი,
აზრები — მჭახე ...
დარჩება მარად სახე შენი —
ნატანჯი სახე!

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ალარც — ბრძოლა, ალარც — ქროლა,
ალარც შეძახება მწადის —
თვალი ესიყვარულება
წვეროკინას ჭადრის.

მზე მოსტოპავს ცისფერ ტატნობს,
კაცი — გალმა ვენახს ხარდნის —
როგორც უნდა ისე ხარდნოს,
მე —
სიჩუმე მწადის!

ალარც დევის ქალი ცოლად!
ალარც სკიპტრა ზღვიდან ზღვამდის!
ხელმწიფობა კი არა და,
ალარც —
რუსთველობა მწადის!

მზე ამოდის და მზე ჩადის,
ვნატრობ, — ძველებურად მწვავდეს,
თვალი ესიყვარულება
წვეროკინას ჭადრის.

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

შენ ჩემგან ახალს ნუ ელი აზრებს,
გამოცდილება საფუძველს მაძლევს:

სუყველაფერზე, რაც არის ირგვლივ,
(ჯერ არ შემცვლია, არც შეცვლას ველი!)
ასიათასჯერ შემოწმებული
და სამწუხარო აზრი მაქვს ძველი!

1983

გადასასვლელთან

მოხუცი — წაიქცა, თეთრი რძე — დაიქცა,
შავი ასფალტი დედაბრისას სამოსელს იკრობს ...
ტრანსპორტი — აიძრა, ქალაქი — გაიქცა,
მესამე დღეა, კაცი ვინმე ამაზე ფიქრობს!..

ათასი კაცი უყურებდა იმ რძის დაქცევას,
გასისხლულ მაჯას, შუშას მსხვრეულს,
    დედაბრის წაქცევას —

სწუხს კაცი ერთი
(ერთადერთი!) ქალაქის გაქცევას.

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ულრან ტყეში ბუკი ყვირის, —
ჯერ შორსაა შუქი დილის, —
„ვერ იპოვე?“ — „ვერა, ძმაო!“
ვილაც
ჭრაქით ხელში ტირის.

და მტირალიც კვნესის: „აქეთ!“
ტყეს მოამტვრევს შეშლილ სახით,
„ვერ იპოვე?“ — „ვერა, ძმაო!“ —
მეც ვპასუხობ
ხელში ჭრაქით ...

მილიონი წელიწადი
ზვერავს აწმყოს, ნამყოს, მყობადს,
გარეუვლის მჭრელი წალდით
სული
გამოცანა-ცნობადს ...

და კვლავ ... ტყეში ბუკი ყვირის,
კვლავ შორსაა შუქი დილის. —
„ვერ იპოვნე?! ვერც მე, ძმაო!“ —
ვილაც
ჭრაქით ხელში ტირის.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გინახავთ
ჭაობიდან
მშრალზე გასვლის მსურველი კაცი?!
ბექიდან ბექზე,
ქვიდან ქვაზე მოხტუნავე,
წეროსავით ცალ ფეხზე მდგარი,
მეორე ფეხით მეორე ქვას მიმიზნებული?!
გინახავთ-მეთქი, ხელახლა გეკითხებით!
სუფთად ჩაცმული,
თეთრ სამოსში გამოწყობილი,
საბრალო კაცი, მეტისმეტად შეწუხებული, —
გასვლაც არის და გასვლაც, ძმაო, —
ფეხგაუთხვრელად,
ჭაობიდან
სუფთად გასვლის მსურველი კაცი?!
.....
.....
ასეთი იყო,
ასეთია ჩემი ცხოვრება!

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მოვყვებოდი
ჩემს ღამეულ გორმახებს ცხენით,
უცბად ... ტირილი შემომესმა
წყალგაღმა მგლების:
იწყებდა ერთი,
ბანს აძლევდნენ თვისტომნი ღრენით
და საკვირველი
გულზე მეცა
თანხმობა ხმების.

და ვთქვი: — ოჰ, მურმან!
შენ შენს ხრიოკს მოჰყვები კენტად,
შენ მარტო შესვამ
საწამლავებს და ყველა შხამებს,
როცა ჩგლებიც კი,
შე საბრალო, მგლებიც კი ერთად,
მგლებიც კი
ერთად შეჰყმუიან
ამ ზამთრის ღამეს!

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ძვლებს ეწყობა ძვლები და ... ჩინები, სამხრეები,
ჯამდებიან
წლები და
ჯამდებიან
დღეები ...

ჩავლილია სამოცი — მორჩი! — ვიღაც დამყვირის..
ახლა —
გასწი-გამოსწი —
ოცი გრჩება
ჯახირის!

ვიყავ ფლასით მოსილი, — არა ჩარირამასთვის,
მე ვიყავი,
მოსული —
რაღაც მეთქვა
ამათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ხმები დაახორეს, — მე ვიყავი ფუტკარი ...
ღმერთო,
შენ გააგონე,
რაც მე
ამათ ვუთხარი!

ძვლებს ეწყობა ძვლები და ... ჩინები, სამხრეები,
ჯამდებიან,
წლები და
ჯამდებიან
დღეები ...

არა როგორც უკუნეთს და მტერს დაუძინებელს, —
სიკვდილს
ისე ვუყურებ,
როგორც
აუცილებელს!

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ოჰ, პოეზიავ, მარად
ცის კიბეებით მსვლელო,
ვისთვის წკრიალო ქნარად,
ვისთვის —
კრწანისის ველო!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჩანგო ჩემო, მოხრიხარ
ოთხად წელში არვის:
პოეზიის მომხრე ხარ,
ბრძოლის დაუფარავის.

ვერ ვნახე მოგებული
ჩანგი ლიქნით, ფერებით,
მიკიბულ-მოკიბული
და შემკრთალი ყლერებით.

ნავო ჩემო, მოლლილხარ,
გრიგალი გინანავებს,
იმავ ძველი ბოლმით ხარ
უკანასკნელ სანავეს.

1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

ისრის ჭყივილო — ომში,
ლხინში — ჩანგო და დაირო,
თეთრის, ვერლიბრის დროშით,
აფსუს, გწუნობენ, შაირო!

აფსუს, კლდით ირმის ბღავილო!
ბელტს ბღუჯად მინდვრის ყვავილო!
ძირძველო, ჩვილთა ყრმათაგან
დაწუნებულო შაირო!

შენი ჭირიმე, შაირო —
ლექსო საღმრთოვ და საეროვ,
„ვეფხის და მოყმის ბალადის“,
„ვეფხისტყაოსნის“ ჰაერო!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

შუბლში მახლიდნენ ლომები ბამბუკს,
იყო ბუხუნი და შუბის ჩხვერა,
ოცი წლის ჭაბუკს, ოცი წლის ჭაბუკს
(ოცდაათის წინ!)
მცოდნოდა წერა!

ახლა რას ვაქნევ ოსტატის ჩინს და
აწყობილ ჩანგს და მკვდრადშობილ ჟღერას!
რა გააცოცხლებს მოგონილ ჟინს და
ვინ მოიგონებს
იმ გულისძგერას!

მაგრამ დროდადრო ბრძნული და მტრული
მოხუცი გული იყვირებს: „ვერა!“
გაიკორტნება ანაზდად გული
და ხორცის ნაჭრით
მიფრინავს ძერა ...

თუ ჩემი ძმა ხარ, არ გამთქვა არსად,
ეს — მაშინ გესმის ხმატკბილი ჟღერა ...
მე ხშირად ვკვდები — სიკვდილის ფასად
(როცა მოხუცდე)
განაგრძე წერა!

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

კბილები —
დამცვდარი!
ლილები — დამწყდარი!
სახე — დაჭმუჭვნილი; დაუძლურებული!
ვაზნები —
გახარჯული!
სამიზნეს — ამცდარი!
ოცნება, ოცნება — აუსრულებელი!

კლდეები — ირღვეოდნენ,
ქვაღორღი მოცვიოდა,
ქვის მედგა,
ქვის მედგა უფსკრულთან სკამ-ლოგინი,
დარჩება საქართველოს
ლექსები — ოციოდე,
ათიოდ გირვანქა — ძვლები გალოკილი ...

აქ — ოთხი კედელი! იქ — ოთხი ფიცარი!
ვიყავი! მივდივარ!
მშვიდობით!
გიცანი!

1976

†

ვშლი,ვფურცლავ, ედგარს, კიპლინგს, ბაირონს —
(აქ პოეზია ნაირნაირობს!)

მიუსეს, ვერჰარნს, ვიიონს, ბოდლერს —
(აქ პოეზია სხვადასხვას ჰგოდებს!)

ძველებს — ხაიამს, ნიზამის, ჰაფიზს, —
(აქ პოეზია აბრეშუმს გვაფენს!)

ახლებს — პოლ ვალერს, ელიოტს, ლორკას —
(აქ პოეზია სხვა ცეცხლით ბორგავს!)

რამდენი ოქრო, რამდენი ვერცხლი —
გულის რამდენი ნამდვილი რეჩხი!

ბლოკს, საფოს, მისტრალს, მარინას, ბელლას —
ბოლოს რიგრიგად გადავდებ ყველას,

დავწვდები ტატოს, დავწვდები გალას,
გადავშლი ლადოს, გადავშლი ანას —

შენ, შენ! მაინც შენ, ქართულო წიგნო,
ბოლოს შენ გაგშლი, შენ გაგშლი, ვინძლო
საკუთარ სიტყვის ფერი და ხორცი,
საკუთარ სისხლის თქრიალი ვიგრძნო!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

—1—

ზამთრის კუბოში სვენიან
    როს გასუდრული კორდები,
პოეტის ბუნაგს შვენიან
    წითელი თრიმლის ტოტები.

სამშობლოს ფოთლებს შეჰყურებს, —
    პოეტს სულ ცოტა ახარებს,
ზამთრის ღამეებს შეჰყმუის,
    ოცნებებს ლექსავს საყვარელს.

წერს: „გული წელსაც ვიჯერე“
    წერს: „წელსაც ვნიაღვარობდი,
ცოლს გავექეც და სიბერეს,
    სამშობლოს წელსაც ვყვარობდი!“

წერს: „მოწყენილი ნუ ხარ შენ,
    საბუევ, წვიმა-ტალახით!
წერს: „შილდა მიყვარს, მუხაში
    ჩაძველებული არაყით!“

„წელს მუხლი არ დავიშურე,
    ღვინოც ვიშოვე მანავის
და მთვარეც ადგა ჭყვიშური
    გალაკტიონის სანავეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

—2—

ყოველ შემოდგომას ვამტვრევ
    გზად შინისკენ თრიმლის ტოტებს
და ვინახავ, როგორც ნამკვდრევ,
    რასმე ძვირფასს, ხოლო ოდეს
ბუნაგს ჩემსას თოვლი გმანავს
    და სარკმელში ქარი ჰგოდებს,
მე ვიგონებ ჩემს ქვეყანას —
    ჩემს გაძარცვულ ჭალა-კორდებს.
მინდვრის ყვავილების ბღუჯას
    ზამთრის საზრდოდ ვიმარაგებ,
ვიღებ კალამს, თვალებს ვხუჭავ,
    ჩემს სანგარში ვიბანაკებ,
გარეთ ქარი დაყაჩაღობს,
    თოვლს და ჩალა-ბულას ქურდობს,
კედელს თრიმლის ტოტი ამკობს,
    ზედ ოცნება აბლაბუდობს ...
და გალიის ფრინველივით
    შინ სამშობლოს ფიქრი ბუდობს.

—3—

თოვლებმა ითოვლეს,
    ქარები ვერ დაძღნენ,
მოადგა მინდორ-ველს
    აპრილი ცხენდაცხენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაცხრნენ ავდრები,
ჩამქრალა შანდალი,
ცოლს გააქვს ნამკვდრევი
ტოტები შარშანდელი.
შემოაქვს ნაცვლად და
წყალს უსხამს კორჩიოტებს.
პოეტი ნაზამთრალ
ლექსს დასცქერს ოციოდეს.
„მართლა გაზაფხულდა?!“
პოეტი კითხულობს.
კი! მერვე სართულთან
დალანდავს ქვითხუროს.
ჭრელ-ჭრული აპრილით
ქვეყანა იფარჩება!
გამოვა პოეტი —
კი! შინ ვინ დარჩება!
ქალამანს გაიჩენს
პოეტი რკინისას!
ყავარჯენს დაიბჯენს
ბრძოლის და ჟინისას!
უკვე აპრილია —
სჯერა და არცა სჯერა ...
რა ხდება სამშობლოში?
წავა დასაზვერად.

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

პოეტიაო,
ჩემი ქმარი, — ხალხში რომ იტყვის, —
არათუ რისკი,
სიბრიყვეა ქალისგან თითქმის ...

საქართველოში
ამალამდელ ახალწლის ღამეს,
ორ-სამ ქალს ექნეს,
დიდი-დიდი უფლება ამის!

ეს გაუმარჯოს,
გაუმარჯოს იმ ორს თუ სამ ქალს,
ვინც დაყაბულდა
ღარიბ სადილს და ღარიბ სამხარს

და ქმარს, საკუთარს,
ორთავ თვალი კი არ დასთხარა,
არ აბეუტურა
და სიგლახე არ ატატყანა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოატარა
ათწლედები რჩეულს კაცურად
ბეწვის ხიდზე და
ხალხს პოეტი შეუნარჩუნა ...

მაშ, გაუმარჯოს,
გაუმარჯოს იმ ორს თუ სამ ქალს!
მას მერე — კაცს და
კაცის შუბლზე პოეტის დამღას!

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელ პოეტს

პაპუასსავით ჩემს გლეხს რომ შესცქერ,
მწყემსს და ქვითხუროს,
შენ, უცხოელო, თუ მართლა ლექსს წერ,
რად არ კითხულობ,

რაგვარად ძგერენ, რაგვარად ჟღერენ
ერის ლექსები?!
აჰა, ბატონო, რაგვარად წერენ
ჩვენი მწყემსები:

— ხარ ვარდის ბუჩქი, დი

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

როცა ეპოქა ზვავობს ძალიან,
პავლოს, ტიციანს ჭარმაგებს დასცემს ...
დრო გამოკეთდა — საოცარია,
ორმოცდაშვიდწელს
პოეტი აღწევს.

გამოკეთებას დროისას ვწუხვარ,
თუ წასაქცევად კაი ხეს არჩევს,
არანაკლები ბოღმებით ვდუღვარ,
მოვუშხამივარ
მეც ამათ გამჩენს ...

შენდობას ვითხოვ, შენდობას ვითხოვ —
დაბერებული მოგივალთ კაცებს ...
არც ნაკლები ვარ მე თქვენზე თითქოს,
არც ცოდვა-ბრალი
რაიმე მაწევს!

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

წერდა პუშკინი,
        წერდა ბლოკი და ბლოკთან ერთად
საალბომო ლექსს,
        მე თუ მკითხავთ, გოეთეც წერდა ...
ეგ იმიტომ, რომ,
        როგორც წესი, ლექსს შობდა ელდა,
ეგ იმიტომ, რომ
        ბავშვის გული პოეტში ძგერდა ...

        თეონა!
        ჩქარა ეგ ალბომი!
        არც მე დაგიჭერ! —
        ადამიანურს,
        თუ არ წავხდი,
        რასმე ჩაგიწერ!

ოჰ, ეს მეოცე
        საუკუნე — ეს ბაბარიკა!
საქმიანმა და
        გველაძუა ლექსმა წალეკა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს პოეზია,
ჩემო თამთა, ჩემო მარიკა,
ჩემო თეონა,
სტრიქონ-სტრიქონ
ჩოთქში ჩარეკა!

თეონა!
დროზე ეგ ალბომი!
თვალსველს, თვალგიშერს,
ჩემი რომ მქონდეს,
იცი, ჩემსას
არც მე დაგიჭერ —
ადამიანურს
სხვისას მაინც
რასმე ჩაგიწერ!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

(იუმორესკა)

დრო დაუდგა ჩვენს ხუთას
    მჯლაბნელს; ჩადგნენ გუთანში —
ყოველდღე იბეჭდება
    უნიჭობა ხუთასი ...
ზოგი იჯდა ტყემალზე,
    ახლა ჯდება თუთაზე —
ყოველდღე იბეჭდება
    უნიჭობა ხუთასი ...
წერენ — ფილოქსერაზე,
    წერენ აბლაბუდაზე,
ყოველდღე იბეჭდება
    უნიჭობა ხუთასი ...
სვეტიცხოველს დავიფიცებ,
    ხახმატსა და გუდანში —
ერთი ვერცხლი არ სჭყივის
    მაგდენ ხურდა-მურდაში ...
არსად არ გადუხვიო,
    ეგრე გნახვენ სუდარში —
იდექ მარადიულის
    და უკვდავის გუთანში!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ბულბულს მირჩევნია შაშვი,
გალობს, ჩქარობს, ხარობს ბავშვი, —
გულწრფელს ჩამოაგვირისტებს
უცებ, რაც მოუვა თავში.
ეს ბულბული მგალობელი
მხოლოდ თვალისმოკვრამდეა.
ღმერთი ჰყავდეს მწყალობელი და,
ცოტა არისტოკრატია.
ჰგონებს, ულამაზესია,
სწავლულობით სხვა ჯიშია,
მხოლოდ მთვარიანში გალობს
ნამეტნავად აზიზია.
შაშვს სასწავლად სად სცალია,
მისი ჰობი — წანწალია —
ფრანსუაა, ვიიონი —
თავისთავად ნასწავლია.
ბულბულს მირჩევნია შაშვი!
ბულბულს მირჩევნია შაშვი!
გინდა ეკლის შტოზე დასვი,
გალობს, ჩქარობს, ხარობს ბავშვი,
ისეთს ჩამოაგვირისტებს, —
ას წელს არ მოგივა თავში!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ლანგარი ნიგვზით, თაფლით არაყით
ცოლს მოაქვს ხორცის ხარჯად, საწვავად
და მოდის ღამე — განცდილ-ნანახით
სულის საწეწად და საძარცვავად ...

ყოველ ოც წუთში მე ვისხამ არაყს
და მთელი ღამე, რაკი შევთვრები
და რაკი მყობადს ნისლები ფარავს,
აწმყო-წარსულის გზებზე ვეთრევი ...

მაინცდამაინც არა ვარ მთვრალი;
აწმყოზე ფრთხილად მიჭირავს თვალი,
წარსულის ვიცი ყოველი ხვრელი,
მომავლის მესმის როგორმე ვალი ...

ამგვარად ვეძებ მე ოქროს თევზებს, —
ბევრი მათგანი გვერდს ვერ ჩამიარს, —
შენ რაფრად,
რა გზით შენს ძვირფას ლექსებს?! —
მაინტერესებს, ჩემო დაია.

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ურთიც მისდგეს ვენერა
    მილოსელს შავი ჯალათი —
„სიცოცხლე — წარმავალია,
    ხელოვნებაა — მარადი!“

ხვალ ის უგრძესი „ხვალეა“,
    დღეს — მოკლე დღეა ხვალამდი.
„სიცოცხლე წარმავალია,
    ხელოვნებაა მარადი!“

ფეიერვერკო ამ სოფლის,
    მზიზღდი, მძაგდი და მზარავდი.
ერთხელაც გეტყვი სამშობლოს:
    გზას ხვალის დღისკენ ვკვალავდი!

სხვა — ყოველივე ქარია!
    სხვა — ყოველივე ღალატი!
„სიცოცხლე — წარმავალია,
    პოეზიაა — მარადი!“

1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ხატპეპელას ქარში მხარი ეტკინება ...
აქ არ იყოს ტაშით ქალის შეშინება!

პოეტებო, ცხრა ძმას ერთი დაი ჰყავდა,
მზე იყო და თავის თმებში გაიხლართა ...

ჩამოდექით გზიდან ლეკვნი ლომისანი,
მე ჩამოვხსნი მზიდან, თუ ვარ მოისარი, —

რომ კვლავ ჩვენთან დადგეს
ჩვენი შნო და ძალა —
პოეტების დაი, მგალობელი ანა!

1946

†

ორლობის თოვლში კაცები დგანან —
ჰკვნესენ, კასპისას კლდეს გასცქერიან,
„ვეფხისტყაოსნის“ სამებას ჰგვანან —
თოვს და სამშობლოს ზამთარს შვენიან ...
არც ნამეტნავად მთვრალები ჩანან,
არც მთლად ფხიზლებში სწერიან ...
„საქართველოო ლამაზო“ ...
ჩემი დაიას ლექსსა მღერიან.

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გალაკტიონი როგორც იტყვის, —
  დაელოცოს ენა-პირი, —
არყოფილი იყო თითქმის,
  სიზმარი იყო ყველაფერი ...
იყო ბურუსების ტბაში
  გზა ვარდისფრად შენაფერი,
იყო რალაც ცხადის მსგავსი, —
  სიზმარი იყო ყველაფერი ...
მოდიოდი, მურმან, რისთვის?!
  არსით ჩანდა შენაპირი ...
სიზმარი იყო, სიზმარი იყო,
  სიზმარი იყო ყველაფერი!

1981

†

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის):
— ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე პოეტი ...
უცებ, ჭინკებით გაევსო თვალი —
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი
— საქართველოში??! — ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
  მოისვა ბრჭყალი ...

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მთელს ცაზე შენ ხარ, მაგრამ მერე რა?!
რაკი ახლოს ხარ, თვალს ატყუებ,
დიდი ჩანხარ, ჩემო ვენერა!

ათასგზის დიდნი სამყაროში ნათების ძალით
ოდნავ თუ ბჟუტვენ
ან, სიშორის თვისისა გამო,
ვერ იხილვიან მოკვდავის თვალით!

ესრეთ — პოეტნიც ჭეშმარიტნი!
შორ ვარსკვლავთ ჰგვანან!
ღირსებით თვისით ულირსთ უკან
რაკი შორს დგანან,
ნათობენ თუმცა, ნაკლებად ჩანან!

. . .

ვთვლიდი ვარსკვლავებს,
ჩემთვის წყნარად ვვლიდი ღრეებით —
სავსეა ცა და დედამიწა
მატყუარა სიდიდეებით!

1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრად ვნახე წითელი ხარი,
ხარი იყო და ძროხის ჯიქნით —
გამოსტოპა მღვრიე წყალი,
დამიღეჭა ცისფერი წიგნი.
ვაი, შენ ჩემო ცისფერო წიგნო,
ასაკინძად დაკეცილო,
გულო და ღვიძლო, ტვინო და ფიქრო,
წითელი ხარის დაღეჭილო!
მარცხნივ, გულთან მტკივა მხარი,
ვიტან ცოხნას და ხრამუნ-ხრამუნს.
დაბალახობს წითელი ხარი, —
დრო მისია და დაბუღრაობს.
მაგრამ სისხლის ტბორი და ღვარი
რომ არ ვნახო, არ იქნება:
დაბერდება წითელი ხარი და
შავტარა დანით დაიკვლება ...
შენ კი ივლი, გულო და ფიქრო,
ჯიუტო, სისხლო, აზრო და ტვინო!
ვაი, შენ, ჩემო ცისფერო წიგნო,
მომავლისთვის დაბეჭდილო!

1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდაქი იტყვის...

პოეტზე იტყვის, —
ჯამი იტყვის, ფეჰლევი იტყვის,
რუდაქი იტყვის, —
სიტყვასიტყვით ამასვე თითქმის:
შორიდან სალმით
შენს ხელმწიფეს დასდევი ფასი —
კაცია ისიც —
მაგრამ მაინც ქვეითად გასწი.

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე, არ იყო ბავშვი, —
არამც და არამც
არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!

ვთქვათ, გაწყრა ღმერთი,
ქარაშოტმა დაბერა ავმა,
მიემსხვრა მეჩეჩს,
ანუ ზღვაში დაყვინთა ნავმა,
იტყვიან ერთნი:
„აეკიდა ხელმწიფეს გზაში,
ვერ უვაზირა —
ვაზირობა იცოდა ნავსი!“
იტყვიან სხვანი:
„უყვარდაო ლიქნი და ტაში!“
შენ დაგბრალდება —
ჩავარდები დუნიის ყბაში ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე, არ იყო ბავშვი —
არამც და არამც
არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!

ხოლო თუ დაცხრა,
ვინც დღეებში ქარიშხლებს ურევს,
ნავმა მშვიდობით
მიაღწია დიდების ყურეს, —
დიდებას დიადს,
არ გაბრიყვდე, ხელმწიფე ჰპოვებს,
ხელმწიფის ჩრდილში
მოგიხდება დადგომა პოეტს ...
კვარცხლბეკზე მდგარიც
და ქარიშხლით წყალწაღებულიც —
ასეც და ისეც —
ხალხის თვალში ხარ წაგებული!
მაშ, გასწი ფეხით!
პურს გიწვდიან ჩანგში და თარში!
სვი ხალხის ღვინო —
ხალხის შვილი ხალხადვე დარჩი!..

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე, არ იყო ბავშვი —
არამც და არამც
არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გადასახდელი გადამხდა,
გული დავხარჯე ცხელი,
ხუთ-ექვსგან მაინც გადახტა
კლდიდან კლდეს ჩემი ცხენი.

მოდიან, მეკითხებიან:
„მოგწონს მავანის ლექსი?“
თუ მომწონს, თავად ვიყვირებ,
ცხრაც მომიყენო მწყემსი!

ხუთ-ექვსგან მაინც გადახტა
კლდიდან კლდეს ჩემი ცხენი,
გადასახდელი გადამხდა,
გული დავხარჯე ცხელი . . .

და სანამ არ გაფოთლილა
მტკივან ფილტვებში კიბო,
ბეთანს ვარ, ჭრელი ლექსი და
ჭრელი ყვავილი ვკრიფო!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ჭარიამ აბრამიას

არის წაკითხვა
ორნაირი — გონებით, კრულით,
წაკითხვა ერთი
და მეორე — წაკითხვა გულით!

ჩემო მარიამ,
ჩემო კარგო მარო-ცენზორო,
კაცი არ ვიყო,
თუ მეწყინოს, ქვა რომ მესროლო,

რადგან ჩემს წიგნებს
შენ კითხულობ ჯერ გულის რეჩხით
და მხოლოდ მერე
წაიკითხავ ... ცენზორის ეჭვით ...

კითხვის ნიშნების,
გმადლობ, დაო, ხვნეშით წამშლელო,
მარიამ ჩემო,
ჩემს წიგნებზე
ბეჭდის დამსმელო!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

რომ ვერ ვგუობდი ლექსში
  დაფებს, ბუკებს და ფანფარებს,
ლიტერატურის მწყემსი
    „იზმს“ საგინებელს მაბრალებს.

მე ვუპასუხე ბოდბელს —
    ტანტრეს, კალმისტარ-კალმიანს,
ლიტერატურათმცოდნეს
    და ჩემთვის მზრუნველ არმიას:

თუმც წიფელს უჯდა ღრუში და
    ცხოვრობდა ბაიყუში,
წიფელს რა ჰქონდა გულში და
წიფელს რა ჰქონდა სულში,
    არ იყო ბაიბურში!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან,
    დღეა ჭირის თუ ლხინის;
თუმნის გადახდას შენ არ გაცდიან —
    გული მადლობას ყვირის.

შენ კარგად იცი, ვინც ხარ და რაც ხარ,
    ანუ რატომ და რისთვის,
რუსთველის პატრონი ერთ პოეტს, საწყალს
    ჭიქას გივსებს და გიწვდის.

ოჰ, საქართველოვ, ჩარგლის, ყვარელის,
    ჭყვიშის, სხვიტორის ტკბილის,
ჭირიმე შენი პურის, მარილის,
    შენგან მოწვდილი ღვინის!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

წერონ! იჩქარონ!
ნაყონ წყალი! ანთხიონ ღელედ! —
ნუ აჩქარდები,
იცხოვრე და ცხოვრება წერე!

გიყვარდა ქალი?!
იმედებმა დაგტოვეს მშრალზე?!
წერე ღალატზე,
სიძულვილზე, საყვარელ ქალზე!

ბროლის კოშკებზე,
მოგონილზე, იბღავლონ ხოროდ,
შენ — რაც გეწყინოს,
რაც — გეტკინოს, ის წერე მხოლოდ!

ბრბოს ნუ აჰყვები,
კუდში ნუ სდევ დიდებას დიადს —
მაგ ბოზანდარას,
პროსტიტუტკას, მაგ სიძვის დიაცს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასწლებს იქით,
    შეფარული ტაძრისას გრილოს,
წვრილი სარკმლიდან
    კაცი ვინმე გასცქერდა ნილოსს

და ჩვენთვის წერდა,
    ჩვენ გვმოძღვრავდა ბრძნული არაკით:
„გულს, გულს მიჰყეო —
    ჰქმენ საქმენი გულის კარნახით!“

წერონ! იჩქარონ! —
    წიწილაებს დასთვლიან მერე! —
შენ არ აჩქარდე,
    იცხოვრე და ცხოვრება წერე!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ყოველთვის, როცა ამ ბეჩავ ქვიტკირს
ვათვალიერებ (მეასედ თითქმის!),
არ შეიძლება, არ გაჩნდეს კითხვა,
და უძლური ხარ
წინაშე კითხვის:

თუ უფლის ნება არ გაჩნდა ზოგში,
რა გამოარჩევს კაცს კაცთა ჯოგში,
და რამ დაწერა ის, რაც არ გჯერა
რომ დაიწერა
ამ ჯურღმულ ქოხში?!

რამ, რამ აქცია კელაპტრად კვარი
უბრალო ქუჩი მართლა ყვავილად?!
რაზიკაშვილის საწყალი გვარი
სახელთან ლუკა —
ვაჟა-ფშაველად?!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

იბადებიან
    წარბშეკრული ხშირად მწერლები,
რომელთაც
    ჰკლავენ ...
(მინდოდა ერთხელ
    დამეწერა ხილად ვერლიბრი —
კვლავ რითმას ვავლენ ...)

ჰკლავენ და ჰკლავენ,
    საბრალოებს კარგად ვერ მოჰკვლენ,
გაიხედავ და
    სიკვდილსმერე ტახტებზე ავლენ ...
ასეთი იყო
    არაერთი, ჩემო გერმოგენ,
და დღესაც არის,
    ჩემო პარმენ და ჩემო მარლენ!

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

საზიზღარია, ჩემო ალექსი,
·უგლისძგერო, ვითომ ღრმა ლექსი!
ნახელოსნევი და ნაწვალები —
ტვინით ნაჭყლეტი ჩალა ბწკარები!
მე მიყვარს ლექსი, — შიგ გულში გგლიჯო, —
გამოვარდნილი, როგორც ზვიგენი,
რომელიც ყვირის: — მაცადე, ბიჭო,
მე თვითონ ვიცი — გზა გავიგენი!

†

გიყვარდა ლექსი ისეთი ძალით —
სიტყვის ფერ-ხორცი, გემო, სიჭრელე,
რომ თითებშუა გაგექცა წყალი,
ცხოვრებით გული ვერ მოიჯერე!
გიყვარდა ხალხი ისეთი ძალით,
რომ საკუთარი დღე მოიწამლე —
ვერა, ვერ გასძეხ მზით, ღვინით, ქალით,
წუთისოფლისთვის ვერ მოიცალე!
ახლა მაგ ბუხარს აფიცხე ძვლები,
ეგ ფერფლისფერი თმა შეიფერე! —
ოთხმოციანი ჩამოდგა წლები
და ჩვენი ცოდვით სავსე სიბერე!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მიუწვდომლის მიწვდომას,
შეუწვდომლის შეწვდომას,
რომ ლამობდი, — ჰგონებდნენ
გულუბრყვილო შეცდომას ...

შენს ხვედრს ბევრი ინატრებს,
გრჩება ხატი ჯვარცმულის
და მყობადში ინათებს
სხივი ნამყო-წარსულის!

კუბოზე ჭრაქი გინთია ...
არა როგორც დამხრჩვალი, —
სახრჩობელას ჰკიდია
ჩანგი. როგორც ხანჯალიჩ

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ანა კალანდაძე — წინასიტყვა 5

ახლები

* (ნაზად გავკიკნე მტევანი ყურძნის...) 9
გვიან გავიღვიძეთ! 10
* (დაბნელებულა მეზობლის ტვინი...) 12
„ადამონ ნიხასს“, ყრილობას ლიხნის! 13
ხოლო ჩერქეზი 14
გრანელის ქუჩა 16
„დედუშკა პლაჩეტ“ 18
დამწიფდა იმპერია 20
დამსკდარან... საპნის ბუშტები! 21
* (ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას) . . 22
რუსის გენერლებს 24
* (ლერმონტოვზე წიგნებს წერდა...) 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისციხესთან

* (ჯიხვი ქარაფზე ხტის...) 27
* (უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი) . 28
* (სადაც ჩაღრმავდები, ყველგან ზოდებია...) . . . 29
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო) 30
* (დროშებს დაჰბერენ ქარდაქარ...) 32
* (ხალხში ვტრიალებ ჯარად...) 33
მკვთხე და გეტყვი! 34
* (სასახლეებში, ბაღში, სკვერებში...) 35
ძველი სურათი 36
* (ოთხი ათასი წელიწადი...) 38
* (რატომ მიყვარხარ, თუ ვიცოდე...) 38
ბევრს არ დაგპირდები 39
ანდერძი 39
საღამო 40
* (აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...) 41
* (გოგოს, თვითონ პატარას...) 42
* (ამ სახლში ბევრი გაფუყული მედროვე ცხოვრობს) 44
* (მეწადა ქართველს მევლო ქართველად...) . . . 45
* (როდესაც გრიალებს „ბრავო!“..) 46
* (სისხლის გუბეში უდგია ფესვი...) 47
* (დროთ უფსკრულებს გადავყურებ...) 48
* (როგორ არ არის ეს შენი ძალა...) 48
* (ცხოვრობს ხალხი ლურჯ პონტოსის პირას...) . . 49
ზამთარი 49
* (აღარავითარი პიროვნული...) 50
* (სისხლისგან დაცლა, გლახ-სიბერე და უსახსრობა) 52
ეპიტაფია 53

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები

* (შენ ჩამოხვედი, ეტყობა მზიდან) 55
ტრიალებს დედაკაცი 56
ქალები 57
* (წვრილ სარკმელში ხიდის კიდის...) 58
* (ჩალაბულა უქმეების კვალზე...) 59
* (იწვის წიგნები და ბარათები) 60
* (მწვავდა, მკლავდა, მყვედრიდა...) 61
* (თვე ოქტომბერი დავყავ ბიჭვინთას) 62
* (აქ ქალს დაარქვეს შავი პანტერა) 65
* (მარეკები შლიდნენ ბანაკს) 66
* (კაბა-სამოსი ქალს არ აჩენდა...) 68
ყაყაჩოს 70
* (მე თუ გავგიჟდი, გავგიჟდები შენი ყურებით) . . 70
* (ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი) 71
* (დიაცი ჯინსით! გამოკრული არტახში ტანი...) . . 71
* (ლილი ასე რისგან ხდება...) 72
* (რომ გითხრა: „მსურხარ დასავით!“) 74
* (ხარ დიდი სანდრო ბოტიჩელის...) 75
ციცო 76
ძმაკაცი გვირჩევს 78
* (ანაზდად ზარი! ჩახველება! იღება კარი...) . . . 79
* (ხტიან რუები...) 82
* (შიმშილობდა მშვენიერი პატარა ქალი...) . . . 84
* (სანატორია... იცოდი, გრძნობდი...) 85
სიცილი ქალის 86
* (ურჩი ჭავლები...) 89

ხეობის წიგნიდან

* (ბატებიც არსად ყიყინებდნენ...) 91
* (ქალაქში მომცეს მე პურის ფული...) 92

* (ვიღვიძებ: სარკმლით ტყე მოჩანს...) 93
* (იყვნენ სამნი ძმანი...) 94
* (ძველი ქართული ანდაზა...) 96
* (ნაწნავები გაუშლიათ...) 97
* (ცის ქვეშ ნეზვივით წამოწოლილა ბორცვი) . . 98
მეშინია! 99
* (ჰოიდა, ზამთარო, ზამთარო!) 100
რას, რას გვაგონებენ ჯუჯა წისქვილები! 100
* (რა გირჩევნია: მთაწმინდის პლატო...) 101
* (ეს ნანგრევები...) 101
რთველი 102
* (ჭიორის ჭალას ფაზისი ჩქეფს...) 103
* (ძველი პალატი...) 104
შეჩერდი მოასწარ! 105
ეგ — არაფერი! 106
* (სირცხვილი ჩვენი! — აღარც „რაშოვრა“ . . . 110
* (მოვა სექტემბერი წვიმით და ტალახით...) . . 112
* (აი, სოფლები, სად ჯერ კიდევ ამოდის კვამლი) . 114
* (ხრიხონისსა და ქრისტესს შუა...) 115
ცეცხლი მელაპარკება 116
ჩამოდიან დათვები 120
* (იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე...) 123
* (მიხვალ მაჩაბლის ქუჩით...) 124
* (უძვირფასესი იყო ზაფხული...) 125

ოჯახში

* (სახლი ავაშენე! კორდი — გავათენე!) 127
* (ძვირფასო ჩემო, ის აღარ ვარ. დავმარხე მამა) . . 128
* (გაზაფხული შემოსულა ლენ!) 129
ლელავ! 130
* (შენი ოქროს წიწილით...) 132

* (მოვიმღერდი როსმე ველად...) 133
* (დიღმის ბოლოს ჭალებში ვარ...) 134
* (ატოცისკენ დიდ ჭადრებზე ჯდება მთვარე...) . . . 134
ოჯახში 135
* (ანაზდეული და უეცარი...) 135
* (მე ხელით მიპყრია ნაზად...) 136
* (მამამ ღამე დამიტოვა...) 138
* (ამაო ფუსფუსს, ფუჭ ლაყბობას...) 139
მგლები 140
დილა (პოემის წერისას) 141
* (ელენეობა — მაისის ღამეს...) 142
* (ბერნუში დაგიხატია, ზაზული...) 143
* (ჩემო პაწია, საბრალო დედავ...) 146
პატარა დედაჩემი 147
დათვები 148
* (ბედნიერ იყავ ბოლომდის! 150
* (ჰეი! სად არის ჩემი ზაზული?!) 151
როგორ მიყვარდა! 152
* (მე ვიყავ ბათომს...) 154
* (გარეთ წვიმაა, ტყეები დალბა...) 155
* (თეა-თეონა-თეო, დღეს შეგისრულდა კვირა) . . 156
* (წავედი თორმეტს...) 157

რ ე რ ო !

* (თქვენ იალეთ, თქვენ დროშების ფრიალით...) . . 159
რერო! 160
* (კაცი გაფუყული დადის) 162
* („რას ერჩიო?!“ — კაცზე მკითხეს) 163
* (ათასი რამე მოლპა და მოხმა...) 164
* (ყველაზე უფრო, რაც დრო ყოფილა...) 164

* (სად მომიყვანეს, სად სიკვდილს დამსვეს!) . . . 165
* (სიცრუის მთქმელი...) 165
* (ვერაფერი გამიგია, ცხოვრებაში რა ხდება...) . . 166
ჭეშმარიტება 167
უახლოვდება კაცი იგი როდესაც ოთხმოცს . . . 168
* (ამ ცხოვრებამ — ბრძნულმან, რთულმან...) . . 170
* (დაცხრი, გულო! — ხმალჩაგებით...) 171
როგორ გაბედე?! 172
* (რომ მოვმკვდარიყავ თბილისში ადრე...) . . . 173
* (ჩონგურული, ჩანგურული, და დროშები ცაში!) . 174
* (შურა ბანძელაძე პეიზაჟს ხატავდა) 175
* (იყო დრო თავმოყვარების...) 176
* (არ იყავიო ვაჟას დღეზე ამ ზაფხულს ჩარგალს) . 177
პინგვინები 178
შეგონებანი 180
* (არაფერი! — მოცდა მცირეოდენი!) 181

ავტომფრის მე ვარ დროის მეტრი

* (ტელეტექნიკა ლაზერის სხივი ელდად!) 183
* (მივყავი ხელი წიგნის წერას...) 184
* (თქვა ეს ებრაელმა...) 185
* (ცის დარბაზებში ჟღერს საკრავები) 186
* (საზიზღარი ნისლი ასდის ქალაქს...) 187
* (მზერა ტვირთმძიმე სახედრისა...) 188
* (დიან დღეები, უგემური, ბილწი და მჟავე) . . . 189
ვთამაშობ ნადირობას 190
* (კაცობრიობა შემკრთალი და დაბნეულია!) . . . 192
* (რკინის ქალაქები დავთმე) 194
* (ბოშების ტომი...) 195
დედამიწა 196

* (ამობრიალდება ძველი დისკო, დიადემა მწველი) 197
* (თამუნია ქავთარაძეს) 198
* (ვარსკვლავები ბზუიან...) 200
* (ჩვენ რომ არ ვიქნებით ქვეყნად...) . . . 201

1000 კ ო ლ ო მ ე ტ რ ი თ ო ვ ლ შ ი . . .

* (იოდი, ბინტი, ჭრილობა, ჩირქი...) 203
* (გადაიარა არმიამ უღელტეხილი...) 204
46-ე არმია 207
სანგარში 208
სურათი — 1943 209
მარში 210
დაჭრილი 212
* (ტრიალ ტრამალში ლაზარეთი იდგა საწყალი) . . 213
* (გარიაჩი კლიუჩიდან კრასნოდარამდე...) . . . 214
მოლანდება 215
* (არც რაინდობა, არც უბრალოდ ეთიკა ომის!) . . 216

მ კ ვ დ რ ე ბ ი

* (შენ ხარ მიწა! შენ ხარ ახლა მარილი!) 219
* (სიყმაწვილისა ჯოგი...) 220
* (საფიქრებელი ბევრია ახლა...) 221
* (ოთხი ფიცარი! ოთხი ფიცარი! ოთხი ფიცარი! . . 222
ათასი ჭურჭლის ზარ-ზეიმით იყო რონინი 223
* (ეტიუდები სამშვენისად...) 224
* (გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას) 225
* (ქარბუქი, სარკმლის ჯაჯგური...) 226
* (ბოლჩებით და ყავარჯნებით...) 227
მახსოვს! 228
სიკვდილი! 230
* (არაფერია, ხომ ვნახე, აქაც!) 231

ვოი! 232
ლამისთევა 236
* (ყვავილების მდინარეს...) 238
* (გერმანე გობეჯიშვილის ხსოვნას) 242
ეროსი 243
მკვდრები 244
* (დიდებულად — წვიმს, დიდებულად — თოვს...) . 247

ორმოცდაათის მერე...

* (ხმელი ყვავილები) 249
* (ორმოცდაათის მერე 250
* (ორი გორაკი ჩანს ფანჯრიდან...) 251
* (შენ მეკითხები: რას ვაპირებ აწი და აწი) . . . 252
* (წამცდება ზოგჯერ შეძახილი ომახიანი 253
* (არიან კაცნი — მცხოვრებნი წარსულით) . . . 254
* (კაცს, პიროვნებას, ერისგან განცდილს...) . . . 254
* (ღრუბლები ჩაივლიან და ტყეებს გაბურავენ) . . 255
* (არახალია ვარდთა ფშვენანი...) 255
* (მიყვარდა მარტივი, სულ უბრალო რაღაცეები) . 256
* (თოფო, წრიაპო, თოფის კვამლში...) 257
* (დაგრძელდა შემოდგომა, ზამთარი იგვიანებს) . . 258
* (მიყვარდა, მეყვარება შემოდგომის დღეები) . . 259
* (ფეხი ირმის, ყელი გედის!) 260
* (ტყეს შემოდგომისას ტყიური არხევდა...) . . . 260
* (ქვეყნის ამდენი წყლულით...) 261
* (ცრტა სიყვარული კმარა...) 261
* (დილის ბინდში ვერის ხიდზე მოვხვდით) . . . 262
* (ვიშვი, ვიყავ, ვიცხოვრე...) 263
წარწერა წიგნზე. 264
* (ხან ჯაჭვისხალათიანო...) 264

* (ქლიავი — ცალკე, კომში — ცალკე...) 265
* (აშენებენ სახლს, ააxლებენ ბაღს...) 265
* (სახე — დაჭმუჭვნილ-დაღეჭილი...) 266
* (აღარც ბრძოლა, აღარც — ქროლა...) 267
* (შენ ჩემგან ახალს ნუ ელი აზრებს...) 268
* (მოxუცი წაიქცა, თეთრი რძე — დაიქცა...) . . . 268
* (ულრან ტყეში ბუკი ყვირის...) 269
* (გინახავთ: ჭაობიდან...) 270
* (მე მოვყვებოდი ჩემს ღამეულ გორმახებს ცxენით) 271
* ძვლებს ეწყობა ძვლები და...) 272

პოეზიაა მარადი

* (ოჰ, პოეზიავ, მარად ცის კიბეებით მსვლელო!) . . 275
* (ჩანგო ჩემო, მოxრიxარ ოთxად წელში არავის) . 276
*(ისრის ჭყივილო ომში...) 277
* (შუბლში მახლიდნენ ლომები ბამბუკს...) . . . 278
* (კბილები დამცვდარი! ღილები — დამწყდარი!) . 279
* (ვშლი, ვფურცლავ ედგარს, კიპლინგს, ბაირონს) 280
* (ზამთრის კუბოში სვენიან...) 281
* (პოეტიაო ჩემი ქმარი, xალxში რომ იტყვის...) . . 284
უცxოელ პოეტს 286
* (როცა ეპოქა ზვავობს ძალიან...) 287
* (წერდა პუშკინი, წერდა ბლოკი...) 288
* (დრო დაუდგა ჩვენს xუთასს...) 290
* (ბულბულს მირჩევნია შაშვი) 291
* (ლანგარი ნიგვზით, თაფლით, არაყით...) 292
* (ეროთიც მისდგეს...) 293
* (xატპეპელას ქარში მxარი ეტკინება...) 294
* (ორლობის თოვლში კაცები დგანან...) 294

* (გალაკტიოხი როგორც იტყვის...) 295
* (ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ...) . . . 295
* (მთელს ცაზე შენ ხარ...) 296
* (სიზმრად ვნახე წითელი ხარი...) 297
რუდაქი იტყვის 298
* (გადასახდელი გადამხდა...) 300
* (არის წაკითხვა ორნაირი...) 301
* (რომ ვერ ვგუობდი ლექსში...) 302
* (სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან...) 303
* (წერონ! იჩქარონ! ნაყონ წყალი!...) 304
* (ყოველთვის, როცა ამ ბეჩავ ქვიტკირს...) . . . 306
* (იბადებიან წარბშეკრული ხშირად მწერლები) . 307
* (საზიზღარია, ჩემო ალექსი...) 308
* (მიუწვდომლის მიწვდომას...) 309

ეროვნული ბიბლიოთეკა

Мурман Силованович ЛЕБАНИДЗЕ
Избранная лирика
На грузинском языке
Издательство «Мерани»
Тбилиси, Руставели 42

მხატვრული რედაქტორი — ჯემალ ზენაიშვილი
ტექრედაქტორი — ოლია კაპანაძე
კორექტორი — ირმა კალანდაძე
გამომშვები — ირინე სალუქვაძე

გადაეცა წარმოებას 24.12.90, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.03.91, საბეჭდი ქაღალდი №1, 60×90 1/32, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10, პირობითი საღებავგატარება 10,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9, ტირაჟი 30 000, შეკვეთა № IX.–3

ფასი 6 მანეთი და 60 კაპიკი

გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, რუსთაველის 42
წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

წიგნი აიწყო საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ფაბრიკაში ფოტოწყობის მანქანებზე, დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში.

Книга набрана на книжной фабрике Государственного комитета Грузинской Республики по делам издательств, полиграфии и книжной торговли способом фотонабора, отпечатано и переплетена на Тбилисской картографической фабрике.
Заказ № IX.–3

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
K 8.900/1